

CM/REC (2010)5

იპლემენტაციის მონიტორინგი

MONITORING OF IMPLEMENTATION

III

საქართველო 2024 Georgia

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2010)5 წევრი სახელმწიფოების
მიმართ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე
დისკრიმინაციის წინააღმდეგ ზომების შესახებ

საქართველო

რეკომენდაციის შესრულების (მესამე) ჩრდილოვანი ანგარიში

ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი

WISG
2024



რეზიუმე.....	3
შესავალი	8
ისტორია	8
ანგარიშის მიზანი	9
მეთოდოლოგია.....	9
I სექცია – რეკომენდაციის იმპლემენტაცია.....	11
II სექცია - რეკომენდაციის დანართი.....	16
I. სიცოცხლის, უსაფრთხოებისა და ძალადობისგან დაცვის უფლება	16
A. „სიძულვილით ჩაღენილი დანაშაული“ და სხვა სიძულვილით მოტივირებული გადაცდომები.....	16
სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმი	18
სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები ლგბტი ადამიანების წინააღმდეგ	20
მსხვერპლთა მხარდაჭერა და დახმარება	24
თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებები	25
B. „სიძულვილის ენა“	27
II. გაერთიანების თავისუფლება.....	32
III. გამონატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება.....	38
გამონატვის თავისუფლება	39
მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება	44
IV. პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება	51
ერთი და იმავე სქესის პირთა კავშირის სამართლებრივი აღიარების უფლება	53
სექსუალურ ორიენტაციას ან/და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული პირადი მონაცემების შეგროვება	55
გენდერის სამართლებრივი აღიარება	56
არასრულწლოვნის შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის უფლება.....	61
V. დასაქმება	63
VI. განათლება	67
VII. ჯანმრთელობა.....	74
VIII. საცხოვრებელი	79
IX. სპორტი	81
X. თავშესაფრის ძიების უფლება.....	84
XI. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრუქტურები	87
XII. დისკრიმინაცია განსხვავებულ საფუძვლებზე	91

რეზიუმე

მაშინ როდესაც მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2010)5 რეკომენდაციის შესრულების წინამორბედ ანაგარიშებში, 2012¹ და 2018² წლებში, ჯერ კიდევ ვწერდით, რომ საქართველოს კანონმდებლობა ლგბტი ადამიანების მიმართ გამოხატულად დისკრიმინაციული ან განსაკუთრებულად მკაცრი არ იყო, წინააღმდეგურ ანგარიშში, რომელიც 2019-2024 წლებს დაფარავს, მდგომარეობა კრიტიკულად საგანგაშოა.

ანგარიშის მეორე ციკლის შემდგომ, საქართველოს ხელისუფლების რიტორიკა განსაკუთრებით ჰომოფობიური, დისკრიმინაციული და მარგინალურია სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის შესახებ საკითხებისადმი. 2024 წლისთვის კი, ჰომოფობია ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ყველა პოლიტიკასა თუ ქმედებაშია თვალსაჩინო, რაც საბოლოოდ ანტი-ლგბტი საკონსტიტუციო ცვლილების ინიცირებითა და საკანონმდებლო პაკეტის მიღებით ილუსტრირდა.

მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის პრეამბულა ითვალისწინებს პრინციპს და შეახსენებს წევრ სახელმწიფოებს, რომ არც კულტურულ, არც ტრადიციულ და არც რელიგიურ ღირებულებებს, არც „დომინანტური კულტურის“ წესებს არ შეიძლება მოუხმონ სიძულვილის ენის ან დისკრიმინაციის სხვა ფორმის დასასაბუთებლად, მათ შორის, სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის საფუძველზე.

თუმცა, 2024 წლის 4 აპრილს მმართველმა „ქართულმა ოცნებამ“ ჰომოფობიური კონსტიტუციური კანონის პროექტი სწორედ რომ „ოჯახური ღირებულებების და არასრულწლოვანთა დაცვის“ სახელით დააინიცირა.³ რამდენადაც მმართველ პარტიას საკონსტიტუციო უმრავლესობა არ აქვს, პარლამენტი ვერ აგროვებდა კონსტიტუციური ცვლილებისთვის საჭირო მხარდაჭერას. ამიტომ, 2024 წლის ივნისში, მმართველმა პარტიამ ანტი-ლგბტი და ცენზურის დამწესებელი საკანონმდებლო პაკეტი წარადგინა, რომელიც მოიცავს „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“⁴ ძირითად კანონს და გამომდინარე 18 მოქმედ კანონში ცვლილებას.⁵

¹ რეკომენდაციის შესრულების პირველი ჩრდილოვანი ანგარიში; ხელმისაწვდომია: https://wisg.org/Data/docs/publications/report/WISG_CM_REC20105_EN.pdf

² რეკომენდაციის შესრულების მეორე ჩრდილოვანი ანგარიში; ხელმისაწვდომია: <https://wisg.org/Data/docs/publications/report/WISG-CMREC-2013-18-GE.pdf>

³ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი, ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/359733>

⁴ საქართველოს კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6283110?publication=0>

⁵ საკანონმდებლო პაკეტი მოიცავს მოქმედ 18 კანონში შესატან არაერთ ცვლილებას. ეს კანონებია: სამოქალაქო კოდექსი; შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ საქართველოს კანონი; ბავშვის უფლებათა კოდექსი; ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონი; სამოქალაქო აქტების შესახებ საქართველოს კანონი; საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის

კანონპროექტი კონსტიტუციური კანონის პათოსს იმეორებს და საკონსტიტუციო უმრავლესობის ნაცვლად, მარტივი უმრავლესობის წესითაც ხელს აძლევს ხელისუფლებას ამოქმედოს რეპრესიის მანქანა.

ჯერ კიდევ საკანონმდებლო ინიცირებამ საერთაშორისო ინსტიტუტების კრიტიკა უმალ გამოიწვია. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისარი 27 მარტს გამოეხმაურა პროცესს და გამოხატა შეშფოთება კანონის შესაძლო ზეგავლენაზე გაამძაფროს ლგბტი ადამიანების მიმართ არსებულ საზიანო სტერეოტიპები.⁶ 25 ივნისს კი ვენეციის კომისიამ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას არ გააგრძელოს კონსტიტუციური კანონპროექტიის მიღება, რადგან იგი არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს და საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებულ ვალდებულებებს. კომისიამ მიიჩნია, რომ ამგვარი ცვლილებების მიღება, გააღვივებს მტრულ დამოკიდებულებას და სტიგმატიზებულ გარემოს ლგბტი ადამიანების მიმართ.⁷ კომისარი 10 სექტემბერსაც გამოეხმაურა მიმდინარე პროცესს და გაასაჯაროვა წერილი, სადაც ის პარლამენტის თავჯდომარეს მოუწოდებს არ მიიღონ კანონი, რომელიც წარმოადგენს ლგბტი ადამიანების დისკრიმინაციის სამართლებრივ საფუძველს და ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას.⁸

თუმცა, საბოლოოდ, 2024 წლის 17 სექტემბერს პარლამენტმა მესამე მოსმენით მაინც მიიღო კანონი, შეცდომაში შემყვანი პოპულისტური სათაურით „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ,“ რომელსაც ანტი-ლგბტი კანონად მოვიხსენიებთ. კანონს ხელი 2024 წლის 3 ოქტომბერს მოეწერა და მისი მოქმედება აქიდან 60 კალენდარულ დღეში იწყება.

მიუხედავად სათაურისა, კანონის შინაარსი ნათლად აჩვენებს, რომ არათუ ვინმეს დაცვას ემსახურება, არამედ განიზრახავს ადამიანების საბაზისო უფლებების და დემოკრატიის განადგურებას, - ლგბტი ადამიანებს პრაქტიკულად უზღუდავს ფუნდამენტური უფლებებით სარგებლობას, მათ შორის ჩამოართმევს იმ უფლებებსაც, რითაც სარგებლობას ლგბტი ადამიანები ისედაც ვერ ახერხებდნენ, მიუხედავად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ევროპის საბჭოს მინისტრთა

პასპორტის გაცემის წესის შესახებ საქართველოს კანონი; ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ საქართველოს კანონი; ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონი; პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონი; უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი; მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონი; რეკლამის შესახებ საქართველოს კანონი; სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონი; შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ საქართველოს კანონი; საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონი; საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი; საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი.

ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/28703>

⁶ ხელმისაწვდომია: <https://www.coe.int/fi/web/commissioner/-/georgia-political-manipulation-and-harassment-of-lgbti-people-and-human-rights-defenders-have-no-place-in-a-democratic-society>

⁷ ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2024\)021-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2024)021-e)

⁸ ხელმისაწვდომია: <https://www.coe.int/en/web/commissioner/-/georgian-parliament-should-not-adopt-anti-lgbti-law-and-should-refrain-from-using-stigmatising-rhetoric>

კომიტეტის თუ ადამიანის უფლებების სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების პირდაპირი მოწოდებისა საქართველოს ხელისუფლებისადმი. ამდენად, კანონი არა მხოლოდ წინააღმდეგობაშია ეროვნულ კანონმდებლობასთან, როგორცაა საქართველოს კონსტიტუცია თუ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი,⁹ არამედ არღვევს საერთაშორისო სამართლით, მათ შორის ევროპული კონვენციით ნაკისრებ ვალდებულებებს, პრინციპებს და სტანდარტებს.

კერძოდ, კანონი 13 მუხლისგან შედგება და მისი ძალით დაუშვებელია ქორწინების ალტერნატიული (სადაც არ იქნება ქალი და კაცი) კავშირის რეგისტრაცია, არასრულწლოვანის შვილად აყვანა და მინდობით აღზრდა, მათ მიერ ვინც თავს განსხვავებულ სქესს მიაკვთვნებენ ან არ არიან ჰეტეროსექტუალ ურთიერთობაში, იკრძალება სქესის კვლავმინიჭების ოპერაცია ან რაიმე სახის სხვა სამედიცინო მანიპულაცია, იზღუდება გენდერის სამართლებრივ აღიარებაზე ხელმისაწვდომობა, შეკრებისა და გამოსატვის თავისუფლება, ინფორმაციის გავრცელება, ასევე განათლების უფლება. კანონი ითვალისწინებს შრომითი ურთიერთობის დროს დოკუმენტაციაში ბიოლოგიური სქესის უგულებელყოფის აკრძალვას და 17 მაისს აწესებს ოჯახის სინდისისა და მშობლის პატივისცემის დღეს. ამასთან, კანონი სცდება ლგბტი თემს, მოიცავს სხვადასხვა ჯგუფს და ზოგადად, აწესებს ცენზურას. ანტი-ლგბტი კანონის დარღვევა, ადმინისტრაციულთან ერთად, რიგ ან განმეორებით შემთხვევებში, სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს.¹⁰

ანტი-ლგბტი კანონის თითოეული პუნქტი, რეკომენდაციით გათვალისწინებულ უფლებებთან მიმართებით, ქვემოთ იქნება განხილული.

წინამდებარე რეზიუმე კი ანტი-ლგბტი კანონის რეალურ ზრახვებს მიმოიხილავს, რაც ჩვენი რწმენით, სხვა არაფერია, თუ არა წინასაარჩევნოდ საზოგადოების მანიპულაცია, რეალური პრობლემების გადაფარვის მცდელობა, ირაციონალური შიშების გაღვივება და ქვეყნის ევროინტეგრაციის გზის საბოტაჟი. ამკარაა, რომ საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური განწყობების არა მხოლოდ გაღვივებით, არამედ ამ განწყობის ხელოვნური წარმოებითაც, ხელისუფლება ცდილობს ჯანდაცვის, დასაქმების, განათლების, საბაზისო საცხოვრისის, ინფრასტრუქტურული, განათლების თუ ეკოლოგიური პრობლემის გამო მოსახლეობაში დაგროვილი ბრაზი წინასაარჩევნოდ ისევ ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფზე მიემართა. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მმართველი პარტიის ხელმძღვანელი, ივანიშვილი, ხელისუფლებაში იმის მტკიცებით მოვიდა, რომ ლგბტი ადამიანებიც ჩვეულებრივი მოქალაქეები არიან და მათ, ისევე, როგორც ნებისმიერი უმცირესობის უფლებებს, პატივი უნდა ვცეთ.¹¹ მმართველობის 12 წლის თავზე კი, ჰომოფობიაზე ჩაბღაუჭება ოლიგარქისა და მისი გუნდისთვის ძალაუფლების შენარჩუნების ერთ-ერთი ბოლო იმედია. ამიტომ, ერთ

⁹ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=3>

¹⁰ საქართველოს კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6283110?publication=0>

¹¹ ხელმისაწვდომია: <https://www.youtube.com/watch?v=SeFNrR0y1IQ>

დროს მისი პროგრესული მოსაზრება ახლა ჩაანაცვლა „სახლში ვისაც რა უნდა ის აკეთოს“ რიტორიკამ.¹² ამდენად, ხელისუფლება გაცხადებულად, ძალაუფლების შესანარჩუნებლად ფსონს სიძლიერის კულტივირებაზე დებს და საფრთხედ აცხადებს “ლგბტ პროპაგანდას,” რომლის გასაწეიტრალებლადაც ჰომოფობიური და ცენზურის დამწესებელ საკანონმდებლო პაკეტს იყენებს. კანონი კი, თავისი არსით უნება არა მხოლოდ ერთ ჯგუფს, ლგბტი თემს, არამედ ქმნის პრეცედენტს, რომ მომავალში მთავრობას შეეძლოს ნებისმიერ მოქალაქეს, კრიტიკულს ხელისუფლების მიმართ, ჩამოართვას კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები.

ჩვენი შეფასებით, მიღებული კანონიც და წინასაარჩევნოდ დაპირებული საკონსტიტუციო ცვლილებაც ადამიანების დაშინების და დაქვემდებარების, ტოტალური კონტროლის ინსტრუმენტებია, რომლებიც საშუალებას აძლევს ხელისუფლებას პროპაგანდისტის იარღილი მიაკრას ნებისმიერს, აკონტროლოს ინფორმაცია, ჩაახშოს გამოხატვა, გავლენა მოახდინოს ხელოვნებასა და კულტურაზე, დააწესოს ცენზურა და განხვავებული აზრის წინააღმდეგ ამოქმედოს იძულების მანქანა.

ამრიგად, მინისტრთა კომიტეტის ყურადღებას ვამახვილებთ, რომ 2 დეკემბრიდან ანტი-ლგბტი კანონის ამოქმედების შემდეგ, შესაძლოა ეს იყოს ბოლო ანგარიში, რომლის გამოქვეყნებასაც ჩვენ შევძლებთ. არათუ ანგარიში, სოციალურ ქსელში ჩვენს მიერ გამოქვეყნებული მასალაც შესაძლოა მოხვდეს ცენზურის კანონის ობიექტივში და გამოიწვიოს ადმინისტრაციული და შემდგომში სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა. ამასთან, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“¹³ კანონის მოქმედებასთან ერთად, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციების სტიგმატიზებას ისახავს მიზნად, ანტი-ლგბტი კანონის ამოქმედების პირობებში, ქვეყანაში არსებული რამდენიმე სათემო ორგანიზაციისთვის, მათ შორის ჩვენთვის, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფისთვის, შეუძლებელი გახდება ფუნქციონირება და ლგბტი ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ საჭირო სერვისების მიწოდების გაგრძელება.

როგორც წესი, წინამორბედი ანგარიშები მოიცავდა რეკომენდაციებს მთავრობის პრიორიტეტული ქმედებების შესახებ, თუმცა ამჯერად, ვაკვირდებით რა ქვეყანაში ავტორიტარული ტენდენციების გაძლიერებას, სამართლებრივი სისტემის ჩამოშლას და ხელისუფლების მიერ საერთაშორისო უფლებადაცვითი ინსტრუმენტების უგულებელყოფის უმძიმეს ხარისხს, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას აღარაფერს მოუწოდებთ, თუმცა მოუწოდებთ საერთაშორისო საზოგადოებას და ვთხოვთ მინისტრთა კომიტეტს მიიღონ ზომები ანტიდემოკრატიული, ანტიევროპული და ანტი-ლგბტი ინიციატივების შესაჩერებლად.

¹² ხელმისაწვდომია: <https://1tv.ge/news/bidzina-ivanishvili-gasagebia-ratom-ar-shevida-opozicia-lgbt-propagandis-winaaghmdeg-kanonis-gankhilvaze-imdenad-didia-sazogadoebis-rwmena-qristianobis-tradiciebis-chveni-identobisadmi-sheeshin/>

¹³ საქართველოს კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6171895?publication=0>

შესავალი

ისტორია

რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოების მიმართ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ზომების შესახებ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 2010 წლის 31 მარტს მიიღო, რითაც ევროპაში დაადგინა ლგბტი უფლებების დაცვის ოქროს სტანდარტი. რეკომენდაცია ეფუძნება რა არსებულ საერთაშორისო და ევროპულ ვალდებულებებს, წევრ სახელმწიფოებს, მათ შორის საქართველოს, მკაფიოდ ავალდებს რეკომენდაციით გათვალისწინებული ზომების განხორციელებას.

რეკომენდაცია აღიარებს, რომ სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის საფუძველზე ლგბტი ადამიანები დღესაც ექვემდებარებიან ჰომოფობიას, ტრანსფობიას, შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის სხვა ფორმებს და რომ საჭიროა განსაკუთრებული მოქმედება, რათა მათ სრულად ისარგებლონ ფუნდამენტური უფლებებით. მართლაც, უკუსვლა, სიძულვილის რიტორიკა, პოპულიზმი, ნაციონალიზმი, ჰომო/ბი/ტრანსფობიური დევნა განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ჩვენც, ვიყენებთ ამ შესაძლებლობას და მინისტრთა კომიტეტის ყურადღებას იმ უკუსვლაზე მივაპყრობთ, რაც საქართველოში ლგბტი ადამიანების ინსტრუმენტალიზებას, მარგინალიზებასა და დევნას იწვევს.

რეკომენდაცია თავიმსხრივ სამი ნაწილისგან შედგება: პრეამბულა, სადაც წარმოდგენილია მისი მიღების ისტორია და ძირითადი პრინციპები; რეკომენდაციის ოპერაციული ნაწილი, რომელიც მოკლედ შეეხება იმ ზოგად ზომებს, რაც უნდა მიიღონ წევრმა სახელმწიფოებმა; და ბოლო, დანართი, რომელშიც გაწერილია განსაკუთრებული ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ უფლებებით სარგებლობასა და მათი დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლას, რაც მოიცავს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს, სიძულვილის ენას, გაერთიანების, გამოხატვის და შეკრების თავისუფლებას, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემას, დასაქმებას, განათლებას, ჯანდაცვას და საცხოვრებელს, სპორტს, თავშესაფრის ძიების უფლებას და დისკრიმინაციას განსხვავებულ საფუძვლებზე/მრავალი ნიშნით.

რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგის ფარგლებში ევროპის საბჭოს მმართველმა კომიტეტმა ევროპის საბჭოს სეკრეტარიატის დახმარებით დაამტკიცა კითხვარი CM/Rec(2010)5 რეკომენდაციის შესრულების შესახებ, რომლის მიხედვითაც გამოვითხოვეთ საჯარო ინფორმაცია სახელმწიფო უწყებებიდან. თუმცა, წინამდებარე ანგარიში მას დეტალურად აღარ გამოიტანს, არამედ გააერთიანებს დანართით გათვალისწინებული უფლებების განხორციელების შეფასების ქვეთავებში. აღნიშნული, მათ შორის განპირობებულია საჯარო ინფორმაციის დაცვის სტანდარტის გაუარესებით. ანგარიშზე მუშაობისას არ მოგვეცა შესაძლებლობა გვეჩონოდა გარკვეულ მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციაზე სრულყოფილი და დროული ხელმისაწვდომობა, რაც მორიგ ჯერზე ადასტურებს ინფორმაციის თავისუფლების სტანდარტის დარღვევას

რიგი საჯარო უწყებების მხრიდან. დაგვიანებით გაცემული საჯარო ინფორმაციის ან უგულებელყოფილი მოთხოვნების სისტემურობის თაობაზე, განსაკუთრებით ჟურნალისტების და უფლებადამცველების მიმართებით, აპელირებს საქართველოს სახალხო დამცველიც.¹⁴

ანგარიშის მიზანი

ამ ანგარიშის მიზანია, შეაფასოს საქართველოს მთავრობის მიერ რეკომენდაციის განხორციელებასთან დაკავშირებით განხორციელებული პოლიტიკა 2019 წლიდან 2024 წლამდე პერიოდში და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს წარუდგინოს ჩრდილოვანი ანგარიში რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით.

მეთოდოლოგია

რეკომენდაციის შესრულების შეფასებისათვის წინამდებარე ანგარიში ეყრდნობა ევროპის საბჭოს დეტალურ კრიტერიუმებს. შესაბამისად, მიჰყვება რეკომენდაციას და მის დანართს, გთავაზობთ განმარტებით მემორანდუმში გაწერილ დამატებით დეტალებს და რეკომენდაციის შესრულების შესახებ კითხვარის შესაბამისად გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციის ანალიზს.

ანგარიში ეყრდნობა შემდეგ წყაროებს:

- ევროპის საბჭოს მიერ გამოცემული სტრუქტურული კითხვარის მიხედვით, საჯარო უწყებებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია;
- ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში არსებული კვლევების ანალიზი;
- ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ დოკუმენტირებული მასალა;
- ლგბტი თემის საჭიროებების ანალიზის შედეგები, ფოკუს ჯგუფების ანგარიშები, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის ბოლო წლებში ჩატარებული კვლევები დისკრიმინაციის შესახებ;
- ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტებში გაგზავნილი ჩრდილოვანი/პარალელური ანგარიშები.
- საქართველოში ლგბტი პირთა და მათი უფლებების მიმართ საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულების კვლევის შედეგები;
- კანონპროექტების შეფასების დროს ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და განცხადებები;
- ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ მომზადებული კვლევები/საჯარო პოლიტიკის დოკუმენტები, სამართალწარმოების ანგარიშები;

¹⁴ იხ.: <https://www.radiotavisupleba.ge/a/33138388.html>

- სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების, კოალიციების კვლევები და ანგარიშები;
- ევროპის საბჭოს სხვადასხვა ორგანოების შეფასებები, განცხადებები, ანგარიშები;
- სახალხო დამცველის ანგარიშები 2019-2024 წლებში.

I სექცია – რეკომენდაციის იმპლემენტაცია

მინისტრთა კომიტეტი რეკომენდაციას აძლევს წევრ სახელმწიფოებს:

1. განიხილონ არსებული საკანონმდებლო და სხვა სახის ზომები, შეისწავლონ ისინი, მოაგროვონ და გააანალიზონ რელევანტური მონაცემები, რათა მონიტორინგი გაუწიონ და პასუხი გასცენ ნებისმიერ პირდაპირ თუ არაპირდაპირ დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის საფუძველზე;
2. უზრუნველყონ საკანონმდებლო და სხვა სახის ზომების მიღება და მათი ეფექტიანი განხორციელება, რათა წინ აღუდგნენ დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის საფუძველზე საიმისოდ, რომ უზრუნველყონ ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერების ადამიანთა უფლებების დაცვა და ხელი შეუწყონ მათდამი შემწყნარებლობას;
3. უზრუნველყონ, რომ დისკრიმინაციის მსხვერპლთ ჰქონდეთ ინფორმაცია ეფექტიან სამართლებრივ საშუალებებზე და ხელი მიუწვდებოდეთ მათზე ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე, აგრეთვე, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები მოიცავდეს, საჭიროების შემთხვევაში, სანქციებს უფლებათა დარღვევებისათვის და დისკრიმინაციის მსხვერპლთა სათანადო კომპენსაციით უზრუნველყოფას;
4. მათ კანონმდებლობაში, პოლიტიკასა და პრაქტიკაში იხელმძღვანელონ იმ პრინციპებითა და ზომებით, რაც მოყვანილია ამ რეკომენდაციის დანართში;
5. სათანადო საშუალებებითა და მოქმედებით უზრუნველყონ, რომ ეს რეკომენდაცია, მისი დანართის ჩათვლით, თარგმნილია და გავრცელებული, რაც შეიძლება ფართოდ.

წლებია საქართველოს სახალხო დამცველი მის ანგარიშებში მიუთითებს, რომ ლგბტი ადამიანები ძალადობის, დისკრიმინაციის და შევიწროვების მსხვერპლი არიან, რაც თავისმხრივ საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური დამოკიდებულებით, სიძულვილის მოტივით ჩადენილი ძალადობრივი ქმედებებით და სხვა სახის დისკრიმინაციული დამოკიდებულებებით არის გამოწვეული.¹⁵ ამასთან, ულტრამარჯვენე ჯგუფები, თავიანთი ქმედებებით, განცხადებებით და დაუსჯელობით, ხელს აძლევენ ჰომოფობიური განწყობების გამრავლებას, დისკრიმინაციის წახალისებას და ლგბტი ადამიანების უფლებების მასშტაბურ დარღვევას.

თანასწორობის უფლების დამკვიდრებული რღვევის ფონზე კი, მიმდინარე წელს მმართველმა „ქართულმა ოცნებამ“ ანტი-ლგბტი კონსტიტუციური კანონი¹⁶ და საკანონმდებლო პაკეტი¹⁷ დააინიცირა. ეს უკანასკნელი საქართველოს პარლამენტმა, შეცდომაში შემყვანი სათაურით, 2024 წლის 17 სექტემბერს მესამე მოსმენით მიიღო, რითაც უგულებელყო კონსტიტუციით გათვალისწინებული თანასწორობის პრინციპი, აკრძალა ლგბტი ჯგუფისთვის და მათ შესახებ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით, ასევე შეკრებისა და დემონსტრაციის უფლებით სარგებლობა, დააწესა ცენზურა, მორიგ ჯერზე მოახდინა ლგბტი ადამიანების ინსტრუმენტალიზება და მარგინალიზება.

მიღებული საკანონმდებლო პაკეტი მოიცავს „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ ძირითად კანონს და 18 მოქმედ კანონში ცვლილებას, რომლის თითოეული პუნქტი, რეკომენდაციით გათვალისწინებულ უფლებებთან მიმართებით, ქვემოთ იქნება განხილული. ძირითადი კანონი, თავისმხრივ, ინიცირებული კონსტიტუციური კანონის პათოსს იმეორებს, რომლის მიღებისთვის საჭირო საკონსტიტუციო უმრავლესობაც „ქართულ ოცნებას“ არ გააჩნდა. საკონსტიტუციო ცვლილების ინიცირებით ხელისუფლება თითქოს ცდილობს უკვე მიღებული საკანონმდებლო პაკეტი მოიყვანოს თანხვედრაში კონსტიტუციასთან, თუმცა ეს ტექნიკური ხრიკი პარადოქსულს გახდის კონსტიტუციური სისტემის წესრიგს, გამოაცლის შინაარსს და მიზანს.

რაც შეეხება თავად ანტი-ლგბტი ინიციატივების მიზანს, თუმცა სათაური გვამცნობს, თითქოს ოჯახებისა და ბავშვების დაცვას ემსახურებოდეს, სინამდვილეში საერთოდ არ პასუხობს იმ რეალურ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან წუხილებს, რომელიც საქართველოში ოჯახებსა და არასრულწლოვნების უდგათ, მათ შორის სიღარიბეს, ინფლაციას, უკონტროლო ემიგრაციას, საბაზისო საჭიროებებზე ხელმისაწვდომობას, რესურსების უთანასწორო გადანაწილებას, უხარისხო ჯანდაცვასა და განათლებას. მისი

¹⁵ საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წლის ანგარიში, საქართველოს სახალხო დამცველი, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf>, გვ. 184.

¹⁶ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი, ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/359733>

¹⁷ საკანონმდებლო პაკეტი ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/#law-drafting/28703>

მიზანი ვიწროპოლიტიკურია, - წინასაარჩევნოდ განწყობებით მანიპულირება და რეალური სოციალური წუხილებიდან ისრების გამოგონილ, პროპაგანდადწოდებულ საფრთხეზე გადატანა.

მსგავსი პოლიტიკური ჰომოფობია ხელისუფლებისთვის არც აქამდე ყოფილა უცხო, მაგრამ ახლა, ელექტორალურ კრიზისში მყოფმა სისტემამ წინასაარჩევნო ბრძოლის იარაღად სახელმწიფოს რეპრესიული და მედია-პროპაგანდისტული აპარატი მაქსიმალურად გამოიყენა ლგბტი ადამიანების დემონიზებისა და სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საკითხებზე მორალური პანიკის შექმნის მიზნით. შედეგად კი მიიღო კანონი, რომელიც არღვევს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ თანასწორობის პრინციპს და ეწინააღმდეგება საერთაშორისო ვალდებულებებს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, ზღუდავს გამონატვის თავისუფლებას, კრძალავს ლგბტი საკითხებზე საჯარო დისკუსიას და ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის ტრანს ადამიანების წვდომას ჯანდაცვის ფუნდამენტური მნიშვნელობის სერვისებზე და გენდერის სამართლებრივ აღიარებას. ეს ცვლილებები პირდაპირ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას და მოქმედ ანტი-დისკრიმინაციულ კანონმდებლობას, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა, სასამართლოს პრაქტიკას და საქართველოს ვალდებულებებს ევროპის საბჭოს წინაშე, წინამდებარე რეკომენდაციის ჩათვლით.

ამასთან, კანონში გამოყენებული ჰომოფობიური და ტრანსფობიური დაშვებები, მეცნიერულად განუმტკიცებელი და ბუნდოვანი ტერმინოლოგია, და აგრეთვე ის, თუ ადამიანთა ცხოვრების რა სიღრმეში აქვს მას შეჭრის უფლება, მანიპულირების იმდენად ფართო შესაძლებლობას ქმნის, რომ შეუძლებელი იქნება წინასწარ იმის განსაზღვრა, თუ რისი თქმა, რა ქმედება ან ნამუშევარი ჩაითვლება არაკანონიერად. სამაგიეროდ, შესაძლებელი იქნება, ნებისმიერი ქმედება ან ნამუშევარი ასეთად პოსტფაქტუმ კვალიფიცირდეს. მაგალითად, კანონპროექტის მიერ დამკვიდრებული ერთ-ერთი მთავარი ტერმინი - “პოპულარიზება” - რომელსაც ის გენდერის და სექსუალობის კონტექსტში იყენებს და რომლის აკრძალვასაც ის საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ რიგ სფეროებში ესწრაფვის, ნათელია, რომ განზრახ არ განიჩევა და ფაქტობრივად სინონიმად უტოლდება ცოდნის გადაცემას, ინფორმაციის გავრცელებას, სამეცნიერო და სახელოვნებო კვლევასა და ნამუშევრების შექმნას, ისევე, როგორც შეკრებასა და მანიფესტაციის ჩატარებას. შედეგად, კანონი შესაძლებელს ხდის გენდერისა და სექსუალობის შესახებ ნებისმიერი ცოდნის, ინფორმაციის, ნამუშევრის გავრცელების, თუ ქმედების გამონატვის “პოპულარიზებად” მონათვლას და ამის საფუძველზე მის აკრძალვას.

მსგავსი დისკრიმინაციული და სიძულვილის წამქეზებელი მაგალითი, მინისტრთა კომიტეტისთვის ყოფილი წევრ-სახელმწიფო რუსეთის ფედერაციაა, რომელმაც ანტი-ლგბტი შინაარსის მქონე კანონი სწორედ ბავშვთა და ოჯახური ღირებულებების დაცვის სახელით მიიღო და შემდეგ, არაერთი ლგბტი ადამიანის და კრიტიკულად განწყობილი სამოქალაქო აქტივისტის გასაჩუმებლად, დასაპატიმრებლად ან ქვეყნიდან გასაძევებლად გამოიყენა. ამ საფრთხის გაცნობიერება ევროპის საბჭოს სხვადასხვა

ორგანოს მხრიდან მყისიერად მოხდა: ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისარი 27 მარტს გამოეხმაურა პროცესს და გამოხატა შეშფოთება კანონის შესაძლო ზეგავლენაზე, გაამძაფროს ლგბტი ადამიანების მიმართ არსებულ საზიანო სტერეოტიპები.¹⁸ 25 ივნისს კი ვენეციის კომისიამ მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას არ გააგრძელოს კონსტიტუციური კანონპროექტის მიღება, რადგან იგი არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს და საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღიარებულ ვალდებულებებს. კომისიამ მიიჩნია, რომ ამგვარი ცვლილებების მიღება, გააღვივებს მტრულ დამოკიდებულებას და სტიგმატიზებულ გარემოს ლგბტი ადამიანების მიმართ.¹⁹ კომისარი 10 სექტემბერსაც გამოეხმაურა მიმდინარე პროცესს და გაასაჯაროვა წერილი, სადაც ის პარლამენტის თავჯდომარეს მოუწოდებს არ მიიღონ კანონი. წერილი განმარტავს, რომ კანონპროექტი წარმოადგენს ლგბტი ადამიანების დისკრიმინაციის სამართლებრივ საფუძველს და ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას.²⁰ თუმცა, ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა ადამიანის უფლებათა დაცვითი საერთაშორისო ორგანიზაციების მოწოდებები და ანტი-ლგბტი საკანონმდებლო პაკეტი მაინც მიიღო. „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ ანტი-ლგბტი კანონს ხელი 2024 წლის 3 ოქტომბერს მოეწერა და მისი მოქმედება აქიდან 60 კალენდარულ დღეში, 2 დეკემბრიდან იწყება.²¹

სულ მცირე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეუძლებელია ჩაითვალოს, რომ მთავრობა ხელმძღვანელობს რეკომენდაციის პირველ სექციაში მოცემული პრინციპებით, - რომ პასუხს სცემდეს დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის საფუძველზე ან უზრუნველყოფდეს საკანონმდებლო ზომების მიღებას დისკრიმინაციის და შეუწყნარებლობის შესამცირებლად. სრულებით პირიქით, თავადაა ინიციატორი ანტი-ლგბტი კანონმდებლობის მიღების და ჯგუფის ინსტრუმენტალიზების.

გარდა ამისა, წლების მანძილზე სახელმწიფოს პოლიტიკა ჰომოფობიასა და ტრანსფობიას არ იაზრებდა სისტემურ და სტრუქტურულ პრობლემად, რის გამოც ჰომოფობიის წარმოჩენა ხდებოდა მხოლოდ ინდივიდუალურ საკითხად, და შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ ჰომოფობიასთან ბრძოლის წინააღმდეგ დასახულ მთავარ სტრატეგიად მის ინდივიდუალურ გამოვლინებებზე შერჩევითი სადამსჯელო პასუხი რჩებოდა, ხოლო ჰომოფობიისა და ტრანსფობიის შემცირებაზე მიმართული პროაქტიული ინიციატივები, ფართო საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით რჩებოდა სამთავრობო სამოქმედო გეგმებს მიღმა.

¹⁸ ხელმისაწვდომია: <https://www.coe.int/fi/web/commissioner/-/georgia-political-manipulation-and-harassment-of-lgbt-people-and-human-rights-defenders-have-no-place-in-a-democratic-society>

¹⁹ ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD\(2024\)021-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2024)021-e)

²⁰ ხელმისაწვდომია: <https://www.coe.int/en/web/commissioner/-/georgian-parliament-should-not-adopt-anti-lgbt-law-and-should-refrain-from-using-stigmatising-rhetoric>

²¹ საქართველოს კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6283110?publication=0>, მუხლი 14.

მართლაც, ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმები ყველაზე ცხადად ასახავს სახელმწიფო პოლიტიკას. საგულისხმოა, რომ 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმა 2020 წლის თებერვლამდე არ მოიცავდა თანასწორობისა და გენდერული იდენტობის თავს და მას შემდეგ რაც დამტკიცდა, არ ფარავდა იმ კრიტიულ საკითხებს, რასაც სათემო ორგანიზაციები ადვოკატირებდნენ.²² განხორციელების კუთხითაც აღნიშნულ სამოქმედო გეგმას პროგრესი არ განუცდია.

განსახილველ პერიოდში მოექცა 2020 წლის კორონავირუსის პანდემიაც, რა დროსაც ლგბტი ადამიანების წუხილები უსახლკარობასთან, უმუშევრობასა თუ გაუსაძლის ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით კიდევ უფრო გამწვავდა, რაც არაერთხელ გაჟღერდა სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ (მათ შორის, ქირის სუბსიდირება, ალტერნატიული საცხოვრისით თუ თავშესაფრით უზრუნველყოფის საჭიროებები) თუმცა, აღნიშნული გამოწვევები და საბაზისო საჭიროებები სახელმწიფოს ანტიკრიზისული გეგმების მიღმა დარჩა. საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით სახელმწიფოს მიერ გაცემული დახმარება კი მეტწილად ერთჯერადი ჰუმანიტარული ხასათის გამოდგა და სრულად ვერც მან გაითვალისწინა ჯგუფის კომპლექსური საჭიროებანი.²³

მეტიც, ლგბტი ადამიანები სრულად გამოტოვებულია 2022-2030 წლების უფლებების დაცვის ეროვნული სტრატეგიიდან,²⁴ ისევე როგორც 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმიდან.²⁵ მიღებული ანტი-ლგბტი კანონის და ინიცირებული კონსტიტუციური კანონის შუქზე ცხადია, რომ ხელისუფლება უკვე გაცხადებულადაც, პოლიტიკის დონეზე, უარს ამბობს ლგბტი ადამიანების უფლებების დაცვაზე, რითაც ძირს უთხრის იმ პროგრესს რაც, 2014 წელს ანტი-დისკრიმინაციული კანონის მიღებას და დისკრიმინაციის ამკრძალავი საკანონმდებლო ჩანაწერების გაჩენას უკავშირება და რითაც საქართველოს მთავრობა მინისტრთა კომიტეტის წინაშე მეტად იწონებდა თავს.

შესაბამისად, ჩვენი შეფასებით, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის პირველი სექციის ნაწილები უგულებელყოფილია საქართველოს ხელისუფლების მხრიდან.

²² ხელმისაწვდომია: <https://myrights.gov.ge/ka/plan/Action%20Plan%202020>

²³ დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში, 2020 წლის ანგარიში, კოალიცია თანასწორობისთვის, ხელმისაწვდომია: https://wisg.org/Data/docs/publications/annual-reports/CFE-discrimination-report_2020-GE.pdf

²⁴ საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2022–2030 წლებისთვის)“ დამტკიცების შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5757268?publication=0>

²⁵ საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის 2024-2026 წლების სამოქმედო გეგმა, ხელმისაწვდომია: <https://myrights.gov.ge/uploads/files/docs/6965ადამიანისუფლებებისდაცვისსამოქმედოგეგმა2024-2026.pdf>

II სექცია - რეკომენდაციის დანართი

I. სიცოცხლის, უსაფრთხოებისა და ძალადობისგან დაცვის უფლება

A. „სიძულვილით ჩადენილი დანაშაული“ და სხვა სიძულვილით მოტივირებული გადაცდომები

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სავარაუდო დანაშაულისა და სხვა გადაცდომათა ეფექტიანი, დაუყოვნებელი და მიუკერძოებელი გამოძიება, როცა არსებობს გონივრული ეჭვი, რომ მსხვერპლის სექსუალური ორიენტაცია ან გენდერული იდენტობა იყო მოტივი დამნაშავისათვის; ამას გარდა, მათ უნდა უზრუნველყონ, რომ განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდნონ ამგვარ დანაშაულთა და გადაცდომათა გამოძიებას, როცა იგი, სავარაუდოდ, ჩადენილია სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების ან სხვა პირების მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ ოფიციალური სტატუსით, და რომ ამგვარ ქმედებებზე პასუხისმგებელი პირები წარდგნენ მართლმსაჯულების წინაშე და, როცა ეს საჭიროა, დაისაჯონ, რათა თავიდან აიცილონ დაუსჯელობა.
2. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სანქციების განსაზღვრისას, ძირითადი მოტივი, დაკავშირებული სექსუალურ ორიენტაციასა ან გენდერულ იდენტობასთან, გათვალისწინებული იყოს, როგორც დამამძიმებელი გარემოება;
3. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ სექსუალურ ორიენტაციასა ან გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული „სიძულვილით ჩადენილი დანაშაულებისა“ და სხვა სიძულვილით მოტივირებულ გადაცდომათა მსხვერპლნი და მოწმეები წააქეზონ, რათა მათ განაცხადონ ამ დანაშაულებისა და გადაცდომების შესახებ; ამ მიზნით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გადადგან ყველა საჭირო ნაბიჯი იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამართალდამცავ სტრუქტურებს, მათ შორის, სასამართლო ხელისუფლებას, ჰქონდეს საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები, რათა ამოიციოს ამგვარი დანაშაული და გადაცდომა, ასევე, გაუწიოს სათანადო დახმარება და მხარდაჭერა მსხვერპლსა და მოწმეებს.
4. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაცული იყოს ყველა ადამიანის უსაფრთხოება და ღირსება ციხეში ან თავისუფლების აღკვეთის სხვა ადგილებში, მათ შორის, ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერების; კერძოდ, მიიღონ დამცველობითი ხასიათის ზომები ფიზიკური ძალადობის, გაუპატიურების ან სექსუალური ძალადობის სხვა ფორმების წინააღმდეგ, იქნება ეს ჩადენილი სხვა თანამესაკნეების თუ პერსონალის მიერ; ზომები უნდა მიიღონ ისე, რომ სათანადოდ დაიცვან და პატივი მიაგონ ტრანსგენდერების გენდერულ იდენტობას.

5. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ შეგროვდეს და გაანალიზდეს რელევანტური მონაცემები სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის გავრცელებისა და ბუნების შესახებ და, განსაკუთრებით, „სიძულვილით ჩადენილ დანაშაულებსა“ და სიძულვილით მოტივირებულ სხვა გადაცდომებზე, რომლებიც უკავშირდება სექსუალურ ორიენტაციასა ან გენდერულ იდენტობას.

სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმი

მონიტორინგის ციკლის დასაწყისში ჯერ კიდევ შეგვეძლო შეგვეფასებინა, რომ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით სიძულვილით ჩადენილ დანაშაულთან ბრძოლის მექანიზმი გარკვეულწილად უმჯობესდებოდა, რამდენადაც 2018 და ფრაგმენტულად 2022 წლამდეც, საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით, ქვეყანამ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა დანაშაულის მიმართ რეაგირების ხარისხის ასამაღლებლად.

შედეგადად, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლის ფარგლებში, დისკრიმინაციული მოტივის სავარაუდოდ არსებობის შემთხვევაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს ევალებათ დაუყოვნებლივ დაიწყონ გამოძიება.²⁶ ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტი ელექტრონული პროგრამის მეშვეობით თვალყურს ადევნებს დანაშაულის შესახებ შეტყობინებებს და სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებას, აწარმოებს სტატისტიკურ მონაცემებს დისკრიმინაციულ ნიშნებთან დაკავშირებით, რომელიც აღირიცხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების შესაბამისად, კონკრეტული მადისკრიმინებელი ინდიკატორის მიხედვით (კერძოდ: რასა, ფერი, ენა, სქესი, სექსუალური ორიენტაცია, სქესი, გენდერული იდენტობა, რელიგია, შშმ სტატუსი, მოქალაქეობა, ეროვნება, ეთნიკური კუთვნილება და წარმომავლობა).

ამასთან, პროკურატურის სისტემას, 2022 წლის მდგომარეობით, გამოცემული ჰქონდა ექვსი რეკომენდაცია სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან საბრძოლველად.²⁷ 2023 წლის კომუნიკაციის თანახმად კი, 146-მა თანამშრომელმა, მათ შორის 88 პროკურორმა, 7-მა გამოძიებელმა, 34-მა მენეჯერმა და მოწმისა და დაზარალებულის 17-მა კოორდინატორმა გაიარა სპეციალიზაცია სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე.²⁸ უწყების ფარგლებში, აქაც ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი პასუხისმგებელი სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შესახებ მონაცემების შეგროვებასა და ანალიზზე.

საერთო სასამართლოების სისტემაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური დეპარტამენტი აგროვებს და ამუშავებს სტატისტიკას, მათ შორის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის საქმეებზე და პასუხისმგებელია სასამართლოს სტატისტიკის გასაჯაროებაზე. თუ სასამართლო დაადგენს, რომ დანაშაული ჩადენილია სიძულვილის მოტივით, ან თუ შეუწყნარებლობის მოტივი გამოიკვეთება დამამძიმებელ გარემოებად, მოსამართლე ავსებს სპეციალურ ფორმას, რაც სტატისტიკის საწარმოებლად ანალიტიკურ დეპარტამენტს გადაეცემა.

²⁶ იხ.: <https://hatecrime.osce.org/national-frameworks-georgia#victimSupport>

²⁷ იქვე.

²⁸ იხ.: [https://hudoc.exec.coe.int/#{%22excidentifier%22:\[%22DH-DD\(2023\)1238E%22\]}](https://hudoc.exec.coe.int/#{%22excidentifier%22:[%22DH-DD(2023)1238E%22]), §42.

2020 წლის სექტემბერში გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, საქართველოს უზენაესი სასამართლო, გენერალური პროკურატურა და შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებულნი არიან ყოველწლიურად საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან გააზიარონ მონაცემები, მათ შორის სიძულვილის მოტივის ნიშნით დახარისხებული. 2023 წელს სპეციალური საგამოძიებო სამსახურიც შეუერთდა მემორანდუმს.²⁹ მემორანდუმით გათვალისწინებულია უწყებების ანგარიშვალდებულება ერთმანეთის მიმართ ინფორმაციის გაზიარების თაობაზე, სტატისტიკის წარმოება და ერთიანი ანგარიშის გამოცემა დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის თაობაზე.³⁰

ამასთან ყურადსაღებია, რომ საქართველოში სიძულვილით მოტივირებული ინციდენტების შესახებ მონაცემების შეგროვების დადგენილი პროცედურა არ არსებობს თუ ის არ მიაღწევს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ზღვარს. მოძველებული ადმინისტრაციულსამართალდარღვევათა კოდექსი არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების და მისი ჩადენის მოტივის აღნიშვნის შესაძლებლობას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებში ასევე არ იკვეთება, რომ მსხვერპლს ზიანი დისკრიმინაციული საფუძველით მიადგა, რაც თავისმხრივ აბრკოლებს ადმინისტრაციული სიძულვილის ინციდენტების შესაბამის კატეგორიზაციას და მათზე ადეკვატურ რეაგირებას.

რაც შეეხება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთა მხარდაჭერას პროკურატურაში მოქმედებს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური, რომლის მთავარი ფუნქციაც სისხლის სამართლის საქმის მსვლელობისას მოქალაქესა და პროკურორს (სასამართლოს) შორის კომუნიკაციის გამარტივება და საქმის მსვლელობასთან დაკავშირებით მისთვის დეტალური ინფორმაციის მიწოდებაა. მოწმესა და დაზარალებულის კოორდინატორს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის პროცესში პროკურორის გადაწყვეტილებით. კოორდინატორები ერთვებიან, მათ შორის, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან დაკავშირებულ საქმეებში. 2019 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროშიც შეიქმნა მოწმეთა და დაზარალებულთა კოორდინატორის სამსახური.³¹ 2021 წლიდან გამომდინარე უფლებამოსილია, საქმის სასამართლომდე მიტანამდე ჩართოს კოორდინატორი. კოორდინატორი პრიორიტეტს ანიჭებს კომუნიკაციას სიძულვილის დანაშაულის, ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლებთან და უფლებამოსილია გაესაუბროს მსხვერპლს/მოწმეს, მასთან ერთად დაესწროს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებს, ასევე სასამართლოში მათ დაკითხვას.

²⁹ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წერილი, [02.09.2024].

³⁰ იხ.: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/680/diskriminatsiis-nishnit-sheutsqnaresblobis-motivit-chadenili-danashaulis-statistika>

³¹ იხ.: <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministroshi-motsmisa-da-dazaralebulis-koordinators-samsakhuri-amoqmedda/12861>

მაშინ როდესაც ოფიციალურ კორესპონდენციაში მთავრობა მიუთითებს სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან საბრძოლველად შემუშავებულ რიგ ტრენინგ მოდულებსა თუ სამართალდამცავთა სპეციალიზაციის თაობაზე, მაგალითად, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია მუდმივად ახორციელებს პოლიციელთა ცნობიერების ამაღლებას ადამიანის უფლებათა სწავლების კუთხით, რომ აკადემიის პოლიციელთა საბაზისო მომზადების სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ისწავლება საგანი - ადამიანის უფლებები, რომლის ფარგლებშიც გათვალისწინებულია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის თემატიკა და მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის განმარტება და მასთან დაკავშირებული ცნებები, სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის თავისებურებები, საერთაშორისო დოკუმენტები, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები, დისკრიმინაციის აკრძალვის მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობა, საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, დისკრიმინაციის აკრძალვა და სხვადასხვა საფუძვლები (სქესი, რელიგია, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და გამობატვა და სხვა საფუძვლები),³² - გატარებული ზომების ეფექტურობა და ზოგადად სერიოზულობაც კი, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება საგანგაშო პოლიტიკური ფონის გათვალისწინებით. არსებული პოლიტიკური კლიმატი, რომელიც ბოლოდროინდელი საკანონმდებლო ცვლილებებით ილუსტრირდა, იქნება ეს ანტი-ლგბტი ცვლილებები თუ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონი,³³ რამაც გამოიწვია კიდევ სამოქალაქო საზოგადოების მასშტაბური ბოიკოტი,³⁴ ცხადია წყალში ყრის პროგრესის მცირე მცდელობასაც კი.

ხელისუფლების მცდელობა, ერთი ხელით თავი მოიწონოს თითქოს გაუმჯობესებული სიძულვილის დანაშაულის გამოძიების მექანიზმით, ხოლო მეორე ხელით მასტიგმატიზირებული საკანონმდებლო ჩარჩოს მიღება, რაც თავისმხრივ ძირს უთხრის დემოკრატიულ ღირებულებებსა და ევროპული ინტეგრაციის შესაძლებლობას, ნათლად წარმოაჩენს მის ნამდვილ, ვიწროპოლიტიკურ წინასაარჩევნო ზრახვებს, რაზეც ზევით უკვე ვისაუბრეთ.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები ლგბტი ადამიანების წინააღმდეგ

კრიტიკულად პრობლემური ანტი-ლგბტი კანონების მიღება თუ ინიცირებამდეც, საგანგაშო იყო სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით სიძულვილის დანაშაულის მიმართ ლგბტი ადამიანების მოწყვლადობის და

³² საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხი, [04.09.2024].

³³ ეუთო/ოდირის შეფასებით კანონი არ შეესაბამება ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო სამართალში აღნიშნულ მკაცრ მოთხოვნებს, ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/odihr/569925>

³⁴ 126 სამოქალაქო და მედიაორგანიზაცია ხელისუფლებასთან თანამშრომლობას წყვეტს, იხ.: <https://go.on.ge/3ie6>

სამართალდამცავი უწყების წარმომადგენელთა მგრძობელობის ნაკლებობის საკითხი:

- Ⓢ 2019 წელს გაეროს დომოუკიდებელმა ექპერტმა (სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ძალადობისა და დისკრიმინაციისგან დაცვის თაობაზე) საქართველოს შესახებ გამოქვეყნებულ ანგარიშში მიუთითა, რომ ლგბტი ადამიანების მიმართ „ცემა გავრცელებული პრაქტიკაა, ისევე როგორც მუდმივი შევიწროება და ბულინგი...“³⁵
- Ⓢ სახალხო დამცველი ლგბტი ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ 2021 წლის სპეციალურ ანგარიშში ჯგუფს ძალადობის მიმართ ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლადად ასახელებს.³⁶
- Ⓢ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისარი საქართველოს შესახებ მის 2022 წლის ანგარიშში ხაზს უსვამს ლგბტი ადამიანების წინააღმდეგ ძალადობას და მიზეზად ძალადობის ორგანიზატორთა დაუსჯელობას ასახელებს. სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიების პრობლემაზე საუბრისას კომისარი მიუთითებს სამართალდამცავთა უუნარობაზე მიაკვლიონ და სწორად დააკვალიფიცირონ სიძულვილის მოტივი.³⁷
- Ⓢ 2023 წლის საპარლამენტო ანგარიშშიომბუდსმენი კვლავ წერს, რომ ლგბტი თემის წევრები ძალადობის, დისკრიმინაციისა და შევიწროების მსხვერპლები არიან და რომ ეს, საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური განწყობით, სიძულვილის მოტივით ჩადენილი ძალადობრივი ქმედებებით და სხვა სახის დისკრიმინაციული დამოკიდებულებებით არის გამოწვეული.³⁸

ამასთან, სახალხო დამცველის 2021 წლის სპეციალური ანგარიშის მიხედვით, მათ შორის, ყველაზე მაღალი მომართვიანობა ჰქონდათ ლგბტი თემის წარმომადგენელთა მიმართ სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილ საქმეებზე (25 საქმე, მათ შორის 5 შემთხვევა ეხებოდა პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან მომდინარე სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებს).³⁹ ლგბტი ადამიანების მიმართ სავარაუდო სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულების ნაწილი შეეხებოდა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის, ცემისა და სიცოცხლის მოსპობის მუქარის ფაქტებს. ასევე, ლგბტი უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციის ოფისზე თავდასხმისა და ფიზიკური

³⁵ ხელმისაწვდომია: <https://documents.un.org/doc/undoc/gen/g19/139/35/pdf/g1913935.pdf>, §31.

³⁶ ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2022051115380032325.pdf>

³⁷ ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/report-of-the-council-of-europe-commissioner-for-human-rights-dunja-mi/1680a740bf>, §17.

³⁸ საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წლის ანგარიში, საქართველოს სახალხო დამცველი, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf>, გვ. 184.

³⁹ საქართველოს სახალხო დამცველი, სამართალდამცავთა პოზიტიური ვალდებულებები დაუცველი ჯგუფების თანასწორუფლებიანობის დაცვის მხრივ 2021 წლის ანგარიში, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021051415512039554.pdf>, გვ. 14.

შეურაცხყოფის შემთხვევებს. განმცხადებლები ასევე მიუთითებენ, რომ რიგ შემთხვევებში, პირები სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებას ადგილზე პოლიციის მისვლის შემდგომაც განაგრძობდნენ, რასაც სამართალდამცავი უწყებების წარმომადგენლების მხრიდან რეაგირება არ მოჰყოლია. ამასთანავე, მიუხედავად გონივრული ვადის გასვლისა, რიგ საქმეებზე დაზარალებულად არ უცნიათ კონკრეტულ ინციდენტში მონაწილე პირები, რაც მათ უზღუდავთ წვდომას სისხლის სამართლის საქმის მასალებზე. სახალხო დამცველის წარმოებაში არსებული საქმეებიდან ასევე იკვეთება ძალადობის ფაქტები არასრულწლოვანი ლგბტი თემის წევრების მიმართ, რომლებსაც სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს და სიცოცხლის ხელყოფით დაემუქრნენ, ასევე გამოიკვეთა ლგბტი ადამიანების ოჯახის წევრებისთვის ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენების ფაქტები. დანაშაულებრივი ქმედებები ჩადენილი სხვადასხვა პირის მიერ და სხვადასხვა გარემოებებში, მათ შორის: რესტორნის მომსახურე პერსონალისა და დაცვის თანამშრომლის მხრიდან, მეზობლების მხრიდან, ახლობლების მხრიდან, ოჯახის წევრების მხრიდან, ბინის გამქირავებლის მხრიდან, პოლიციის განყოფილების თანამშრომლებისა და უფროსის მხრიდან, საპატრულო ეკიპაჟის მხრიდან, გადაცემაში მონაწილეობის გამო, საყურის გამო, კლუბის რიგში, მეტროში და სხვა.⁴⁰

ოფიციალური ციფრების მიხედვით, საქსტატის 2023 წლის უნიფიცირებული ანგარიშის თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტრომ საქსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ შესაძლო 43 დანაშაულზე დაიწყო გამოძიება, ხოლო პროკურატურამ 21 საქმეზე განახორციელა სისხლისსამართლებრივი დევნა.⁴¹ სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წერილის მიხედვით, 2023 წლის ნოემბერსა და დეკემბერში 2 სისხლის სამართლის საქმეში გამოიკვეთა საქსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივი.⁴² უზენაესი სასამართლოს წერილის მიხედვით კი, 2023 წელს საქალაქო სასამართლოების მიერ საქსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულებისთვის მსჯავდებული გახლდათ 5 პირი, ხოლო გენდერული იდენტობის ნიშნით - 13.⁴³

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ლგბტი ჯგუფზე მომუშავე არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციათა სტატისტიკა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და ინციდენტების მასშტაბის განსხვავებულ მონაცემებს აჩვენებს. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ 2021 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხულთაგან, ათიდან შვიდი რესპონდენტი ერთხელ მაინც გამხდარა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლი ბოლო 2 წლის განმავლობაში (N=155, 73.5%). მათ შორის, ფიზიკური და საქსუალური

⁴⁰ იქვე.

⁴¹ ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/media/60697/diskriminacia_2023.pdf

⁴² სპეციალური საგამოძიებო სამსახურის წერილი, [02.09.2024].

⁴³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილი, [11.09.2024].

ძალადობის ან შევიწროების მსხვერპლი გამხდარა ყოველი მესამე (N=147, 30.3%), 68.7% (N=145) კი - ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი.⁴⁴

ამასთან, ლგბტი ადამიანების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ ჩატარებულ არაერთ კვლევაში გამოჩნდა, რომ სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ძალადობის მსხვერპლები თავს იკავებენ ძალადობის შესახებ სამართალდამცავთათვის მიმართვისგან, რის მიზეზადაც სამართალდამცავთა მიმართ ნდობის ნაკლებობას, იძულებითი ქამინგ აუთისა და მეორადი ვიქტიმიზაციის შიშს ასახელებენ. მაშინ როდესაც გამოკითხულთა 55% ჰქონია ძალადობის გამოცდილება 2018-2020 წლებში, სამართალდამცავი უწყებებისადმი ნდობის არქონი გამო 69,6%-მა უარი განაცხადა მიმართვაზე.⁴⁵

მსგავსი კოლექტიური გამოცდილება, მოწყვლადი ჯგუფების თანასწორუფლებიანობის დაცვის კუთხით სამართალდამცავთა პოზიტიური ვალდებულებების არასათანადო შესრულება და ულტრამემარჯვენე ძალადობრივი ჯგუფებისა და მათი ლიდერების მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებზე არაეფექტიანი რეაგირება, განაპირობებს კიდევ თემის წევრების მხრიდან სამართალდამცავი უწყებებისადმი დაბალ ნდობას და მიმართვიანობის დაბალ მაჩვენებელს, რაც დანაშაულზე ეფექტიან რეაგირებას არსებითად აბრკოლებს.⁴⁶ კვლევამაც აჩვენა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს არ ენდობა ლგბტი რესპონდენტთა 66%, საქართველოს პროკურატურას - 74%, ხოლო სასამართლოს - 58%.⁴⁷

სიძლვილის დანაშაულის მიმართ ეფექტიან რეაგირებაზე სახელმწიფოს პასუხი შინაგან საქმეთა სამინისტროს ფარგლებში შექმნილი ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის შექმნაა. მართალია დეპარტამენტის არსებობა წინ გადადგმული ნაბიჯია, რამაც გააუმჯობესა კოორდინაცია სიძლვილით მოტივირებულ დანაშაულებზე, თუმცა დეპარტამენტი მიმდინარე გამოძიებაზე ზედამხედველი უწყებაა, რომელიც თავად არ იძიებს დანაშაულებს და არ უზრუნველყოფს მასზე სისხლისსამართლებრივ თუ ადმინისტრაციულ სამართლებრივ რეაგირებას, შესაბამისად, ვერც მიიჩნევა პოლიციის

⁴⁴ ე. ადგომელაშვილი და სხვები, COVID-19-ის გავლენა ლგბტ(ქ)ი თემზე, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), 2022, ხელმისაწვდომია: https://wisg.org/Data/docs/publications/research-study/WISG_Covid-impact-on-LGBTQI-community-GE.pdf, გვ. 125.

⁴⁵ ლგბტქ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2020, ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/ლგბტქ_ჯგუფის_სოციალური_ექსკლუზიის_კვლევა_1612128809.pdf

⁴⁶ საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ 2023 წლის ანგარიში, საქართველოს სახალხო დამცველი, ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf>, გვ 188.

⁴⁷ საქართველოს სახალხო დამცველი, ლგბტ+ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში, 2021, ხელმისაწვდომია: https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/undp_ge_lgbtqi_pdo_02_geo.pdf, გვ. 25.

სისტემაში სპეციალიზებული საგამოძიებო უწყების შემცვლელად, რაც იყო ECRI-ს,⁴⁸ გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტის⁴⁹ თუ ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისრის⁵⁰ რეკომენდაციის ნაწილი.

რეკომენდაციის A.1 და 2 ნაწილებთან მიმართებით რელევანტურია 2020 წელს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული გადაწყვეტილება საქმეზე „აღდგომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“ რომელიც 2009 წელს პოლიციის მიერ ლგბტ ორგანიზაციის ოფისის დარბევას უკავშირდება, რა დროსაც მათ მომჩივნების მისამართით ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილის ენა და მუქარა, ასევე ჩხრეკის შეურაცხმყოფელი, გამიძვლებითი ფორმა გამოიყენეს. სასამართლომ კონვენციის მე-3 მუხლის (წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) არსებითი და პროცედურული მხარეების დარღვევა დაადგინა მე-14 მუხლთან (დისკრიმინაციის აკრძალვა) ერთობლიობაში.⁵¹

ეს გადაწყვეტილება განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან 15 წლის შემდეგაც ლგბტ ითემი სამართალდამცავი უწყებებისთვის მიმართვისას მრავალ დაბრკოლებას აწყდება. ეს გამოიხატება როგორც მართლმსაჯულების ყველა რგოლის, პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოს მუშაკთა მხრიდან ჰომო/ბი/ტრანსფობიურ მოპყრობაში, ისე სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიებაში.

ამასთან, საქმეზე გამოძიება წლებია მიმდინარეობს ხელშესახები შედეგების გარეშე: მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული საგამოძიებო მოქმედებები ჩატარდა, ისინი ზედაპირული და არათანმიმდევრულია. 2024 წლის 15 დეკემბერს ხანდაზმულობის ვადის ამოწურვის რისკი კიდევ უფრო ამძაფრებს შეშფოთებას სახელმწიფოს მიერ სამართალიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფის შესახებ.⁵²

მსხვერპლთა მხარდაჭერა და დახმარება

ქალთა ინიციატივების მხარდამჭრი ჯგუფის მიერ 2021 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ხუთიდან თითქმის სამი რესპონდენტი (58.3%, N=123) ამბობს, რომ ძალადობის შედეგებთან გასამკლავებლად ფსიქოლოგის დახმარება სჭირდებოდა.

⁴⁸ ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/ecri-conclusions-on-the-implementation-of-the-recommendations-in-respe/1680934a7e>, გვ. 5.

⁴⁹ ხელმისაწვდომია: <https://undocs.org/en/A/HRC/41/45/ADD.1?fbclid=IwAR1uGxuj6IMh0KqfYO9D1vUNMQv4SWO0LSiwgZH7UQCeSdylM71tmToyZo>, §42.

⁵⁰ ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/report-of-the-council-of-europe-commissioner-for-human-rights-dunjami/1680a740bf>, §18.

⁵¹ გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია: <https://hudoc.echr.coe.int/fre#%22itemid%22:%22001-204815%22>

⁵² ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტისადმი წარდგენილი 2024 წლის ანგარიში საქართველოში ლგბტ უფლებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://wisg.org/Data/docs/publications/report/2024/Rule-9.1-and-9.2-submission-Identoba-group-020824.pdf>

123-დან 37-მა იცოდა, სად მიეღო სერვისი, თუმცა დახმარებისთვის არ მიუმართავს, 14-სთვის ხელმიუწვდომელი იყო, ოთხმა რესპონდენტმა არ იცოდა სერვისის შესახებ. საჭიროების მქონე რესპონდენტთაგან ნახევარზე მეტმა მიიღო სერვისი (55%, N=68), მათგან, 52-მა სათემო ორგანიზაციაში. ამავე კვლევის მიხედვით, სერვისებზე მოთხოვნის თვალსაზრისით, მეორე-მესამე ადგილზე სოცმუშაკისა და ადვოკატის სერვისებია. ექიმის დახმარება დასჭირვებია ძალადობის მსხვერპლთა მეხუთედს (21.3%, N=45). ხუთიდან ოთხმა შეძლო საჭირო სერვისის მიღება (N=35). 39-მა რესპონდენტმა განაცხადა, რომ გამოიყენებდა ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის რესურსს, თუმცა, ასეთი სერვისების არსებობის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონიათ. ამასთანავე, ძალადობრივი გამოცდილების გამო, თავშესაფარი დასჭირდა 27 რესპონდენტს. სამს სათემო ორგანიზაცია დაეხმარა, ხუთმა სხვა რესურსები მოიძია, ოთხს არ მიუმართავს, დანარჩენებმა კი არ იცოდნენ, სად შეიძლებოდა მსგავსი სერვისის მიღება.⁵³

ამ საჭიროებებზე საპასუხოდ, ხარვეზული და არასაკმარისია სერვისები სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის მსხვერპლთათვის. სამართალდამცავ სისტემაში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური 2022 წელს პროკურატურაში 20 კოორდინატორს, ხოლო - შინაგან საქმეთა სამინისტროში 11-ს ასაქმებდა,⁵⁴ რომლებიც თავის მხრივ, სისტემაში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სპეციფიკური სერვისების და ცოდნის ნაკლებობის გამო, ბენეფიციართა რეფერირებას კვლავ არასამთავრობო სექტორში ახდენდნენ. დღევანდელი მდგომარეობით ეს კოორდინაცია, ხსენებული ბოიკოტისა და სახელმწიფოს მკვეთრად გამოხატული ანტი-ლგბტი პოლიტიკის გამო შეუძლებელია - ანტი-ლგბტი და არასამთავრობო ორგანიზაციების მასტიგმატიზირებული კანონების ძალით ხელისუფლება ხელს უშლის სათემო ორგანიზაციებს გასცენ ყველაზე მნიშვნელოვანი სერვისები, მაშინ როდესაც თავად ამ სერვისების არც ბიუჯეტი და არც ინიციატივა გააჩნია.

თავისუფლების ადვოკატის დაწესებულებები

რეკომდენდაციის A-4 ნაწილთან მიმართებით, მნიშვნელოვანია მივუთითოთ, რომ საპატიმრო დაწესებულებაში მოთავსებისას მოწმდება ბრალდებულის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.⁵⁵ სქესის შესაბამისად სეგრეგირებული რეგულირების პირობებში, ის ტრანს ადამიანები, რომლებსაც გენდერის სამართლებრივ აღიარებაზე ხელი არ მიუწვდებოდათ და რომელთა სქესის შესახებ ჩანაწერი მათ გენდერულ იდენტობას არ ემთხვევა, დაუცველი რჩებოდნენ: ტრანს ქალებს უწევთ, რომ სასჯელი

⁵³ ე. აღდგომელაშვილი და სხვები, COVID-19-ის გავლენა ლგბტ(ქ) თემზე, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), 2022, ხელმისაწვდომია: https://wisg.org/Data/docs/publications/research-study/WISG_Covid-impact-on-LGBTQI-community-GE.pdf, გვ. 133.

⁵⁴ იხ.: <https://rm.coe.int/report-of-the-council-of-europe-commissioner-for-human-rights-dunja-mi/1680a740bf>, გვ. 11.

⁵⁵ საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსი,“ 33-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/91612?publication=43>

მოხადონ კაცებთან ერთად, ხოლო ტრანსი კაცები ქალთა სპეციალურ დაწესებულებაში ხვდებიან.

საკითხზე 2019 წელს აპელირებდა გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტიც, რომელმაც მიუთითა, რომ გენდერის სამართლებრივ აღიარებასთან დაკავშირებულმა ბარიერებმა და სასამართლო ხელისუფლების მიერ გენდერის შეზღუდულმა განმარტებამ შესაძლოა განაპირობოს ტრანსი ქალის კაცებისათვის განკუთვნილ სასჯელადსრულების დაწესებულებაში გაგზავნა და პირიქით, რასაც თან ახლავს ყოველგვარი რისკი, რომელიც ასეთ პრაქტიკას უკავშირდება. შესაბამისად, ექსპერტი მიუთითებდა დაუყოვნებლივ საჭიროებაზე აღმოფხვრილიყო არაჰუმანური მოთხოვნები გენდერის სამართლებრივი აღიარებისთვის,⁵⁶ პასუხად 2024 წელს ხელისუფლებამ, როგორც აღვნიშნეთ, გენდერის სამართლებრივ აღიარებაზე ხელმისაწვდომობა ახლა უკვე კანონის ძალით სრულად აკრძალა.

საანგარიშო პერიოდში, სახალხო დამცველს განცხადებით მიმართა სპეციალურ პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულმა ტრანს პატიმარმა, რომელიც მიუთითებდა, რომ პენიტენციური დაწესებულება არ აწვდიდა მის საჭიროებაზე მორგებულ სამედიცინო მომსახურებას. დაწესებულებაში მოხვედრამდე, განმცხადებელი გადიოდა ჰორმონალურ მკურნალობას, თუმცა, თავისუფლების აღკვეთის შემდეგ მედიკამენტებს ვეღარ იღებს; უარი ეთქვა ასევე ენდოკრინოლოგის მომსახურებით სარგებლობაზე.

რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ სამედიცინო საჭიროებების დაკმაყოფილება და მედიკამენტებით უწყვეტი უზრუნველყოფა, ყველა ბრალდებულისა თუ მსჯავრდებულის გარანტირებული უფლებაა. განმცხადებელს, მისი გენდერული იდენტობიდან გამომდინარე, განსხვავებული, მის საჭიროებაზე მორგებული სამედიცინო მომსახურება უსაჭიროება. ენდოკრინოლოგის მომსახურებაზე უარის თქმით ხდება მისი სპეციფიკური მახასიათებლების იგნორირება. სახალხო დამცველმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ პატიმარმა კონსულტაცია არა ზოგადი პროფილის, არამედ ამ მიმართულებით სპეციალიზებული ენდოკრინოლოგისგან უნდა მიიღოს. შედეგად, 2020 წლის 7 დეკემბერს, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორს - გაატაროს სათანადო ღონისძიებები განმცხადებლისთვის როგორც სპეციალიზებული ენდოკრინოლოგის მომსახურებით, ასევე ჰორმონალური მედიკამენტების შეუფერხებლად და უწყვეტად მიწოდების უზრუნველსაყოფად.⁵⁷

⁵⁶ ხელმისაწვდომია: <https://documents.un.org/doc/undoc/gen/g19/139/35/pdf/g1913935.pdf>, §47-50.

⁵⁷ ხელმისაწვდომია: <https://www.ombudsman.ge/geo/rekomendatsiebi/sakhalkho-damtsvelma-transgenderi-patimris-satanado-mkurnalobastan-dakavshirebit-penitentsiur-samsakhurs-mimarta>

B. „სიძულვილის ენა“

6. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები იმისათვის, რომ წინ აღუდგნენ გამონატვის ყველა ფორმას, მათ შორის, მედიისა და ინტერნეტის საშუალებით, რომელზეც გონივრულად შეიძლება იფიქრონ, რომ აქვს ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერების მიმართ სიძულვილის ან დისკრიმინაციის სხვა ფორმების პროვოცირების, გავრცელების ან წახალისების ეფექტი. ამგვარი „სიძულვილის ენა“ უნდა აიკრძალოს და საჯაროდ დაიგმოს, როგორც კი თავს იჩენს. ყველა ზომა პატივს უნდა მიაგებდეს გამონატვის თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებას, კონვენციის მე-10 მუხლის და სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესაბამისად.
7. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აამაღლონ ცნობიერება საჯარო ხელისუფლებებსა და საჯარო ინსტიტუციებში, მათი პასუხისმგებლობის ყველა დონეზე, რათა თავი შეიკავონ ისეთი განცხადებებისაგან, განსაკუთრებით, მედიის წინაშე, რომლებიც გონივრულად გაგებული იქნება, როგორც ამგვარი სიძულვილის ან დისკრიმინაციის ნებადართველი.
8. საჯარო მოხელეებსა და სახელმწიფოს სხვა წარმომადგენლებს მხარი უნდა დაუჭირონ, რათა მათ ხელი შეუწყონ ტოლერანტობასა და ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერების ადამიანის უფლებების პატივისცემას, როცა ისინი ჩართულნი არიან სამოქალაქო საზოგადოების — მათ შორის, მედია და სპორტული ორგანიზაციების, პოლიტიკური ორგანიზაციების და რელიგიურ გაერთიანებათა მთავარ წარმომადგენლებთან დიალოგში.

სიძულვილის ენა, როგორც ლგბტი ადამიანების დისკრიმინაციის ერთ-ერთი მეტად გავრცელებული ფორმა, საქართველოში ყველაზე პრობლემური, პოლიტიკური ჰომოფობიის ფორმით ვრცელდება. ის მასშტაბი, რაც პოლიტიკოსების მიერ ანტი-ლგბტი სიძულვილის ენის ტირაჟირებამ მონიტორინგის ამ ციკლის ფარგლებში მიიღო,

წარმოადგენს პოლიტიკის ფორმირების უმთავრეს იარაღს. სიძლვილის ენის პრობლემურობაზე ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისარიც საუბრობს საქართველოს შესახებ 2022 წლის ანგარიშში და აღნიშნავს, რომ თუ წარსულში ლგბტი ადამიანების მიმართ სიძლვილის ენა არჩვენების დროს ძლიერდებოდა, ახლა ის ყოველდღიური დისკურსის ნაწილს წარმოადგენს.⁵⁸ მართლაც, საჯარო პირების შეფასებები და კომენტარები დისკრიმინაციისა და ძალადობის შემთხვევებზე გაჯერებულია ანტი-ლგბტი რიტორიკით, საკითხის სამართლებრივ ჩარჩოში დაბრუნებისა და ადამიანის უფლებათა კონტექსტში განხილვის ნაცვლად კი, ისინი უმთავრესად აპელირებენ დომინანტურ კულტურულ, ტრადიციულ და რელიგიურ ღირებულებებზე. საკითხი მწვავე და არსებითია, რამაც ანტი-ლგბტი კანონის ფორმა უკვე მიიღო, შესაბამისად წინამდებარე თავში რეკომენდაციის 6-8 ნაწილები მხოლოდ პოლიტიკური სიძლვილის ენასთან მმართველით გააანალიზდება.

ის რომ ლგბტი ადამიანების წინააღმდეგ სიძლვილის ენა იარაღია, სცდება ვიწრო, ჯგუფის თვითაღქმას. ევროპის საბჭოს მიერ 2018 და 2021 წელს ჩატარებული განმეორებითი გამოკითხვები აჩვენებს, რომ სიძლვილის ენა უფრო ინტენსიურად ხდება ქართული საზოგადოების პრობლემა. მაშინ როდესაც 2018 წელს გამოკითხულთა 45%-მა დაასახელა სიძლვილის ენა პრობლემად, 2021 წელს ეს მაჩვენებელი 56% იყო. მონაცემები აჩვენებს, რომ საზოგადოების აღქმით ყველაზე ხშირად ლგბტი ადამიანები ხდებიან სიძლვილის ენის სამიზნე (45% - 2021 წელს),⁵⁹ რაც თავისმხრივ, არა მხოლოდ გავლენას ახდენს თანასწორობასა და სამოქალაქო სიმყარაზე, არამედ აქეზებს ძალადობას და ამყარებს ნეგატიურ განწყობებს ჯგუფის მიმართ. ბოლო პერიოდის მაგალითებიც საკმარისია რომ ცხადად დავინახოთ კავშირი პოლიტიკოსების მხრიდან დაქედრებულ სიძლვილის ენის გამოყენებასა და ლგბტი ადამიანების მიმართ ძალადობის ინცდიდენტებს შორის. ანტი-ლგბტი კანონის მიღებიდან მეორე დღეს ცნობილი ტელეწამყვანი და მოდელი, ტრანს ქალი, კესარია აბრამიძე, განსაკუთრებული სისასტიკით მოკლეს, რაც ამ ბოროტი გადაწყვეტილების მხოლოდ ტრაგიკულ სიმბოლოდ კი არ იქცა, ის პირდაპირი შედეგი და კონკრეტული მაგალითია იმისა, თუ რა მოჰყვება სიძლვილის პროპაგანდასა და დაკანონებას.⁶⁰

მართლაც, პოლიტიკური ჰომოფობია მეტად საშიშ ფორმას მაშინ იღებს, როდესაც საზოგადოებაში ჰომოფობიის დონის კლების ფონზე ინსტრუმენტალიზდება. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ 2016 და 2021 წლებში ჩატარებული კვლევის შედეგების შედარება აჩვენებს, რომ ჰომო/ბი/ტრანსფობიის ინდექსები კლების ტენდენციას ამჟღავნებს: მნიშვნელოვნადაა შემცირებული იმ რესპონდენტების წილი, ვინც ლგბტი ადამიანების მიმართ ზიზღს განიცდის, ურთიერთობებს გარყვნილებად აღიქვამს ან მორალურად განიკითხავს ასეთ ადამიანებს. რესპოდენტთა წილი რომელიც მიიჩნევს, რომ „ლგბტი ადამიანების უფლებები დაცული უნდა იყოს, მაგრამ

⁵⁸ ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/report-of-the-council-of-europe-commissioner-for-human-rights-dunja-mi/1680a740bf>, § 22

⁵⁹ ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/book-eng/1680a583d0>, გვ. 32.

⁶⁰ იხ.: <https://wisg.org/ka/news/detail/448/ტრანსგენდერ-აქტივისტზე-თავდასხმის-კონტექსტი-ხელისუფლების-მიერ-სიძლვილის-ტირაჟირება>

არაა საჭირო, რომ გეებმა/ლესბოსელებმა თავიანთი ცხოვრების სტილი სხვებს მოახვიონ თავზე,” 2016 წელთან შედარებით, 20.6%-ითაა შემცირებული. რაც პროპორციულად აისახება ლგბტი უფ- ლებადამცველების მიმართ დამოკიდებულებებზეც: ხუთი წლის მანძილზე თითქმის 20%-ით შემცირდა იმ რესპონდენტთა წილი, ვინც ნეგატიურად აფასებდა აქტივისტების საქმიანობას (74.5%-დან 56.8%-მდე). ამასთან, კვლევების შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ საზოგადოების დამოკიდებულება მნიშვნელოვნად არის შეცვლილი ლგბტი ადამიანების უფლებრივი თანასწორობის მიმართაც. იმ რესპონდენტთა წილი, ვინც ლგბტი თემის წევრთათვის ცალკეული უფლების შეზღუდვას ემხრობა, მკვეთრადაა შემცირებული.⁶¹

შესაბამისად, მიგვაჩნია რომ ჰომოფობიური სიძულვილის ენის ტირაჟირებით ხელისუფლება ძირს უთხრის პოზიტიური ცვლილებების შესაძლებლობას, მანიპულირებს საზოგადოებაზე, ფარავს რეალურ წუხილენს და აღვივებს ირაციონალურ შიშებს.

აღნიშნულის საილუსტრაციოდ ანტი-ლგბტი კონსტიტუციური ცვლილების ინიცირების ფონზე ჩატარებული სახალხო განხილვებიც გამოდგება, სადაც მმართველი პარტია ცდილობდა საზოგადოების დარწმუნებას, თითქოს საკონსტიტუციო ცვლილებების გარეშე, მამაკაცისა და ქალის, სქესის, დედისა და მამის, ზოგადად, „ქართველობის“ ცნება საფრთხის ქვეშ დგება:

პარლამენტის წევრი მმართველი პარტიიდან, მამუკა მდინარაძე ამბობდა, რომ ევროპის ქვეყნებს „ნელ-ნელა აიძულებენ, ერთსქესიანთა, ერთნაირსქესიანთა ქორწინება დააკანონონ, გამონაკლისი არც საქართველოა და, რომ დამცავი მექანიზმების გარეშე, საქართველოს, შესაძლოა - ინცესტის ნორმალიზებაც მოახვიონ თავს.“⁶²

მდინარაძემ გააჟღერა, რომ „მაკდონალდში არიგებდნენ ბროშურებს, სადაც იყო ჩანაწერი, რომ ელტონ ჯონმა მონუსხა სამყარო თავისი ნიჭით, მაგრამ ვერ გახდა ბედნიერი, სანამ დევიდს არ გაქყვა ცოლად, ეს ხომ უბედურებაა?“⁶³

პარლამენტის თავმჯდომარე, შავლა პაპუაშვილმა ტრანს ადამიანებთან დაკავშირებით თქვა, რომ „არსებობს ბიოლოგიური ჭეშმარიტებები, რომლებსაც ადამიანი ვერ ცვლის. ეს მოცემულობები უნდა მივიღოთ და ეს მოცემულობები ისე არ უნდა შეცვალოთ რომ

⁶¹ წინარწმენიდან თანასწორობამდე. Vol.2 საზოგადოების ცოდნის, ინფორმირებულობისა და დამოკიდებულების კვლევა ლგბტ(ქ)ი თემისა და მათი უფლებრივი თანასწორობის მიმართ, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი, 2023, ხელმისაწვდომია:

<https://wisg.org/Data/docs/publications/research-study/WISG-From-Projudice-to-Equality-2022.pdf>, გვ. 20.

⁶² იხ.: <https://www.radiotavisupleba.ge/a/როცა-უნდა-ეწოდოს-არა-ქალი-და-კაცი-არამედ-მშობელი-რაზე-ელაპარაკება-ოცნება-ხალხს-რეგიონებში/32919203.html>

⁶³ იხ.:

https://www.youtube.com/watch?v=vD4gbXnm5vE&list=PLqTXegRvY_J96p5HBVvIWpFroaodB0zIV&index=3
[1:04:04].

სხვას თავს მოვახვიოთ ჩვენი ალტერნატიული წარმოდგენები ჭეშმარიტებებთან დაკავშირებით.“⁶⁴

ღებტი ადამიანების მიერ ბავშვის შვილად აყვანის აკრძალვის შესახებ კითხვაზე პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა ჰომოსექსუალიზმი ალკოჰოლიზმს შეადარა და ორივე მათგანი ბავშვისთვის რისკ-ფაქტორად დაასახელა.⁶⁵

მსგავსი განცხადებები იწვევს ღებტი საკითხების ინსტრუმენტალიზებას და ჯგუფის მარგინალიზებას, შედეგად კი ზრდის ღებტი ჯგუფის მიმართ აგრესიას, კვებავს ზიზღს, რაც არა იმდენად თვითორგანიზებული, არამედ „ზემოდან ქვემოთ“ ინიცირებული და პოლიტიკურია.

ანტი-ღებტი საკანონმდებლო პროცესის მიღმაც, მიმდინარე წლის მანძილზე ქართული ოცნების მაღალჩინოსანთა გამოსვლებში, ასევე პარტიის პროპაგანდისტული მედიების ეთერებიდან ღებტი ადამიანების მიმართ სიძულვილის გამუდმებულმა და დაუფარავმა ფრქვევამ უკვე მიაყენა დიდი ზიანი ღებტი ადამიანებს, რაც მთლიანად ხელისუფლების პასუხისმგებლობაა. თემის არაერთმა წევრმა დატოვა ამ პერიოდში ქვეყანა, რადგან გადაეწურა სრულუფლებიან მოქალაქედ აღიარების და ქვეყანაში ღირსეულად ცხოვრების უკანასკნელი იმედიც.

ამდენად, ფუჟია მექანიზმები ჰომო/ბი/ტრანსფობიურ სიძულვილის ენასთან გასამკლავებლად, მათ შორის, „საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსი, რომლის თანახმადაც “დაუშვებელია სხვისი ღირსების შემლახველი, უხამსი, სექსისტური, დისკრიმინაციული გამოსვლა, მიმართვა, მოქმედება და სიძულვილის ენის სხვაგვარი გამოყენება.“⁶⁶ ჩანაწერის მიუხედავად, ეფექტიანი და ქმედითი მექანიზმი პარლამენტის წევრების მხრიდან სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებში გათვალისწინებული არ არის.

საჯარო სამსახურის ბიურო 2024 წლის 3 სექტემბრის წერილში უთითებს, რომ მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აკრძალვისა და სექსუალური შევიწროვების დაუშვებლობის საკითხი; რომ დადგენილება საჯარო მოსამსახურეს ავალდებულებს, თავი შეიკავოს საჯაროდ სიძულვილის ენის გამოყენების ან/და დისკრიმინაციული ხასიათის კომენტარების გაკეთებისგან. თუმცა, ზემოაღნიშნული მაგალითებიც ცხადყოფს ამ ჩანაწერის უსუსურობის ხარისხს.

⁶⁴ იხ.:

https://www.youtube.com/watch?v=XNXkqgHf6U&list=PLqTXegRvY_J96p5HBVvIWpFroaodB0zIV&index=4
[1:34:35]

⁶⁵ იხ.:

https://www.instagram.com/reel/C8rvh9GBnjV/?utm_source=ig_web_copy_link&fbclid=IwY2xjawETVVVleHRuA_2FibQlxMAABHT5Tncc_UtRlvtz5nIKvsGqVFR9bw9Mwjox4PMVpdkq8CilJuVqvNrxGA_aem_Ou2pReF-Sblp9fsvolbGg

⁶⁶ საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსი, მუხლი 3, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4489058?publication=0>

და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ საქართვეოს სისხლის სამართლის კოდექსი კრძალავს ძალადობისკენ საჯაროდ მოწოდებას და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონით იკრძალება დისკრიმინაციის წახალისება, რომელიც ვრცელდება იმ შემთხვევებში, როდესაც სიძულვილის ენა ვერ აღწევს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სტანდარტს, ჩანაწერები თითქმის არ გამოყენებულა პრაქტიკაში.⁶⁷ მაგალითად, ტელეკომპონია „ალტ-ინფოს,“ რომელიც უხამსობის შემცველი გადაცემების გამო სამართალდამრღვევად იქნა ცნობილი, ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობის უფლება მიეცა, მიუხედავად იმისა რომ ამ პლატფორმიდან მიზოგინიური, ქსენოფობიური, ჰომოფობიური, დისკრიმინაციული და სიძულვილის ენის შემცველი გზავნილები ვრცელდება, ხოლო მისი დამფუძნებლები და წამყვანები 5 ივლისის ძალადობრივი კონტრაქციის მონაწილეები და ორგანიზატორები იყვნენ.⁶⁸

ზემოაღნიშნული მიუთითებს, რომ ქვეყანაში არ არსებობს სიძულვილის ენასთან გამკლავებისა და მისი პრევენციის შესაბამისი ქმედითი მექანიზმები. თუმცა, მონიტორინგის ამ ციკლის ფარგლებში პრობლემა სცდება მექანიზმების გამართვის საკითხს და მეტად ეხება პოლიტიკურ ნებას, რამაც მადისკრიმინებული, მარგინალური და ცენზურის დამდგენი ფორმა - ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ კანონის თვალთმაქცური სახელით - უკვე მიიღო.

⁶⁷ საქართველოს სახალხო დამცველი, ლგბტ+ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში, 2021, ხელმისაწვდომია: https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/undp_ge_lgbtqi_pdo_02_geo.pdf, გვ. 18.

⁶⁸ იქვე.

II. გაერთიანების თავისუფლება

9. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ კონვენციის მე-11 მუხლის თანახმად, გაერთიანების თავისუფლების უფლება განხორციელდეს ეფექტიანად, სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე; კერძოდ, არ უნდა დაუშვან და გააუქმონ დისკრიმინაციული ხასიათის ადმინისტრაციული პროცედურები, მათ შორის, დამატებითი ფორმალობები გაერთიანებათა რეგისტრაციისა და პრაქტიკული ფუნქციონირებისათვის; აგრეთვე, მიიღონ ზომები იმისათვის, რომ არ დაუშვან ბოროტად გამოყენება სამართლებრივი და ადმინისტრაციული დებულებებისა, რომლებიც შეეხება მუზღუდვებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, მორალის და წესრიგის საფუძველზე.
10. არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის დასაშვებ სახელმწიფო დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობა უნდა იყოს დაცული სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე.
11. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეფექტიანად დაიცვან ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერების უფლებათა დამცველები მტრული დამოკიდებულებისა და აგრესიისაგან, რაც შეიძლება გამოამჟღავნონ მათ მიმართ მათ შორის სახელმწიფო მოხელეებმაც, რათა უფლებათა დამცველებს მიეცეთ საშუალება, თავისუფლად განახორციელონ თავიანთი საქმიანობა, შესაბამისად მინისტრთა კომიტეტის დეკლარაციისა ევროპის საბჭოს ქმედებების შესახებ, ადამიანის უფლებათა დამცველების დაცვის გაუმჯობესებისა და მათი საქმიანობის წასახალისებლად.
12. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ლესბოსელთა, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერების ადამიანის უფლებათა დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები სათანადოდ იყვნენ ინფორმირებული ისეთი ზომების მიღებისა და განხორციელების შესახებ, რომელთაც, შესაძლოა, გავლენა ჰქონდეთ ამ პირების ადამიანის უფლებებზე.

რეკომენდაციის დანართის 9-12 ნაწილები სახელმწიფოებისგან მოითხოვს მიიღონ ზომები და უზრუნველყონ, რომ ლგბტი ორგანიზაციებს შეეძლოთ ოფიციალური რეგისტრაცია, თავისუფალი მუშაობა, ლგბტი პირებზე გავლენის მქონე საჯარო პოლიტიკის მიღებისას და განხორციელებისას ისინი ჩართულნი იყვნენ პარტნიორობის დონეზე და ხელი მიუწვდებოდეთ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამიზნულ დაფინანსებაზე; ასევე, ლგბტი პირების უფლებების დაცვის საკითხზე მომუშავე ორგანიზაციები ეფექტურად უნდა იყვნენ დაცულნი ძალადობისა და აგრესიისაგან.

2024 წელს საქართველოს ხელისუფლების მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტები სრული ანტიპოდია მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის აღნიშნული ნაწილების. არათუ საქსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს ურთულდებათ მუშაობა მიღებული მასტიგმატიზირებული კანონების გამო, არამედ ზოგადად არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიას. ამასთან, ლგბტი საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებს დამატებით ანტი-ლგბტი კანონი უქმნის ეგზისტენციურ საფრთხეს, რამდენადაც ის მნიშვნელოვანად ზღუდავს სიტყვისა და გამონათქვამის თავისუფლებას, შეკრების თავისუფლებას, ხელს უწყობს ჩაგვრას და ახალისებს სიძულვილს. ლგბტი უფლებების სტიგმატიზაციისა და დისკრიმინაციის დაკანონებას წინ უძღვოდა ზოგადად ადამიანის უფლებათა და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების პოლიტიკურ დისკურსში მზარდი სტიგმატიზაცია და მათ წინააღმდეგ სახელმწიფო მანქანის ამოქმედება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის სახელით, რომელსაც მსუსხავი ეფექტი აქვს მედიასაშუალებებისა და სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის, ადამიანის უფლებებზე, დემოკრატია და კანონის უზენაესობაზე მომუშავე ორგანიზაციების მუშაობაზე და იწვევს სამოქალაქო საზოგადოების სტიგმატიზაციას.

უცხოური გავლენის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის აუცილებლობის სახელით შეიქმნა ორგანიზაციების ახალი კატეგორია, რომლებიც „უცხოური ძალის ინტერესებს ატარებენ“ და დაფარა: ა) არაკომერციული იურიდიული პირი, გარდა სპორტული ფედერაციებისა და სისხლის დაწესებულებებისა (კონკრეტული რეგულაციების გათვალისწინებით), რომელიც თავისი მთლიანი წლიური შემოსავლის 20%-ზე მეტს უცხოური ძალისგან იღებს; ბ) მაუწყებელი, რომელიც თავისი მთლიანი წლიური შემოსავლის 20%-ზე მეტს უცხოური ძალისგან იღებს; გ) იურიდიული პირი, რომელიც ერთპიროვნულად ან სხვასთან ერთად საქართველოში ფლობს მასობრივი ინფორმაციის ბეჭდურ საშუალებას, რომელიც თავისი წლიური შემოსავლის 20%-ზე მეტს უცხოური ძალისგან იღებს; და დ) იურიდიული პირი, რომელიც საქართველოში ერთპიროვნულად ან სხვასთან ერთად ფლობს ან/და იყენებს მასობრივი ინფორმაციის ინტერნეტდომენს ან ინტერნეტმედიას, რომელიც თავისი მთლიანი წლიური შემოსავლის 20%-ზე მეტს უცხოური ძალისგან იღებს.⁶⁹ კანონის ძალით ეს სუბიექტები ვალდებული არიან დარეგისტრირდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს

⁶⁹ საქართველოს კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6171895?publication=0>, მუხლი 2.

საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, როგორც „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაცია.“⁷⁰ კანონი არეგულირებს რეგისტრაციის წესს, რეგისტრაციისთვის მინიჭებულ საჯაროობას, შემდგომში ფინანსური დეკლარაციის წარდგენის ყოველწლიურ ვალდებულებას და მასთან დაკავშირებულ სხვა ვალდებულებებს, ასევე რეგისტრაციის გაუქმების წესს. იუსტიციის სამინისტროს კანონის შესრულების მონიტორინგის ფუნქციას აკისრებს და შეუსრულებლობის შემთხვევაში ჯარიმებს ითვალისწინებს.⁷¹

კანონპროექტის პარლამენტში განხილვასა და მიღებას თან ახლდა მასობრივი საპროტესტო აქციები. კანონპროექტი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო დონეზე ფართო და მწვავე კრიტიკის ობიექტი გახდა:

საქართველოს სახლახო დამცველი მოუწოდებდა პარლამენტს არ მიეღო არც ერთი სამართლებრივი აქტი, რაც საფრთხეს შეუქმნიდა საქართველოს კონსტიტუციური მისწრაფების აღსრულებას, არ ამოფარებოდა გამჭვირვალობის ფარდას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქართველოში უკვე არსებობდა მონაცემთა ბაზა, ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის მოეპოვებინა ინფორმაცია ყველა დონორის, დაფინანსების ტიპის, პროექტის და თემატური მიმართულების შესახებ.⁷²

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა შემფოთება გამოთქვა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის გაერთიანებისა და გამონატვის თავისუფლებასთან შესაბამისობაზე, ასევე მისი მსუსხავი ეფექტის თაობაზე მედიასაშუალებებისა და სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის, ადამიანის უფლებებზე, დემოკრატისა და კანონის უზენაესობაზე მომუშავე ორგანიზაციების საქმიანობაზე. კომისრის განმარტებით, კანონის იმპლემენტაციამ შესაძლოა გამოიწვიოს უცხოური დაფინანსების მიმღები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მედია საშუალებების და მათი საქმიანობის სტიგმატიზაცია და დისკრედიტაცია, მათ შორის, საზოგადოებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების თვალში, რაც, შესაბამისად, სირთულეს შეუქმნის ან შეუძლებელს გახდის მათი საქმიანობის განხორციელებას.⁷³

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისმა (ეუთო/ოდირი) კი კანონის შესახებ გადაუდებელი სამართლებრივი ანალიზი გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამია, რომ კანონი „შეიცავს სერიოზულ ხარვეზებს, რაც მას შეუთავსებელს ხდის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან და ქვეყნის, როგორც ეუთოს წევრი სახელმწიფოს ვალდებულებებთან და ამიტომ, ის

⁷⁰ იქვე, მუხლი 4.

⁷¹ იქვე, მუხლი 9.

⁷² იხ.: <https://www.ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/sakartvelos-sakhalkho-damtsvelis-gantskhadeba-utskhouri-gavlenis-gamchvirvalobis-shesakheb-sakartvelos-kanonis-proektan-dakavshirebit>

⁷³ ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/michael-oflaherty-letter-geo/1680af603e>

უნდა გაუქმდეს.⁷⁴ დასკვნაში ხაზგასმულია, რომ დაფინანსებაზე, მათ შორის უცხოურ დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობა, გაერთიანების თავისუფლების უფლების მნიშვნელოვანი ელემენტია და რომ გამჭვირვალობის გაზრდა თავისთავად არ არის გაერთიანების თავისუფლების უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზანი.⁷⁵

ვენეციის კომისიამაც გააანალიზა კანონის შესაბამისობა მოქმედ საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან და დაასკვნა, რომ გამოხატვის თავისუფლებასთან, გაერთიანების თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან მიმართებით კანონით დადგენილი შეზღუდვები ვერ პასუხობს ევროპული კონვენციის მე-8(2), მე-10(2) და მე-11(2) მუხლებით, ასევე სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა პაქტის მე-17(2), მე-19(2) და 22(2)-ე მუხლებით დადგენილ მკაცრ ტესტს, ვინაიდან ისინი ვერ აკმაყოფილებს დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონიერების, ლეგიტიმურობის, აუცილებლობისა და პროპორციულობის მოთხოვნებს, ისევე როგორც ევროპული კონვენციის მე-14 მუხლით განსაზღვრულ დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპს.⁷⁶ უფრო კონკრეტულად ვენეციის კომისიის შეფასებაზე, - „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელ სუბიექტად დასახელება ძირს უთხრის როგორც სამიზნე ორგანიზაციების ფინანსურ სტაბილურობასა და სანდოობას, ასევე მათ საქმიანობას. რეგისტრაციისა და ანგარიშგების დამამძიმებელი მოთხოვნების კუმულაციური გავლენა (მათ შორის, ფინანსური ინფორმაციის გამჟღავნება), რომელიც ზღუდავს სტიგმატიზებული გაერთიანებების წვდომას დაფინანსების სხვადასხვა წყაროზე, ასევე მძიმე პოტენციური ადმინისტრაციული ჯარიმები და მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა, უდავოდ გართულებს და საფრთხეს შეუქმნის შესაბამისი ორგანიზაციების ეფექტურ ფუნქციონირებასა და არსებობას.“⁷⁷ ვენეციის კომისიის დასკვნის მიხედვით, კანონი, გამჭვირვალობის უზრუნველყოფის სახელით, ფაქტობრივად, სტიგმატიზაციის, გაჩუმებისა და საბოლოო ჯამში, ლიკვიდაციის რისკის ქვეშ აყენებს იმ გაერთიანებებსა და მედიასაშუალებებს, რომლებიც თავიანთი სახსრების თუნდაც მცირე ნაწილს უცხოეთიდან იღებენ.⁷⁸ იქმნება სერიოზული რისკი იმისა, რომ კანონი იმ გაერთიანებებსა და მედიასაშუალებებს შეეხება, რომლებიც მთავრობას აკრიტიკებენ, შესაბამისად, მათი მოცილება უარყოფითად იმოქმედებს ღია, ინფორმირებულ საჯარო დებატებზე, პლურალიზმსა და დემოკრატიაზე.⁷⁹ შედეგად, ვენეციის კომისია ხელისუფლებას კატეგორიულად ურჩევდა კანონის ამჟამინდელი ფორმით გაუქმებას, მისი არსებითი ხარვეზების მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენის მოახდენის რისკის გამო გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლებაზე, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებასა და დისკრიმინაციის აკრძალვაზე.

⁷⁴ ხელმისაწვდომია: <https://www.osce.org/files/f/documents/b/d/569922.pdf>

⁷⁵ იქვე.

⁷⁶ ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI\(2024\)013-geo §96](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2024)013-geo §96)

⁷⁷ იქვე, §97.

⁷⁸ იქვე, §98.

⁷⁹ იქვე.

უცხოეთის აგენტის კონცეფციაზე ნამსჯელი აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსაც, რომელმაც დაადგინა, რომ „უცხოეთის აგენტის“ იარლიყის მიმაგრება არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, გარდა ამ ტერმინის გაუმჭირვალე ბუნებისა, არის „გაუმართლებელი და ზიანის მომტანი“, რასაც ახლავს არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობაზე ძლიერი შემაკავებელი და მასტიგმატიზირებული ეფექტი.⁸⁰

ამ პროცესშივე იკითხება პასუხი მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაზე, ლგბტი ორგანიზაციებთან კოორდინაციის საჭიროებასთან დაკავშირებით. ლგბტი ორგანიზაციებისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში კოორდინაცია ყოველთვის ცალმხრივი პროცესი იყო, რაც თუნდაც, ჩვენი ორგანიზაციის მიერ შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტების მაგალითზე თუ ადამიანის უფლებების სამოქმედო გეგმებიდან ჯგუფის საჭიროებების შესახებ სათემო ორგანიზაციების მიერ მრავალგზის ადვოკატირებული თემების და საბოლოოდ ჯგუფის შესახებ საკითხების გაქრობით ილუსტრირდება. თუმცა, კოორდინაცია ჩიხში 2024 წელს განხილული საკანონმდებლო ცვლილებების გამო შევიდა და სამოქალაქო ორგანიზაციების ბოიკოტით დასრულდა.

ერთის მხრივ, სახელმწიფო პოლიტიკა, რომელიც მორალის დაცვის სახელით ლგბტი საკითხების მარგნალიზებასა და დისკრიმინაციას ეწევა, მეორეს მხრივ კი, ზოგადად სამოქალაქო საზოგადოების მიმართ სტიგმას აძლიერებს, ლგბტი ორგანიზაციებს ორმაგი შევიწროვების ქვეშ აქცევს. მართალია რეგისტრაციის კუთხით საფრთხე ლგბტი ორგანიზაციებს ჯერ არ შეჰქმნიათ, თუმცა, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსში აქამდეც აღნიშნული იყო, რომ ორგანიზაცია შეიძლება რეგისტრაციისას დისკვალიფიცირდეს, თუ მისი მიზნები ეწინააღმდეგება „აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს,“ ახალი ანტი-ლგბტი საკანონმდებლო რეგულირების შუქზე, ამ ჩანაწერის ლგბტი მიზნების საწინააღმდეგო ინტერპრეტაციის რეალური რისკი არსებობს.

შესაბამისად, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის საპირწონედ, სახელმწიფო არათუ იღებს ზომებს ლგბტი უფლებადამცველთა დასაცავად მტრული დამოკიდებულებისა და აგრესიისგან, არამედ თავადვე ქმნის ამგვარი მარგნალიზების საკანონმდებლო საფუძველს. თავისმხრივ, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი და სხვა სათემო ორგანიზაციებიც, ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ნაწილში სამოქალაქო საზოგადოების ფართო ბოიკოტის ნაწილი არიან.⁸¹

⁸⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2022 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Ecodefence and Others v. Russia*, §136.

⁸¹ იხ.: <https://go.on.ge/3ie6>

III. გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება

13. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისად, გამოხატვის თავისუფლება ეფექტიანად განხორციელდეს სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე, მათ შორის, სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის საკითხებზე ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების თავისუფლების პატივისცემით.
14. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე იმის უზრუნველსაყოფად, რომ მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლება გამოიყენებოდეს ეფექტიანად, როგორც ამას ამტკიცებს კონვენციის მე-11 მუხლი, სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე.
15. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა მიიღონ სათანადო ზომები, რათა დაიცვან ლესბოსელთა, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერების უფლებების დასაცავად გამართულ მშვიდობიან დემონსტრაციათა მონაწილეები ნებისმიერი მცდელობისაგან, უკანონოდ ჩამალონ იგი ან ხელი შეუშალონ გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების უფლების ეფექტიან განხორციელებას.
16. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები იმისათვის, რომ ხელი შეუშალონ შეზღუდვების დაწესებას გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლების ეფექტიან განხორციელებაზე, რაც შედეგად მოჰყვება სამართლებრივი ან ადმინისტრაციული დებულებების უკანონო გამოყენებას, მაგალითად, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, მორალისა და წესრიგის მოტივით.
17. საჯარო ხელისუფლებებმა ყველა დონეზე ხელი უნდა შეუწყონ პირის ან პირთა ჯგუფის გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების უფლებაში უკანონო ჩარევის საჯარო გაკიცხვას, განსაკუთრებით, მედიაში, მით უფრო, როცა საქმე ეხება ლესბოსელების, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერების ადამიანის უფლებებს.

დანართის III ნაწილი წევრი სახელმწიფოებისგან მოითხოვს, უზრუნველყონ ლგბტი პირთა გამონატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება, სექსუალურ ორიენტაციასთან და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული ინფორმაციისა და იდეების მიღებისა და გადაცემის თავისუფლება, ხელი შეუწყონ პლურალიზმსა და დისკრიმინაციის დაუშვებლობას მედიაში, კანონიერი შეკრების დაცვასა და ლგბტი პირთა გამონატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლებაში ნებისმიერი ჩარევის შეზღუდვას.

გამონატვის თავისუფლება

მონიტორინგის მეორე ციკლისას, ძნელად თუ წარმოვიდგენდით, რომ მომდევნო ჯერზე საქართველო იმ ქვეყნების ჯგუფში გადაინაცვლებდა, სადაც შეკრებისა და გამონატვის თავისუფლება ანტი-ლგბტი კანონმდებლობით იქნებოდა ცენზირებული, რომ ქვეყანაში ავტორიტარული რეჟიმის გასამყარებლად შეკრებისა და გამონატვის თავისუფლება ამ მასშტაბით შეიზღუდებოდა. თუმცა, დღეს ანტი-ლგბტი კანონი, რომელიც დეკემბერში ამოქმედდება, ზღუდავს განსახილველ უფლებებს, აწერებს ინფორმაციის კონტროლის ტოტალურ შესაძლებლობას, კრძალავს არარსებულ „პროპაგანდას“ და „პოპულარიზებას.“

განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ „პოპულარიზების“⁸² კონცეფცია იმსახურებს, რამდენადაც ტერმინი განზრახ არ განირჩევა და ფაქტობრივად სინონიმად უტოლდება ცოდნის გადაცემას, ინფორმაციის გავრცელებას თუ სამეცნიერო და სახელოვნებო კვლევასა და ნამუშევრების შექმნას, ისევე, როგორც შეკრებასა და მანიფესტაციის ჩატარებას. კანონი შესაძლებელს ხდის გენდერისა და სექსუალობის შესახებ ნებისმიერი ცოდნის, ინფორმაციის, ნამუშევრის გავრცელების, თუ ქმედების გამონატვის „პოპულარიზებად“ მონათვლას და ამის საფუძველზე მის აკრძალვას. აღნიშნული სრულად ეწინააღმდეგება დემოკრატიული საზოგადოების ბაზისებს და ხელისუფლებას აძლევს შესაძლებლობას „პოპულარიზება“ დააბრალოს მის მიმართ კრიტიკის გამომხატველ ნებისმიერ სამოქალაქო თუ პოლიტიკურ პირს ან ჯგუფს, ექიმს, მასწავლებელს, ჟურნალისტს, მკვლევარს, ხელოვანს, გამომცემელს, მწერალს, პოლიტიკოსს, მეცნიერს, აქტივისტს თუ საპროტესტო მოძრაობას. მეტიც, იმდენად

⁸² საქართველოს კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6283110?publication=0>, მუხლი 3, ტერმინის „პოპულარიზაცია“ განმარტება: ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ინფორმაცია/ქმედება ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ მიმართულ ინფორმაციად/ქმედებად მიიჩნევა, თუ, ობიექტური დამკვირვებლის აზრით, აღნიშნული ინფორმაცია/ქმედება ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნებას ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნებას, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატულ ურთიერთობას ან ინცესტს დადებითად ან/და მისაბამად წარმოაჩენს.

ბუნდოვანი და ამორფულია გამოყენებული ტერმინები, რომ ნეიტრალური ტიპის განცხადებებიც კი შეიძლება პროპაგანდად იქნეს აღქმული.

ამდენად, ანტი-ლგბტი კანონი წყვეტს თუ რას ვნახავთ, რას წავიკითხავთ, რას დავწერთ და თან იმდენად ფართოა ინტერპრეტაციის შესაძლებლობა, რომ თავისუფლად შეიძლება სოციალურ ქსელში აქტივობასაც შეეხოს. მეტიც, კანონის ამოქმედების შემთხვევაში შესაძლებელია ამ ანგარიშის გამოქვეყნებაც „პოპულარიზებად,“ შესაბამისად კანონგარეშედ ჩაითვალოს.

არასრულწლოვანთა და ოჯახური ღირებულებების დაცვის სახელით, ანტი-ლგბტი კანონი გამოხატვის თავისუფლების შესაზღუდად კრძალავს მაუწყებლის მიერ თავისი ეთერით ისეთი ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც მიმართულია ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ. ეს აკრძალავს მაუწყებლის ეთერში შემოქმედებითი ნაწარმოების განთავსების მიმართ გულისხმობს მხოლოდ ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ინტიმური ურთიერთობის ან ინცესტის ამსახველი სცენის მაუწყებლის ეთერით გავრცელების დაუშვებლობას.⁸³

კრძალავს ასევე, არასრულწლოვანთან პირდაპირი კომუნიკაციის განხორციელებით მისთვის ისეთი ინფორმაციის (მათ შორის, ისეთი შემოქმედებითი ნაწარმოების) მიწოდებას (გაზიარება) ან/და ისეთი ინფორმაციის (მათ შორის, ისეთი შემოქმედებითი ნაწარმოების) ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, რომელიც მიმართულია ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ.⁸⁴

ასევე, - რეკლამის გავრცელებას, რომელიც მიმართულია ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ.⁸⁵

ამასთან, ცვლილებას დაექვემდებარა „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონი და გამოხატვის შინაარსობრივი რეგულირება დაწესდა მაშინაც, თუკი გამოხატვა წინააღმდეგობრივი იქნება „ოჯახური ღირებულებებისა და

⁸³ იქვე, მუხლი 9, ნაწილი 1-ლი.

⁸⁴ იქვე, ნაწილი მე-2.

⁸⁵ იქვე, ნაწილი მე-3.

არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ, - შესაბამისად ზემოაღნიშნულ - რომელიმე მოთხოვნასთან.⁸⁶

აღსრულების მექანიზმს, აქმადე ისედაც პრობლემურ, საბჭოთა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს, შესაბამისი მუხლები დაემატა:

ადამიანის თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ მიმართული რეკლამის გავრცელება, თუ აღნიშნული რეკლამის გამავრცელებელი მის გავრცელებაზე ფაქტობრივ კონტროლს ახორციელებდა, -გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 800 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით, ხოლო იურიდიული პირისა - 2 500 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.⁸⁷

არასრულწლოვანისთვის, მასთან პირდაპირი კომუნიკაციის განხორციელების გზით ისეთი ინფორმაციის (მათ შორის, ისეთი შემოქმედებითი ნაწარმოების) მიწოდება (გაზიარება) ანდა ისეთი ინფორმაციის (მათ შორის, ისეთი შემოქმედებითი ნაწარმოების) ხელმისაწვდომობის შესაძლებლობის შექმნა, რომელიც მიმართულია ადამიანის თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ, - გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით, ხოლო იურიდიული პირისა-3000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.⁸⁸

უკიდურესად პრობლემურია, რომ ამ ქმედებების ხელახლა ჩადენა, სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობის ზომას ითვალისწინებს. სასჯელის ფორმად გათვალისწინებულია ჯარიმა, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთა ვადით ორ წლამდე.⁸⁹

ამასთან, დაუშვებლად გამოაცხადდა ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების საადმინისტრაციო ან/და საგანმანათლებლო პროგრამაში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების საადმინისტრაციო ან/და საგანმანათლებლო პროგრამაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სკოლის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაში ისეთი ინფორმაციის შეტანა ან/და

⁸⁶ ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=8>, მუხლი 9, ნაწილი ბ1.

⁸⁷ საქართველოს კანონის პროექტი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=564>, მუხლი 172², ნაწილი 1.

⁸⁸ იქვე.

⁸⁹ საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/363941?>

აღნიშნული დაწესებულების თანამშრომლის მიერ ამ დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში ან/და იმავე დაწესებულების ტერიტორიაზე ისეთი ინფორმაციის გავრცელება ან გავრცელების ხელშეწყობა, რომელიც მიმართულია ადამიანის თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამონატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ.⁹⁰ აღნიშნულ ჩანაწერს განათლების უფლების კონტექსტში უფრო დეტალურად ქვემოთ განვიხილავთ.

რაც შეეხება საკონსტიტუციო ცვლილების პაკეტს, კონსტიტუციური კანონის პროექტის მიხედვით, მცდელობაა აიკრძალოს იმგვარი შინაარსის ნაწარმოების, პროგრამის ან სხვა მასალის გავრცელება, რომელიც ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილის ან არაჰეტეროსექსუალი პირის მიერ არასრულწლოვანის შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის, სქესის შეცვლასთან დაკავშირებული სამედიცინო ჩარევის ან სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების არგამოყენების პოპულარიზაციისკენ იქნება მიმართული.⁹¹

მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილება თუ უკვე მიღებული საკანონდმებლო ცვლილება წინააღმდეგობრივია ეროვნული კანონდმებლობით გათვალისწინებულ იმ სტანდარტებთან, რაც მონიტორინგის გასული ციკლის ფარგლებში დეტალურად იქნა განხილული. კერძოდ, გამონატვის თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით და იქვეა მოცემული მისი შეზღუდვის საფუძვლებიც, რომლის თანახმად, აღნიშნული უფლება შესაძლოა შეიზღუდოს „კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველსაყოფად, სხვათა უფლებების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.“⁹² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „გამონატვის თავისუფლება დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძველია, რადგან მის გარეშე შეუძლებელია ადამიანის თვითრეალიზაცია - გამონატვის თავისუფლება თითოეული ადამიანის განვითარების და მთლიანად საზოგადოების პროგრესის აუცილებელი საფუძველია, სწორედ ის ქმნის საზოგადოებაში დემოკრატიული ღირებულებების გაზიარების პერსპექტივას.“⁹³

⁹⁰ საქართველოს კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6283110?publication=0>, მუხლი 8.

⁹¹ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი, ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/6157813?publication=0>, მუხლი 1, ნაწილი 7-8.

⁹² საქართველოს კონსტიტუცია, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=36>, მუხლი 17, მე-5 პუნქტი.

⁹³ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის №1/6/561,568 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, §39.

სახელმწიფო ასევე ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს,⁹⁴ რაც თავისმხრივ მოიაზრებს აზრის აბსოლუტურ თავისუფლებას; ნებისმიერი ფორმის ინფორმაციისა და იდეების მოძიების, მიღების, შექმნის, შენახვის, დამუშავებისა და გავრცელების უფლებას; ცენზურის დაუშვებლობას; სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიურ თავისუფლებას; ხელოვნების, შემოქმედებისა და გამოგონების თავისუფლებას. გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა შეიძლება დაწესდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კი ეს გათვალისწინებულია ნათელი და განჭვრეტადი, ვიწროდ მიზანმიმართული კანონით და შეზღუდვით დაცული სიკეთე აღემატება შეზღუდვით მიყენებულ ზიანს.⁹⁵ ხოლო, უფლების მზღუდავი საკანონმდებლო რეგულირება პირდაპირ უნდა მიემართებოდეს ლეგიტიმური მიზნის განხორციელებას, იგი უნდა იყოს აუცილებელი დემოკრატიული საზოგადოების არსებობისათვის. ამასთან, გამოხატვის თავისუფლების მზღუდავი მოწესრიგება არ უნდა იყოს დისკრიმინაციული და იგი უნდა იყოს პროპორციულად შემზღუდველი.⁹⁶

განათლების უფლებისა და მასწავლებლების გამოხატვის თავისუფლების ქრილში, კანონმდებლობა მასწავლებლებს ანიჭებს უფლებას სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე მოიძიოს, მიიღოს, შექმნას, შეინახოს, დაამუშაოს ან გაავრცელოს, ნებისმიერი ინფორმაცია და იდეები.⁹⁷

ამასთან, საკანონმდებლო ცვლილებები ეწინააღმდეგება არა მხოლოდ ზემოაღნიშულ ეროვნულ კანონმდებლობას, არამედ ადამიანის უფლებების საერთაშორისო სტანდარტებს და მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას, რომლიც მიხედვითაც საქართველოს ევალება ხელი შეუშალოს შეზღუდვების დაწესებას გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლების ეფექტიან განხორციელებაზე, რაც შედეგად მოჰყვება სამართლებრივი ან ადმინისტრაციული დებულებების უკანონო გამოყენებას, მაგალითად, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის, მორალისა და წესრიგის მოტივით.

ვენეციის კომისია მის დასკვნაში კონსტიტუციურ კანონპროექტზე „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ,” მოუწოდებდა ხელისუფლებას არ გაეგრძელებინა კანონპროექტის მიღება, რადგან კანონის პროექტი ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს არ შეესაბამება და პირიქით, აღვივებს ცრურწმენებს და სტერეოტიპებს ქვიარ ადამიანების მიმართ. გამომდნარე იქიდან, რომ მიღებული საკანონმდებლო პაკეტი მსგავსია საკონსტიტუციო ცვლილების პროექტისა, რასაც მიმერთებოდა კიდევ ვენეციის კომისიის დასკვნა, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ამ მიმართების განხილვაც.

⁹⁴ საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33208?publication=8>, მუხლი 3, 1-ლი ნაწილი.

⁹⁵ იქვე, მუხლი 8, 1-ლი ნაწილი.

⁹⁶ იქვე. მე-2 ნაწილი

⁹⁷ საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248?publication=107>, მუხლი 14, 1-ლი ნაწილი.

შეკრების, მანიფესტაციისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზანზე მსჯელობისას, ვენეციის კომისია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მიუთითებს, რომელშიც ევროპულმა სასამართლომ, განხილული კანონპროექტის იდენტური რუსეთში მოქმედი კანონმდებლობა მკაცრად გააკრიტიკა და დაუშვებლად ცნო ოჯახური ფასეულობებისა და ჰომოსექსუალობის აღიარებისა და პატივისცემის ურთიერთგამორიცხვა. სასამართლომ არასრულწლოვანთა დაცვის მიზანი სექსუალური უმცირესობების უფლებების შეზღუდვის საპირწონედ არაპროპორციულად მიიჩნია. რამდენადაც ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ნათელია ევროპული კონსესუსი, ნებისმიერი სექსუალურ უმცირესობას მიკუთვნებული პირის მიერ, საკუთარი უფლებებით ღიად და თავისუფლად სარგებლობის მნიშვნელობის შესახებ,⁹⁸ ვენეციის კომისიის დასკვნაში განმარტებულია, რომ ხელისუფლებას, საკმაოდ ვიწრო მიხედულობის ფარგლები ენიჭება, მიუხედავად იმისა, რომ კანონის შინაარსი, შესაძლოა საზოგადოებისათვის სენსიტიურ, მორალურ და ეთიკურ საკითხებს შეეხებოდეს.

ვენეციის კომისიამ მიიჩნია, რომ კონსტიტუციური კანონის ფარგლები გაუმართლებლად ფართოა და შეეხება, ნებისმიერ გამოხატვას, ინფორმაციასა თუ იდეას, რომელიც შემწყნარებლობას ადვოკატირებს ერთნაირსქესიან წყვილთა ურთიერთობისა თუ გენდერულ იდენტობებთან მიმართებით.⁹⁹

ე.წ. „პროპაგანდასთან დაკავშირებით“ ვენეციის კომისია მიუთითებს ევროპული სასამართლოს შეფასებაზე, რომ არ არსებობს სამეცნიერო მტკიცებულება ან სოციოლოგიური მონაცემები იმის ვარაუდის, რომ მხოლოდ ჰომოსექსუალობის ხსენება, ან სექსუალური უმცირესობების სოციალურ მდგომარეობაზე ღია საჯარო დებატები უარყოფითად იმოქმედებს ბავშვებზე ან „დაუცველ მოზარდებზე“ და რომ პირიქით, მხოლოდ სამართლიანი და საჯარო დებატების გზით არის შესაძლებელი საზოგადოებამ გადაჭრას ასეთი რთული საკითხები.¹⁰⁰

შედეგად, კომისიის დასკვნაა, რომ ინიცირებული კანონპროექტის ის მუხლები, რომლებიც გამოხატვის უფლებაში ჩარევას წარმოადგენს, არ პასუხობს განსაზღვრულობის მოთხოვნას და ამავდროულად, არ არის დასახელებული ლეგიტიმური მიზნის მიღწევის აუცილებელი საშუალება.

მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება

⁹⁸ ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2024\)021-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2024)021-e), §72.

⁹⁹ იქვე, §84.

¹⁰⁰ იქვე.

შეზღუდა ასევე მშვიდობიანი შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხების შესახებ. ანტი-ლგბტი კანონის ძალით დაუშვებელია საჯაროდ ისეთი შეკრება ან/და ისეთი მანიფესტაციის ჩატარება, რომელიც მიმართულია ადამიანის არცერთი ბიოლოგიური სქესისთვის მიკუთვნების ან/და მისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ.¹⁰¹

შეკრებისა და მანიფესტაციის მზღუდავი ნორმები კონსტიტუციურ ცვლილების პროექტითაცაა გათვალისწინებული და ითვალისწინებს იმგვარი შეკრების აკრძალვას, რომელიც ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილის ოჯახური ან ინტიმური ურთიერთობის, ინცესტის, არაჰეტეროსექსუალი პირის მიერ არასრულწლოვანის შვილად აყვანის ან მინდობით აღზრდის, სქესის შეცვლასთან დაკავშირებული სამედიცინო ჩარევის ან სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების არგამოყენების პოპულარიზაციისკენ არის მიმართული.¹⁰²

ანტი-ლგბტი პაკეტის ფარგლებში “შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ” კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად, ლგბტი პირთა და მათ მხარდამჭერთა შეკრების წინააღმდეგ საპოლიციო ძალის გამოყენება მაშინაც ლეგიტიმური იქნება, როდესაც არ არსებობს შეკრების ან მანიფესტაციის დაშლის კანონით დადგენილი საფუძველი. პოლიციას უბრალოდ შეეძლება, მოითხოვოს შეკრების/მანიფესტაციის შეწყვეტა და თუ ამ მოთხოვნიდან 15 წუთის განმავლობაში შეკრება/მანიფესტაცია არ შეწყდა, სამართალდამცავი ორგანო მის შესაწყვეტად გამოიყენებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.¹⁰³

გამოხატვის თავისუფლების ადმინისტრაციულსამართლებრივი რეგულაციის მსგავსად, შეკრება მანიფესტაციასთან მიმართებითაც, იმგვარი შეკრება და მანიფესტაცია, რომელიც არასრულწლოვანისთვის მასთან პირდაპირი კომუნიკაციის განხორციელების გზით ისეთი ინფორმაციის მიწოდების ან/და ისეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას ქმნის, რომელიც მიმართულია ადამიანის თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამოხატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ, – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით, ხოლო იურიდიული პირისა – 3 000 ლარის ოდენობით,

¹⁰¹ საქართველოს კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6283110?publication=0>, მუხლი 10.

¹⁰² საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი, ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/359733>, მუხლი 1, მე-6 პუნქტი.

¹⁰³ საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/363947?>

სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.¹⁰⁴ აქაც, ქმედების განმეორებით ჩადენა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას გამოიწვევს.¹⁰⁵

მსგავსად გამოხატვის თავისუფლების გარანტიებისა, ცვლილებები წინააღმდეგობრივია არსებულ რეგულაციებთან, რამდენადაც შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით და „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონით. ყველას აქვს უფლება, წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ, როგორც კერძო, ისე საჯარო სივრცეებში.¹⁰⁶ გარდა ამისა, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების ხელყოფის საკითხს არეგულირებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომლის მიხედვით, „შეკრების ან მანიფესტაციის მოწყობის ანდა მასში მონაწილეობის უფლების განხორციელებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა ძალადობით, ძალადობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.“¹⁰⁷

ეროვნულ კანონმდებლობასთან ერთად, განხილული შეზღუდვები ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს არა თუ ზოგად პრაქტიკას და სტანდარტებს, არამედ სასამართლოს და მინისტრთა კომიტეტის კონკრეტულ გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებს საქართველოს მთავრობისადმი.

საქმეზე იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, რომელშიც სასამართლომ კრიტიკულად შეაფასა სახელმწიფოს მხრიდან პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობა, სასამართლო აღნიშნავს, რომ ზოგიერთი მშვიდობიანი დემონსტრაცია შესაძლოა გამაღიზიანებელი იყოს საზოგადოების იმ ნაწილისათვის, რომელიც შეკრებაზე წარმოთქმულ იდეებსა და განცხადებებს არ იზიარებს. თუმცა, კონვენციის მე-11 მუხლი, რომელიც, თავის მხრივ, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებას განამტკიცებს, წევრ სახელმწიფოებს დემონსტრანტების ხელშეწყობასა და ფიზიკური ანგარიშსწორებისაგან დაცვის ვალდებულებას გულისხმობს.¹⁰⁸

ნიშნადობლივია, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 2024 წლის 19 სექტემბერს აღსრულების გაძლიერებული ზედამხედველობის ფარგლებში იდენტობას საქმეზე, საქართველოს ხელისუფლება ლგბტი თემის უფლებების დაცვის კუთხით

¹⁰⁴ საქართველოს კანონის პროექტი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/363943?>

¹⁰⁵ საქართველოს კანონის პროექტი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/363941?>

¹⁰⁶ საქართველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31678?publication=20>, მუხლი 2.

¹⁰⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>, მუხლი 161.

¹⁰⁸ ხელმისაწვდომია: <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-154400%22%5D%7D>, §95.

არსებული მდგომარეობის გამო მორიგ ჯერზე გააკრიტიკა.¹⁰⁹ კომიტეტმა ღრმა შეშფოთება გამოხატა ხელისუფლების მიერ ინიცირებული ანტი-ლგბტი საკანონმდებლო პაკეტის შესახებ და აღნიშნა, რომ „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის“ შესახებ კანონის ამოქმედება, საქართველოსათვის, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებისა და ევროპული კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პრობლემას წარმოშობს.¹¹⁰ კომიტეტმა მოუწოდა ხელისუფლებას, უარი თქვას ჰომო/ბი/ტრანსფობიური კანონმდებლობის მიღებასა და ლგბტი ადამიანების უფლებაშემლახავი ქმედებების განხორციელებაზე. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ხაზს უსვამს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს ლგბტი პირების შეკრების უფლებით თავისუფალი სარგებლობა. კომიტეტმა წუხილი გამოთქვა, რომ გადაწყვეტილებების მიღებიდან 12 წლის შემდეგაც, საქართველოში ლგბტი ადამიანები კვლავ ეჩხებიან ფართომასშტაბიან ძალადობასა და სიძულვილის ენას, და ამავდროულად, მოკლებული არიან შეკრების თავისუფლებით სარგებლობის შესაძლებლობას.¹¹¹

ვენეციის კომისიისა დასკვნა რელევანტურია შეკრების უფლებასთან მიმართებითაც. კომისიის აზრით, დაუშვებელია, რომ ნორმებში, რომლებიც ასე უხეშად ერევა, კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლებით გარანტირებულ უფლებებში, გამოყენებული იყოს, იმგვარი ბუნდოვანი და ფართო დეფინიციის ტერმინები, როგორცაა „შეკრება“, „პოპულარიზაცია“ და „გავრცელება.“ კანონში არსებული ბუნდოვანება გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების არაპროპორციული შეზღუდვის შესაძლებლობას იძლევა და ამდენად, ვერ პასუხობს კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნას.¹¹²

ის რომ შეკრების აკრძალვით ლგბტი ადამიანების ფუნდამენტური უფლებები ირღვევა, ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე რეფერირებით ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისარმაც შეახენა საქართველოს პარლამენტს.¹¹³

რეკომენდაციის მე-15-17 ნაწილებთან მიმართებით ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ინიცირებული ცვლილებების გაჩენამდეც, 2012 წლიდან მოყოლებული IDAHOBIT და პრაიდ მარშები განუწყვეტლივ იმლება ულტრა კონსერვატული და ულტრა მემარჯვენე ჯგუფების მიერ ან მათი მხრიდან ძალადობრივი თავდასხმის საფრთხის გამო ორგანიზატორების მიერვე. ის ფაქტი რომ ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფის უსაფრთხოებას და დაცვას მხოლოდ ამდაფრებს ამგვარ შეტევებს.

¹⁰⁹ ხელმისაწვდომია:

[https://hudoc.exec.coe.int/#{%22fulltext%22:\[%22identoba%22\],\[%22execdocumenttypecollection%22:\[%22CEC%22\],\[%22execidentifier%22:\[%22004-5894%22\]\]}](https://hudoc.exec.coe.int/#{%22fulltext%22:[%22identoba%22],[%22execdocumenttypecollection%22:[%22CEC%22],[%22execidentifier%22:[%22004-5894%22]]})

¹¹⁰ იქვე, §4.

¹¹¹ იქვე, §5.

¹¹² ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2024\)021-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2024)021-e), §73-76.

¹¹³ ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/letter-to-chairman-of-parliament-georgia-by-michael-o-flaherty-coucil-1680b18c78>

უფლების ხელყოფის, ძალადობისა და დაუსჯელობის წრე ასახულია ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებულ მორიგ გადაწყვეტილებაში:

2021 წლის გადაწყვეტილებაში საქმეზე "ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ," რომელიც შეეხებოდა 2013 წლის 17 მაისს დაგეგმილ მშვიდობიან აქციას, რომელიც ვერ შედგა, ვინაიდან სახელმწიფომ ვერ შეძლო აქციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სასამართლომ კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა), მე-11 (შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლების დარღვევა დადგინდა, სასამართლომ აქაც მსგავსად საქმისა იდენტობა და სხვები, განმარტა, რომ ხელისუფლებამ ვერ მიიღო ეფექტიანი ზომები ლგბტ ადამიანების დასაცავად კონტრდემონსტრაციებისგან, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჯეროვნად იყო ინფორმირებული ამგვარი რისკის მოსალოდნელობის შესახებ.¹¹⁴

საქმეზე გამოძიება ათ წელზე მეტია გრძელდება ისე, რომ არც ერთი პირი არ ყოფილა სისხლისსამართლებრივად პასუხისგებაში მიცემული.¹¹⁵

2012 და 2013 წლის მსგავსი მოვლენები განვითარდა საანგარიშო პერიოდშიც. 2019 წელს „თბილისის პრაიდის კვირულის“ ფარგლებში „ღირსების მარშის“ ჩატარებასთან დაკავშირებით, ულტრამემარჯვენე ძალადობრივმა ჯგუფებმა „სახალხო ლეგიონების“ შექმნა და ქუჩებში პატრულირება დაანონსეს,¹¹⁶ - ხელისუფლების უუნარობამ დაესაჯათ სიძულვილის და ძალადობის წამქეზებლები და ორგანიზატორები, გამოიწვია დაუსჯელობის აღქმა, რაც გამოიხატა ამ ჯგუფების მიერ 2021 წლის 5 ივლისს „ღირსების მარშის“ წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობრივ ქმედებებში. განსაკუთრებულად შემამფოთებელი იყო კონტრდემონსტრაციაში მონაწილე ორგანიზატორებისა და სასულიერო პირების მხრიდან საჯაროდ გამოხატული სიძულვილის ენა და ძალადობისკენ საჯარო მოწოდება, როგორც „ღირსების მარშის“ მონაწილეების, ისე ჟურნალისტების მიმართ. მოწოდებების უშუალო მიზანი იყო მშვიდობიანი აქციის მონაწილეთა დარბევა და ფიზიკური ძალადობისკენ წაქეზება, რაც მალევე კონტრდემონსტრაციის გასაშუქებლად ადგილზე მყოფი მედიასაშუალებების წარმომადგენლების მიმართ მასობრივ ძალადობაში გადაიზარდა.

ძალადობრივი ჯგუფებმა დაარბიეს „სირცხვილიას“ და „თბილისის პრაიდის“ ოფისები,¹¹⁷ „ღირსების მარშის“ ორგანიზატორებსა და მათ მხარდამჭერებს კი არ მიეცათ შესაძლებლობა შეკრებილიყვნენ. ჯგუფური ძალადობის შედეგად დაშავდა 55 ჟურნალისტი და ოპერატორი, დაზიანდა სხვადასხვა პირის კუთვნილი ნივთები და

¹¹⁴ ხელმისაწვდომია: <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-214040%22%5D%7D>

¹¹⁵ იხ.: <https://wisg.org/ka/news/detail/441/ადამიანის-უფლებათა-ორგანიზაციებმა-ევროპის-საბჭოს-მინისტრთა-კომიტეტი-წარუდგინეს-2024-წლის-ანგარიში-საქართველოში-ლგბტი-უფლებებთან-დაკავშირებულ-ევროპული-სასამართლოს-საქმეებზე>

¹¹⁶ იხ.: <https://oc-media.org/tbilisi-pride-cancelled-after-location-leaks-online/>

¹¹⁷ იხ.: <https://formulanews.ge/News/53042>

ჟურნალისტებს ხელი შეეშალათ პროფესიულ საქმიანობაში.¹¹⁸ საქართველოს ისტორიაში, ეს ჯგუფური ძალადობა ლგბტი ადამიანთა და ჟურნალისტთა წინააღმდეგ, ერთ-ერთი ყველაზე მძიმე და ფართომასშტაბიანი ორგანიზებული თავდასხმა იყო, რომელმაც არსებითი ზიანი მიაყენა მედიას, ლგბტი ადამიანებს, მათ მხარდამჭერებსა და ზოგადად, ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.¹¹⁹

რაც შეეხება სამართალდამცავთა პასუხს ამ მასშტაბის ძალადობაზე, მართალია დაზარალებულად 53 პირი იქნა ცნობილი და სისხლისსამართლებრივი დევნა 27 პირის მიმართ დაიწყო, თუმცა, ჯგუფური ძალადობის ორგანიზების და ძალადობის საჯაროდ მოწოდების ბრალდებით სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაწყებულა,¹²⁰ რაც არსებითად საგანგაშო გზავნილად და ძალადობის არაპირდაპირ ლეგიტიმაციად უნდა ჩაითვალოს.

2023 წლის 8 ივლისს თბილისი პრაიდის კვირეულისას პოლიციამ ვერ უზრუნველყო ულტრამემარჯვანე ძალადობრივი ჯგუფების მხრიდან პრაიდის დახურული, კერძო სივრცის დარბევის პრევენცია და ეფექტურად გამკლავება. მოძალადეებმა შეძლეს სივრცის დაკავება, ინსტალაციების დარბევა და დროშებისა თუ ბანერების დაწვა.¹²¹

2024 წელსაც ლგბტ ორგანიზაციებმა თავი შეიკავეს საჯარო შეკრებისგან, მათ შორის თბილისი პრაიდმა, რომელთაც განაცხადეს, რომ პრაიდის თვე ფიზიკური ღონისძიებების გარეშე ჩაივლიდა.¹²²

წლების მანძილზე დამკვიდრებული დაუსჯელობის პრაქტიკის პასუხად საზიანო იყო ქვეყნის საჯარო პირების მხრიდან ლგბტი ადამიანებისა და ძალადობრივი კონტრდემონსტრანტების ორ მოწინააღმდეგე მხარედ განხილვის ტენდენცია. ამას ადასტურებს საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშიც, სადაც აღნიშნულია, რომ „ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა ხელისუფლების მხრიდან ძალადობრივი ჯგუფების შეკრების თავისუფლებით მოსარგებლე განსხვავებული მოსაზრების მქონე პირებად განხილვა და მათგან მომდინარე საფრთხეების იმავე სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა, რომელშიც გარანტირებულია იმ პირთა უფლება, ვინც საკუთარ შეხედულებას მშვიდობიანი გზით გამოხატავს. ამგვარი მიდგომა ეწინააღმდეგება შეკრების თავისუფლების როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სტანდარტს, რამდენადაც, ძალადობრივი ჯგუფების მიერ კონტრაქციების მხოლოდ სხვათა უფლების შეზღუდვის მიზნით გამართვა უფლების ბოროტად გამოყენებაა,

¹¹⁸ იხ.: <https://ombudsman.ge/res/docs/2021090615354912875.pdf>

¹¹⁹ საქართველოს სახალხო დამცველი, ლგბტ+ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში, 2021, ხელმისაწვდომია: https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/undp_ge_lgbtqi_pdo_02_geo.pdf, გვ. 33.

¹²⁰ იქვე.

¹²¹ იხ.: <https://www.radiotavisupleba.ge/a/32495400.html>

¹²² იხ.: <https://civil.ge/ka/archives/612917>

ხოლო მათ მიერ ჩადენილი ძალადობრივი ქმედებები დაცული არ არის შეკრების თავისუფლებით.”¹²³

აღნიშული ძალადობრივი ჯგუფები თავიანთი მოქმედებებითა და განცხადებებით მუდამ ხელს უწყობდნენ ჰომოფობიური განწყობების გავრცელებას და დისკრიმინაციის წახალისებას, რაზეც ხელისუფლება არ ატარებდა საჭირო პრევენციულ ღონისძიებებს და არც კონკრეტულ შემთხვევებზე რეაგირებდა ეფექტიანად. დღეის მდგომარეობით კი, თავადვე შექმნა იმგვარი საკანონმდებლო ჩარჩო, სადაც ლგბტი ჯგუფს ჩამორთმეული აქვს შეკრებისა და გამოხატვის უფლება, სხვათა უფლებების დაცვის სახელით ფაქტობრივად აკრძალული და საჯარო სივრციდან სრულად გარიყულნი არიან.

¹²³ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება (უფლებით დაცული სფერო და შეკრების მართვის სტანდარტი), 2020, ხელმისაწვდომია: <https://ombudsman.ge/res/docs/2020061620213679437.pdf>, გვ. 11.

IV. პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება

18. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ გაუქმდეს ნებისმიერი დისკრიმინაციული კანონმდებლობა, რომელიც ახდენს ორ შეთანხმებულ მოზრდილ ადამიანს შორის ერთსქესიანი სქესობრივი აქტის კრიმინალიზაციას, მათ შორის, გაუქმდეს ნებისმიერი განსხვავება ასაკობრივ ზღვარს შორის ერთსქესიანი და ჰეტეროსექსუალური სქესობრივი აქტებისათვის; მათ აგრეთვე უნდა მიიღონ სათანადო ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისხლის სამართლის დებულებები, რომლებიც, მათი ფორმულირების გამო, შესაძლოა, გამოიყენონ დისკრიმინაციულად, გაუქმდეს, ან შეიცვალოს ან გამოიყენებოდეს იმგვარად, რომ შესაბამისობაში მოდიოდეს არადისკრიმინაციულობის პრინციპთან.
19. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საჯარო ინსტიტუციები, მათ შორის, კონკრეტულად სამართალდამცავი სტრუქტურები არ აგროვებდნენ, ინახავდნენ ან სხვაგვარად იყენებდნენ პირად მონაცემებს, რომლებიც შეეხება ადამიანის სექსუალურ ორიენტაციას ან გენდერულ იდენტობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს აუცილებელია განსაკუთრებული, კანონიერი და ლეგიტიმური მიზნების განხორციელებისათვის; არსებული ჩანაწერები, რომლებიც არ შეესაბამება ამ პრინციპებს, უნდა განადგურდეს.
20. წინასწარი მოთხოვნები, ფიზიკური ბუნების ცვლილებათა ჩათვლით, სქესის შეცვლის სამართლებრივი აღიარებისათვის, რეგულარულად უნდა განიხილებოდეს, რათა ამოიღონ შეურაცხმყოფელი მოთხოვნები.
21. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები იმისათვის, რომ გარანტირებული იყოს პიროვნების სქესის შეცვლის სამართლიანი აღიარება ცხოვრების ყველა სფეროში, კერძოდ, შესაძლებელი გახადოს სახელისა და სქესის შეცვლა ოფიციალურ დოკუმენტებში სწრაფად, გამჭვირვალედ და ხელმისაწვდომი გზით; წევრმა სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ, საჭიროების შემთხვევაში, მნიშვნელოვანი დოკუმენტების — როგორცაა საგანმანათლებლო და მუშაობის სერტიფიკატები — შესაბამისი აღიარება და ცვლილება არასახელმწიფო სუბიექტების მიერ.
22. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ სქესის შეცვლის დასრულებისა და სამართლებრივი აღიარების შემდეგ, ზემოთ მოცემული მე-20 და 21-ე პუნქტების შესაბამისად, ეფექტიანად იყოს გარანტირებული სქესშეცვლილი პირის უფლება, იქორწინოს მისი შეცვლილი სქესის საწინაარმდეგო სქესის პირზე.
23. როცა ეროვნული კანონმდებლობა განიხილავს დაუქორწინებელი წყვილების უფლებებსა და ვალდებულებებს, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ იგი ვრცელდებოდეს არადისკრიმინაციულად როგორც ერთსქესიან, ასევე

განსხვავებულსქესიან წყვილებზე, მათ შორის კანონმდებლობა, რომელიც შეეხება მარჩენალდაკარგულის საპენსიო სარგებელსა და საიჯარო უფლებებს.

24. იქ, სადაც ეროვნული კანონმდებლობა აღიარებს რეგისტრირებულ ერთსქესიან პარტნიორობას, წევრი სახელმწიფოები უნდა ესწრაფოდნენ იმის უზრუნველყოფას, რომ მათი სამართლებრივი სტატუსი და მათი უფლებები თუ მოვალეობები იყოს ჰეტეროსექსუალური წყვილების ექვივალენტური მსგავს ვითარებაში.
25. იქ, სადაც ეროვნული კანონმდებლობა არ აღიარებს და არც განიხილავს რეგისტრირებული ერთსქესიანი და დაუქორწინებელი წყვილების უფლებებსა ან ვალდებულებებს, წევრ სახელმწიფოებს სთავაზობენ, რომ ყოველგვარი დისკრიმინაციის, მათ შორის განსხვავებული წყვილების მიმართ დისკრიმინაციის გარეშე განიხილონ იმის შესაძლებლობა, რომ ერთსქესიანი წყვილები უზრუნველყონ სამართლებრივი ან სხვა საშუალებებით, რათა უპასუხონ იმ სოციალურ რეალობასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ პრობლემებს, რომლებშიც ისინი ცხოვრობენ.
26. იმის გათვალისწინებით, რომ მშობლის პასუხისმგებლობის ან ბავშვის მეურვეობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას უპირველესად მხედველობაში მისაღებია ბავშვის საუკეთესო ინტერესები, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ამგვარი გადაწყვეტილებები მიიღებოდეს სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე.
27. იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვის შვილად აყვანის შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, უპირველესად, მხედველობაში მისაღებია ბავშვის საუკეთესო ინტერესები, წევრმა სახელმწიფოებმა, რომელთა ეროვნული კანონმდებლობა მარტოხელა პირებს ბავშვის აყვანის ნებას რთავს, უნდა უზრუნველყონ, რომ კანონმდებლობა გამოიყენებოდეს სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე.
28. იქ, სადაც ეროვნული კანონმდებლობა მარტოხელა ქალებს დამხმარე რეპროდუქციული მკურნალობის ნებას რთავს, წევრი სახელმწიფოები უნდა ესწრაფოდნენ იმის უზრუნველყოფას, რომ ამგვარი მკურნალობა ხელმისაწვდომი იყოს სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე.

დანართის წინამდებარე ნაწილი, მათ შორის, განიხილავს ერთი და იმავე სქესის პირების კავშირს, პირადი ინფორმაციისა და თანასწორობის საკითხებს წყვილებისა და ბავშვების აღზრდის შემხვევებში; ასევე, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების ტრანსპეციფიკურ ქრილში, რამდენადაც კომიტეტი წევრი სახელმწიფოებისგან მოითხოვს უზრუნველყონ, რომ ტრანსგენდერ ადამიანებს ჰქონდეთ სქესის კვლავმინიჭების სერვისებზე ეფექტური წვდომა. შესაბამისად, ჩვენი შეფასებაც ამ სტრუქტურას გაჰყვება და მხოლოდ რელევანტურ რეკომენდაციებს გაანალიზებს. უპირველესად შეაფასებს ანტი-ღებტი კანონმდებლობით დაწესებულ მადისკრიმინირებელ ახალ სმართლებრივ რეჟიმს, მასზედ ვენეციის კომისიის დასკვნას და თუ როგორ მოდის წინააღმდეგობაში ცვლილებების სხვადასხვა პუნქტი საქართველოს კონსტიტუციასთან, კანონებთან და ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან.

ერთი და იმავე სქესის პირთა კავშირის სამართლებრივი აღიარების უფლება

რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგის წინა ციკლის ფარგლებში უკვე არსებობდა როგორც საკონსტიტუციო, ისე სამოქალაქო კოდექსის ჩანაწერი, რომელიც ქორწინების ცნებას ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობით რეგისტრირებულ კავშირად განმარტავდა. ქორწინებასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები კი, მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინების შემთხვევაში წარმოიშობა, რაც ღებტი პირებს თავისთავად გამორიცხავდა, რამდენადაც არც არსებობდა სამოქალაქო პარტნიორობის რეგისტრაციის წესი და შესაბამისი სამართლებრივი გარანტიები.

თუმცა, ხელისუფლების ანტი-ღებტი რიტორიკა ამით არ დასრულებულა და მიმდინარე ციკლის მანძილზე გამოხატულება დისკრიმინაციულ საკონსტიტუციო ინიციატივასა და საკანონმდებლო ცვლილებებში ჰპოვა. „ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ კონსტიტუციური კანონის პროექტი ითვალისწინებს ქორწინებასთან მიმსგავსებულ მხოლოდ იმგვარი ურთიერთობის მოწესრიგებას, რომელიც არანაკლებ 18 წლის ერთი გენეტიკური მამაკაცისა და ერთი გენეტიკური ქალის კავშირს გულისხმობს,¹²⁴ რაც თავისთავად კრძალავს ერთი და იმავე სქესის მქონე პირების ქორწინების შესაძლებლობას, - თავისმხრივ სამართლებრივად აქამდეც დაუშვებელს. ღიან, მართალია, ქვიარ ადამიანებს ისედაც არ შეეძლოთ ქორწინება, არსებულ აკრძალვას ემატება “ქორწინებას მიმსგავსებული” ნებისმიერი სახის სამოქალაქო კავშირის აკრძალვაც. ეს კი ეწინააღმდეგება ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს, რომლის პრაქტიკის შესაბამისად, ქორწინების არარსებობის პირობებში, ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ მიიღონ სამოქალაქო კავშირის ან რეგისტრირებული

¹²⁴ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი, ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/359733>, მუხლი 1.

პარტნიორობის რომელიმე ინსტიტუტით სარგებლობის საშუალება, რათა არსებობდეს ერთნაირსქესიანი წყვილების ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრისა და მათი ადეკვატური დაცვის გარანტიები,¹²⁵ რაც ასე რელევანტურია წინამდერაბარე რეკომენდაციის 25-ე ნაწილთან მიმართებითაც.

ვენეციის კომისიის შეფასებით, განუჭრეტადია რას მოიაზრებს კანონმდებელი „ქორწინებასთან მიმსგავსებულ ურთიერთობად,“ ასევე ბუნდოვანია, როგორ იქნება მოწესრიგებული ურთიერთობები იმ წყვილებს შორის, რომელთაგან ერთ-ერთმა მაინც გენდერული ტრანზიციის გაიარა.¹²⁶ სამწუხაროდ, ამ ბუნდოვანებას ფანტავს „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ უკვე მხარდაჭერილი კანონი, რიგი აკრძალვების გათვალისწინებით: ქორწინების დეფინიცია, ოჯახის შექმნის მიზნით განსხვავებული ბიოლოგიური სქესის ორი ადამიანის ნებაყოფლობით იმგვარ კავშირს გულისხმობს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. სხვა სახის კავშირის, როგორც ქორწინების, რეგისტრირება ანდა სამართლებრივი აქტით ქორწინებად აღიარება დაუშვებლადაა ცნობილი. კანონით დაუშვებლად ცხადდება, ქორწინების ალტერნატიული კავშირის ან ოჯახის შექმნის მიზნით ისეთი კავშირის რეგისტრირება ანდა სამართლებრივი აქტით აღიარება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით ქორწინებისთვის დადგენილ პირობას ეწინააღმდეგება, ხოლო საზღვარგარეთ რეგისტრირებულ ან/და აღიარებულ ასეთ კავშირს საქართველოში იურიდიული ძალა არ ექნება.¹²⁷

შედეგად, ლგბტი პირებს ეკრძალებათ საქორწინო-სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლა. ასევე, ჩამორთმეული აქვთ სამოქალაქო პარტნიორობის სამართლებრივი აღიარების შესაძლებლობა, შესაბამისად პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების დაცვის თანმდევი საშუალებები.

ვენეციის კომისიამ განმარტა, რომ ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილების ქორწინების აკრძალვა, არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებს, თუმცა, კომისიამ შეაფასა, რომ შემუშავებული საკანონმდებლო ცვლილებები, ერთიდაიმავე სქესის წყვილებს ტოვებს რა სამოქალაქო კავშირის აღიარების უფლების მიღმა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლთან ერთად, დისკრიმინაციის აკრძალვის დარღვევასაც იწვევს,¹²⁸ რამდენადაც სექსუალურ ორიენტაციის ნიშანზე დაფუძნებული განსხვავებული მოპყრობა მიუღებელია კონვენციისთვის.

აღნიშნული ცვლილებები ქორწინების უფლებას ისედაც მოკლებულ ერთიდაიმავე სქესის წყვილებს სამოქალაქო პარტნიორობის სამართლებრივი აღიარების პერსპექტივის მიღმაც ტოვებს, თუმცა არც ეს უკანასკნელიც ყოფილა როდესმე

¹²⁵ ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2024\)021-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2024)021-e), § 30.

¹²⁶ იქვე, §27.

¹²⁷ საქართველოს კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ,“ ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6283110?publication=0>, მუხლი 4.

¹²⁸ ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2024\)021-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2024)021-e), § 31.

დაშვებული, შესაბამისად ერთი დამავი სქესის წყვილებს არა მხოლოდ სამოქალაქო ბენეფიტებზე არ მიუწვდებათ ხელი, განსხვავებით ჰეტეროსექსუალი წყვილებისა, არამედ არც მათი დაცვის გარანტიებზე, ისეთზე როგორცაა მაგალითად ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის მექანიზმებზე, რაც სტამბოლოს კონვენციის რატიფიცირების ძალით მნიშვნელოვანია, რომ ჰეტეროსექსუალ წყვილებთან ერთად, ენებოდეს ერთი და იმავე სქესის წყვილებსაც.

2021 წელს ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ვისაც ბოლო ორი წლის განმავლობაში ჰყოლია ინტიმური პარტნიორი, თითქმის მესამედი (N=63, 31.3%) ერთხელ მაინც გამხდარა ძალადობის მსხვერპლი.¹²⁹ თუმცა, საქართველოს კანონმდებლობა, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის დაცვის სფეროში მოაზრებული ოჯახის წევრთა წრე, მათ შორის „არარეგისტრირებულ ქორწინებაში“ მყოფნი, არ მოიცავს ლგბტი პირთა თანაცხოვრებას, მას კიდევ უფრო დისკრიმინაციულს გახდის ანტი-ლგბტი საკანონმდებლო ცვლილებები. შესაბამისად, სისტემის ჰეტერონორმატიული მოწყობა იწვევს არაჰეტეროსექსუალურ ურთიერთობაში მყოფი მსხვერპლის ექსკლუზიას მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისათვის არსებული სახელმწიფო სერვისებიდან.

სექსუალურ ორიენტაციას ან/და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული პირადი მონაცემების შეგროვება

მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის წინა ციკლის ფარგლებში სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობასთან დაკავშირებული პირადი მონაცემების შეგროვება და დამუშავების უკანონო შემთხვევებზე ვსაუბრობდით, ამგვარ არათანაზომიერ დამუშავებას საკანონმდებლო საფუძველი მაინც არ ჰქონდა, თუმცა დღეს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ ასევე უკიდურესად პრობლემური კანონის, მე-8 მუხლი იუსტიციის სამინისტროს უფლებას აძლევს, განახორციელოს იურიდიული პირებისა და მაუწყებლების მდგომარეობის მონიტორინგი „უცხოური ძალის ინტერესების გამტარებელი ორგანიზაციის გამოსავლენად.“¹³⁰ კანონში შეტანილი ბოლო ცვლილებების მიხედვით, ახლა „თითოეულმა პირმა, ორგანომ, ორგანიზაციამ თუ სუბიექტმა“ სამინისტროს ასევე უნდა წარუდგინოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით

¹²⁹ ე. ადდგომელაშვილი და სხვები, COVID-19-ის გავლენა ლგბტ(ქ)ი თემზე, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), 2022, ხელმისაწვდომია: https://wisg.org/Data/docs/publications/research-study/WISG_Covid-impact-on-LGBTQI-community-GE.pdf, გვ. 102.

¹³⁰ საქართველოს კანონი „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6171895?publication=0>

განსაზღვრული მონაცემები.¹³¹ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტში კი მოცემულია „განსაკუთრებული კატეგორიის [პერსონალური] მონაცემის“ განმარტება, რომელიც, შეიძლება იყოს მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებებთან, რელიგიურ, ფილოსოფიურ თუ სხვა შეხედულებებთან და „სქესობრივ ცხოვრებასთან.“¹³²

ვენეციის კომისიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამგვარი ინფორმაციის მოთხოვნას არავითარი საფუძველი არ გააჩნია. კანონის შესწორებული ვერსია ასევე მოითხოვს „სხვა პერსონალური მონაცემების ან საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის (გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სახელმწიფო საიდუმლოებისა) მიწოდებას.“ ეს კონცეფცია კომისიისთვის ბუნდოვანი და გაურკვეველია, ვინაიდან ამგვარ ინფორმაციასა და კანონის მიზნებს შორის არანაირი კავშირი არ არის.¹³³

ჩვენი შეფასებით, ის რომ მონიტორინგის უფლებამოსილებით იუსტიციის სამინისტროს ეძლევა საშუალება მიიღოს ნებისმიერი ტიპის ინფორმაცია, მათ შორის უფლებადაცვითი ორგანიზაციიდან, მათ შორის ორგანიზაციისთვის კონფიდენციალურად მიწოდებული, მათ შორის სერვისის გაწევის თაობაზეც და დაკავშირებული ბენეფიციარის სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობასთან, საგანგაშო და სრულად შეუთავსებელია პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასთან.

გენდერის სამართლებრივი აღიარება

გენდერის სამართლებრივი აღიარების საკითხი საქართველოში რომ დაურეგულირებელი და პრობლემური იყო, ამაზე ადამიანის უფლებების დაცვის არაერთ საერთაშორისო მექანიზმს გაუცია რეკომენდაცია. საკითხის დაურეგულირებლობა გულისხმობდა შემდეგს, - „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 78-ე მუხლში მოცემულია გარემოებები, რომელიც სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ცვლილების შეტანის საფუძველია. ამ გარემოებებიდან ერთ-ერთია სქესის შეცვლა იყო.¹³⁴

დამკვიდრებული პრაქტიკა ერთმანეთთან აბამდა გენდერის სამართლებრივ აღიარებასა და სამედიცინო პროცედურებს, რაც უკავშირდებოდა სავალდებულო სტერილიზაციას, ჰორმონულ თერაპიას და ქირურგიულ პროცედურებს: ტრანს ადამიანი, რომელიც გენდერის დადასტურების ქირურგიულ ოპერაციას ჩაიტარებდა და

¹³¹ იქვე, მუხლი 6.

¹³² ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5827307?publication=2>

¹³³ ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI\(2024\)013-geo](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-PI(2024)013-geo), §55.

¹³⁴ საქართველოს კანონი სამოქალაქო აქტების შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1541247?publication=26>, მუხლი 78, „ზ“ პუნქტი.

აღნიშნულის დამადასტურებელ ცნობას სამედიცინო დაწესებულებიდან სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წარუდგენდა იცვლიდა სქესის აღმნიშვნელ ჩანაწერს დაბადების სააქტო ჩანაწერში.¹³⁵ რაც შეეხება ტრანს ადამიანებს, რომელთაც ქირურგიული ოპერაციის ჩატარება არ სურდათ, ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით ქირურგიული ოპერაციის ჩატარება არ შეეძლოთ, ან ამ ძვირადღირებული ოპერაციისთვის საჭირო მატერიალური რესურსი არ გააჩნდათ, დამკვიდრებული პრაქტიკით, გენდერის სამართლებრივი აღიარების უფლება შეზღუდული ჰქონდათ.

2019 წელს გაეროს დამოუკიდებელმა ექსპერტმა ხაზი გაუსვა მექანიზმის არარსებობით გამოწვეულ სირთულეებს და აღნიშნა, რომ ამგვარმა პრაქტიკამ, შესაძლოა, მწვავე და სამუდამო ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტანჯვა და ტკივილი გამოიწვიოს, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ის იძულებითი ხასიათისაა. იძულებამ შესაძლოა დაარღვიოს წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისგან თავისუფლების უფლება. სტერილიზაციის მოთხოვნა ასევე არღვევს პირის სხეულებრივი მთლიანობის, თვითგანსაზღვრისა და ღირსების უფლებას და, შესაძლოა, ტრანს ადამიანთა მუდმივი დისკრიმინაციის საფუძველიც გახდეს.¹³⁶ ამდენად, ექსპერტმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ხელისუფლებას „მიიღოს ზომები, რათა გენდერის სამართლებრივი აღიარების პროცესი დაფუძნებული იყოს განმცხადებლის თვითგამორკვევაზე, მექანიზმი იყოს მარტივი ადმინისტრაციულ-პროცედურული თავისუფალი არაჰუმანური მოთხოვნებისაგან, რომელიც აღიარებს არაბინარულ იდენტობებს და ხელმისაწვდომია არასრულწლოვნებისათვის.“¹³⁷

მსგავსი რეკომენდაცია გასცა ადამიანის უფლებების კომისარმაც 2022 წელს, უზრუნველყოთ გენდერის სამართლებრივი აღიარების სწრაფი, გამჭირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურა, რომელიც იქნებოდა ინვაზიური სამედიცინო მოთხოვნებისგან თავისუფალი.¹³⁸

ნიშანდობლივია, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს 2022 წლის გადაწყვეტილება გენდერის სამართლებრივი აღიარების საქმეზე საქართველოს წინააღმდეგ, სადაც ევროპულმა სასამართლომ, მიიჩნია, რომ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის ბუნდოვანება ძირს უთხრიდა გენდერის სამართლებრივი აღიარების პრაქტიკულ ხელმისაწვდომობას და ამასთან, გადაწყვეტილების მიმღებ ადმინისტრაციულ ორგანოებს გაუმართლებლად ფართო დისკრეციულ უფლებამოსილებას ანიჭებდა, რამაც საქართველოში გენდერის სამართლებრივი

¹³⁵ იხ.: <https://wisg.org/Data/docs/publications/policy-paper/WISG-LGR-in-Georgia-2022-GEO.pdf>

¹³⁶ ხელმისაწვდომია: <https://documents.un.org/doc/undoc/gen/g19/139/35/pdf/g1913935.pdf>, §67.

¹³⁷ იქვე, §90.

¹³⁸ ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/report-of-the-council-of-europe-commissioner-for-human-rights-dunia-mi/1680a740bf>, §42.

ადიარების მსურველი პირების განცხადებებზე თვითნებური გადაწყვეტილებების მომეტებული რისკი შექმნა.¹³⁹

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, საქართველოს მხრიდან გენდერის სამართლებრივი ადიარებისათვის საჭირო სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი პროცედურების არარსებობის გამო კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა და მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, შეემუშავებინა შესაბამისი საკანონმდებლო ჩარხო სწრაფი, გამჭვირვალე და ხელმისაწვდომი გენდერის სამართლებრივი ადიარების მექანიზმისთვის.¹⁴⁰

თუმცა, ხელისუფლებას ამ გადაწყვეტილების აღსასრულებლად არანაირი კონკრეტული ნაბიჯი არ გადაუდგამს. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ დოკუმენტირებულია კონკრეტული მაგალითები, მათ შორის სტრასბურგის სასამართლოს აპლიკანტების, როდესაც მათ უარი ეთქვათ გენდერის მარკერის შეცვლაზე მიუხედავად ევროპული სასამართლოს მიერ მათ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებისა, - სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ უარი განაცხადა გენდერის მარკერის შეცვლაზე იმ მიზეზით, რომ არ იყო წარმოდგენილი "ბიოლოგიური სქესის შეცვლის" დამადასტურებელი დოკუმენტაცია.¹⁴¹

კრიტიკას ვერ უძლებს, აღნიშნულ საქმეზე ხელისუფლების მიერ მინისტრთა კომიტეტისთვის 2023 წელს გაგზავნილი აღსრულების სამოქმედო გეგმა, სადაც ხელისუფლება იუწყება, რომ გენდერის სამართლებრივი ადიარების თაობაზე საუკეთესო პრაქტიკის შესწავლის პროცესშია და რომ აანალიზებს სასამართლოს პროცედურულ სამართალს.¹⁴²

საბოლოოდ, ხელისუფლებამ არა თუ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად გამოასწორა გენდერის სამართლებრივი ადიარების არარსებობის საკითხი და გააუმჯობესა სტანდარტი, არამედ პირიქით, საქართველოს პარლამენტმა მიიღო დისკრიმინაციული კანონები, რომლებიც სრულებით კრძალავს გენდერის სამართლებრივ ადიარებას, - გენდერის სამართლებრივი ადიარების მზღლდავი ნორმები, როგორც საკონსტიტუციო ცვლილების პროექტით, აგრეთვე მიღებული საკანონმდებლო პაკეტიდან იქნა გათვალისწინებული.

კონსტიტუციური კანონის პროექტით, აიკრძალება სქესის შეცვლასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამედიცინო ჩარევა,¹⁴³ ამასთან, სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაცემულ დოკუმენტში პირის გენეტიკური მონაცემების

¹³⁹ ხელმისაწვდომია: <https://hudoc.echr.coe.int/fre#%22itemid%22:%22001-221237%22>}, §76.

¹⁴⁰ იქვე.

¹⁴¹ იხ.: <https://wisg.org/Data/docs/publications/report/2024/Rule-9.2-submission-in-A.D.-and-Others-v-Geo-01082024.pdf>

¹⁴² იხ.: [https://hudoc.exec.coe.int/#%22execidentifier%22:%22DH-DD\(2023\)1042E%22](https://hudoc.exec.coe.int/#%22execidentifier%22:%22DH-DD(2023)1042E%22)}}

¹⁴³ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი, ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/359733>, 1-ელი მუხლის მე-3 პუნქტი.

შესაბამისად, მხოლოდ მდებარეობით ან მამრობითი სქესი მიეთითება.¹⁴⁴ ბათილად იქნება ცნობილი, საჯარო ხელისუფლების ან კერძო პირის ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც სქესობრივი ნიშნით განსაზღვრული ცნებების გამოყენებას პირდაპირი ან ირიბი ფორმით ზღუდავს.¹⁴⁵

გენდერის სამართლებრივ აღიარებას კრძალვას „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონი, ქალის, მამაკაცის და სქესის ცნებების დეფინიციის განსაზღვრით და ჩანაწერით, რომ ქალისა და მამაკაცის სქესი მემკვიდრეობითი გენეტიკური მახასიათებლების მიხედვით იდენტიფიცირდება.¹⁴⁶ კანონი პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში ან სახელმწიფოს მიერ გაცემულ სხვა დოკუმენტში ადამიანის თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესის მითითებას,¹⁴⁷ ისევე როგორც ბიოლოგიურის სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების მიზნით ქირურგიული ოპერაციის სხვისთვის ჩატარებაცა და სხვა სახის სამედიცინო მანიპულაციის სხვის მიმართ გამოყენებასაც კრძალავს.¹⁴⁸

განსაკუთრებით საგანგაშოა, რომ სამედიცინო მანიპულაცია ორმხრივ აკრძალვას დაექვემდებარა, - ერთი რომ პაციენტს უზღუდება წვდომა, მეორე, - თავად სამედიცინო პერსონალი ექვემდებარება პროცედურის ჩატარების აკრძალვას, რამდენადაც ამ სამედიცინო მანიპულაციისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გათვალისწინებული: „ადამიანის თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების მიზნით ქირურგიული ოპერაციის სხვისთვის ჩატარება ან სხვა სახის სამედიცინო მანიპულაციის სხვის მიმართ გამოყენება – დაისჯება ჯარიმით, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ოთხ წლამდე.“¹⁴⁹ ამასთან, დამატება შედის „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონშიც რომელსაც დაუშვებლად აცხადებს ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების მიზნით ქირურგიული ოპერაციის სხვისთვის ჩატარება ან სხვა სახის სამედიცინო მანიპულაციის სხვის მიმართ გამოყენებას.¹⁵⁰

ცვლილებას ექვემდებარება „სამოქალაქო აქტების შესახებ“ კანონიც, რომელიც აქამდე სამოქალაქო აქტის ჩანაწერში სქესის აღმნიშვნელი ჩანაწერის ცვლილების შესაძლებლობას იძლეოდა. სწორედ რომელზეც ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა. ახლა კი, გადაწყვეტილების

¹⁴⁴ იქვე, 1-ელი მუხლის მე-4 პუნქტი.

¹⁴⁵ იქვე, 1-ელი მუხლის მე-5 პუნქტი.

¹⁴⁶ საქართველოს კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6283110?publication=0>, მუხლი 2.

¹⁴⁷ იქვე, მუხლი 7.

¹⁴⁸ იქვე, მუხლი 6.

¹⁴⁹ საქართველოს კანონის პროექტი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/363941?>, მუხლი 176¹ მუხლი, მე-2 ნაწილი.

¹⁵⁰ ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=55>, მუხლი 14¹

საპირისპიროდ, დაუშვებელია სამოქალაქო აქტის ჩანაწერში ან/და სამოქალაქო აქტის რეგისტრაციის მოწმობაში ადამიანის თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესის მითითება.¹⁵¹

იდენტური აკრძალვა შევიდა „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონშიც, რომელიც ამ კანონით გათვალისწინებულ რომელიმე დოკუმენტში, მათ შორის პასპორტსა და პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში, ადამიანის ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესის მითითებას კრძალავს.¹⁵²

მიუხედავად იმისა, რომ ვენეციის კომისიას არ უმსჯელია მიღებული საკანონმდებლო ცვლილებების ფართო პაკეტზე, კონსტიტუციურ კანონპროექტთან დაკავშირებით მის მიერ გაკეთებული შეფასებები რელევანტურია სქესის სამართლებრივი აღიარების კონტექსტში:

ვენეციის კომისიამ მიიჩნა, რომ საკონსტიტუციო ცვლილებებს შედეგად, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ გაცემულ დოკუმენტში მიეთითება მხოლოდ მდედრობითი ან მამრობითი სქესი, რომელიც პირის გენეტიკურ მონაცემებს შეესაბამება, ტრანსგენდერი, ინტერსექსი და არაბინარული ადამიანები ვერ შეძლებენ განვლილი გენდერული ტრანზიციის სამართლებრივ აღიარებას.¹⁵³ რაც უწინააღმდეგება ევროპული კონვენციის სასამართლოსეულ განმარტებას რომელიც, სახელმწიფოებს პოზიტიურ ვალდებულებას აკისრებს, რომ სამართლებრივად აღიარონ ინდივიდების მიერ განვლილი გენდერული ტრანზიცია, თანაბრად მათთვის, ვინც სქესის შეცვლის ქირურგიული ოპერაცია ჩაიტარა და მათ შორის, მათთვისაც, ვინც გენდერული ტრანზიციის პერიოდი სამედიცინო ჩარევის გარეშე განვლო.¹⁵⁴ გენდერის სამართლებრივი აღიარების შესაძლებლობის საკანონმდებლო აკვებით ხელისუფლება ერთის მხრივ უწინააღმდეგება ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ პირადი ცხოვრების უფლებას, რომლის მნიშვნელოვანი კომპონენტადაც ევროპული სასამართლო გენდერული იდენტობას მოიაზრებს, ხოლო მეორე მხრივ, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერის ნიშნით მე-14 მუხლით გათვალისწინებულ დისკრიმინაციის აკრძალვის მოთხოვნასაც არადა აგდებას.¹⁵⁵ დასკვნის მიხედვით, გენდერის სამართლებრივი აღიარების ქრილშიც ხელისუფლების მიერ ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებები, არ შეესაბამება, საერთაშორისო სამართლით განმტკიცებულ უფლებრივ სტანდარტებსა, ასევე

¹⁵¹ საქართველოს კანონი სამოქალაქო აქტების შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1541247?publication=26>, მუხლი 6¹.

¹⁵² ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/363922?>

¹⁵³ ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2024\)021-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2024)021-e), §50.

¹⁵⁴ იქვე, §52.

¹⁵⁵ იქვე, §54-55.

ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებულ 2022 წლის გადაწყვეტილებას.

საკითხი ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესის ზედამხედველობის ფარგლებში უკვე გახდა მინისტრთა კომიტეტის მსჯელობის საგანი. 2024 წლის სექტემბრის შეფასებაში კომიტეტი მტკიცედ მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას უარი თქვას ჰომო/ბი/ტრანსფობიური კანონმდებლობის მიღებასა და ლგბტი ადამიანების უფლებაშემლახავი ქმედებების განხორციელებაზე. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი ხაზს უსვამს სახელმწიფოს ვალდებულებას, კონვენციის და სასამართლოს გადაწყვეტილების, ასევე წინამდებარე რეკომენდაციის შესაბამისად შექმნას გენდერის სამართლებრივი აღიარებისათვის სწრაფი და ხელმისაწვდომი ადმინისტრაციული პრაქტიკა.¹⁵⁶

მინისტრთა კომიტეტის შეფასებით, „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის“ შესახებ კანონის ამოქმედება აღკვეთს რა გენდერის სამართლებრივ აღიარების შესაძლებლობას, შეუძლებელს გახდის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულებას და საქართველოსთვის ევროპული კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პრობლემას წარმოშობს.¹⁵⁷

მსგავსი მოწოდება და შეხსენება ადამიანის უფლებების კომისარმაც გამოუგზავნა საქართველოს მთავრობას.¹⁵⁸

კანონის მიღებით კი, ხელისუფლების პასუხი ნათელია, უგულებელყოს ევროპული კონვენციით ნაკისრი ვალდებულებები, უკუაგდოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს არათუ პრაქტიკა, არამედ კონკრეტულად საქართველოს მიმართ მიღებული გადაწყვეტილება, გაემიჯნოს ადამიანის უფლებების დაცვის ევროპულ სტანდარტებს და საჯარო სივრციდან გააქროს ტრანს ადამიანები.

არასრულწლოვნის შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის უფლება

მონიტორინგის წინა ციკლის ფარგლებში, ვწერდით, რომ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ოფიციალური პასუხის მიხედვით, ბავშვის შვილად აყვანის პროცედურები რეგულირდება შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ კანონის საშუალებით, მინისტრის მიერ დადგენილი შვილად აყვანის წესით და რომ ეს რეგულაციები თანაბრად ეხებოდა სამიზნე ჯგუფს, სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე.¹⁵⁹ თუმცა, მაშინაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი წყვილს ბავშვის შვილად აყვანის უფლებას

¹⁵⁶ იხ.: [hudoc.exec.coe.int/?i=CM/Del/Dec\(2024\)1507/H46-08E](https://hudoc.exec.coe.int/?i=CM/Del/Dec(2024)1507/H46-08E)

¹⁵⁷ იქვე.

¹⁵⁸ იხ.: <https://rm.coe.int/letter-to-chairman-of-parliament-georgia-by-michael-o-flaherty-coucil-/1680b18c78>

¹⁵⁹ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წერილი N 01/29158, [17.05.2018].

აძლევდა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ისინი დაქორწინებულნი იყვნენ.¹⁶⁰ რამდენადაც საქართველოს კანონმდებლობა არ აღიარებდა ერთი და იგივე სქესის ადამიანთა ქორწინებას, ერთი და იგივე სქესის წყვილებს არ შეეძლოთ ბავშვის შვილად აყვანა.

დღეს კი ინიცირებული კონსტიტუციური კანონის პროექტი და მიღებული საკანონმდებლო პაკეტი ლგბტი ადამიანებისთვის არასრულწლოვნის შვილად აყვანის ან მინდობით აღსაზრდელად მიღებას ექსპლიციტურად კრძალავს.

კონსტიტუციური კანონის პროექტის მიხედვით, არასრულწლოვანის შვილად აყვანა და მინდობით აღზრდა დასაშვები იქნება მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შესაბამისად ქორწინებაში მყოფი მეუღლეების ან ჰეტეროსექსუალი პირის მიერ.¹⁶¹ იმავე შინაარსის აკრძალვებს ითვალისწინებს იმ პირთა მიმართ, ვინც თავს თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებულ სქესს მიაკუთვნებს ან მისი სექსუალური ორიენტაცია ჰეტეროსექსუალობის კატეგორიას არ განეკუთვნება, რაც ვენეციის კომისიის შეფასებით დისკრიმინაციულია, რამდენადაც თუ მართლაც პირს არასრულწლოვნის შვილად აყვანის და აღზრდის საშუალება ეძლევა, განსხვავებული მოპყრობა სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე კონვენციის მიხედვით დისკრიმინაციად მიიჩნევა და ეწინააღმდეგება ადამიანის უფლეთა ევროპულ კონვენციას.¹⁶²

მიღებული საკანონმდებლო პაკეტის ძალით კი ცვლილება შევიდა „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონში და აიკრძალა არასრულწლოვანის შვილად აყვანა/მინდობით აღსაზრდელად გადაცემა, იმ ადამიანის მიერ/იმ ადამიანისთვის რომელიც თავს თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებულ სქესს მიაკუთვნებს ან მისი სექსუალური ორიენტაცია ჰეტეროსექსუალობის კატეგორიას არ განეკუთვნება.¹⁶³

გაუგებარია, თუ ადამიანი თავად არ განაცხადებს საკუთარი გენდერული იდენტობის ან სექსუალური ორიენტაციის შესახებ, როგორ მოხდება „კატეგორიზება“.

შესაბამისად, მსგავსი ცვლილება უგულებელყოფს ადამიანის უფლებების სტანდარტს და წინააღმდეგობრივია მინისტრთა კომიტეტის წინამდებარე რეკომენდაციის 26-28 ნაწილებთან.

¹⁶⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/31702?publication=132>, მუხლი 1246.

¹⁶¹ საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი, ოჯახურ ღირებულებათა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, ხელმისაწვდომია:

<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/359733>, მუხლი 2.

¹⁶² ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2024\)021-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2024)021-e), §39.

¹⁶³ საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3665080?publication=7>, მუხლი 4, ნაწილი 5-6.

V. დასაქმება

29. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ სათანადო ზომების შემოღება და განხორციელება, რაც განაპირობებს სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციისაგან ეფექტიან დაცვას დასაქმებისა და მუშაობისას როგორც საჯარო, ასევე კერძო სექტორში. ეს ზომები უნდა მოიცავდეს დასაქმებისა და დაწინაურების ხელმისაწვდომობის პირობებს, შვებულებებს, გადახდასა და სხვა სამუშაო პირობებს, დაშინებისა და ვიქტიმიზაციის სხვა ფორმების პრევენციის, აღკვეთისა და დასჯის ჩათვლით.
30. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ტრანსგენდერების პირადი ცხოვრების უფლების ეფექტიანი დაცვის უზრუნველყოფას დასაქმების კონტექსტში, კერძოდ, დასაქმების განაცხადის შევსებისას, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი გენდერული ისტორიის ან მათი პირვანდელი სახელის შეუსაბამო გამჟღავნება დამსაქმებლისა და სხვა თანამშრომლებისათვის.

დანართის აღნიშნული ნაწილი მოითხოვს წევრი სახელმწიფოებისგან უზრუნველყონ ეფექტური დაცვა სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციისაგან დასაქმების სფეროში, რა მიმართულებითაც საანგარიშო

პერიოდის დასაწყისში, ცხადია ანტი-ლგბტი პოლიტიკური კურსის გაცხადებამდე, გარკვეული პოზიტიური საკანონმდებლო ნაბიჯები გადაიდგა.

2020 წელს შრომის კოდექსის ცვლილებების შედეგად გაფართოვდა დისკრიმინაციის ფარგლები, რომელიც აქამდეც კრძალავდა დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საფუძველზე და შრომითი ურთიერთობის გარდა მოიცავდა წინასახელშეკრულებით ურთიერთობები, მათ შორის ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნების და შერჩევის ეტაპზე, ასევე დაფარა პროფესიული იერარქიის ყველა საფეხური პროფესიული ორიენტაციის, კვალიფიკაციის ამადლების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ყველა ფორმის (პრაქტიკული პროფესიული გამოცდილების ჩათვლით) ხელმისაწვდომობაც.¹⁶⁴ შრომის კოდექსმა ასევე გაწერა დამსაქმებლის პირდაპირი ვალდებულება, მიიღოს ზომები დაწესებულებაში დასაქმებულთა მიმართ თანაბარი მოპყრობის პრინციპის დასაცავად, მათ შორის, დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები ასახოს შრომის შინაგანაწესსა და სხვა დოკუმენტებში და უზრუნველყოს მათი შესრულება.¹⁶⁵

მანამდე, 2019 წლის მაისში, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონით, კერძო სამართლის პირები საჯარო პირების მსგავს სამართლებრივ რეგულირებაში მოექცნენ. კერძოდ, განისაზღვრა ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების ვალდებულება, სახალხო დამცველს, სავარაუდოდ დისკრიმინაციის ფაქტის შესწავლისთვის, მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია.¹⁶⁶ სახალხო დამცველს მიენიჭა უფლებამოსილება, მისი რეკომენდაციის შესრულების მოთხოვნით, საჯარო უწყებების მსგავსად, კერძო სამართლის იურიდიული პირის ან პირთა გაერთიანების წინააღმდეგაც მიმართოს სასამართლოს.¹⁶⁷ შედეგად, სახალხი დამცველი და შრომის ინსპექცია წარმოადგენენ უფლებამოსილს იმოქმედონ დასაქმების სფეროში დისკრიმინაციის შემთვევებზე.

სამწუხაროდ, საკანონმდებლო გარანტიების გაუმჯობესებას არ შეუცვლია ლგბტი ადამიანების უფლებრივი მდგომარეობა, რასაც არაერთი ანგარიში თუ კვლევა ადასტურებს. 2020 წელს ჩატარებულმა კვლევამ გამოაჩინა, რომ რესპოდენტთა 32.7%-ს (N=69) განუცდია დისკრიმინაცია დასაქმების სფეროში ბოლო 2 წლის მანძილზე. 26.6%-მა მიუთითა, რომ უარი ეთქვა დასაქმებაზე რადგან მიეკუთვნებოდნენ ლგბტი ჯგუფს, 13.1% უთითებდა, რომ სამსახურიდან დაითხოვეს ამ ნიშნით, 8.7%-ს კი უარი ეთქვა დაწინაურებაზე და 12.6%-ს სხვა დასაქმებულებთან შედარებით უფრო მეტი მოთხოვნა წაეყენა.¹⁶⁸

¹⁶⁴ საქართველოს შრომის კოდექსი, ხელმისაწვდომია:

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=27>, მუხლი 5.

¹⁶⁵ იქვე, მუხლი 23, ნაწილი 4.

¹⁶⁶ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“, მუხლი 23.

¹⁶⁷ იქვე, მუხლი 14¹, ნაწილი თ¹.

¹⁶⁸ იხ.: <https://wisg.org/Data/docs/publications/report/WISG-UPDATED-CEDAW-SHADOW-REPORT-January-2023.pdf>

გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტის ანგარიშის მიხედვით, სამუშაო ადგილზე დისკრიმინაციული პრაქტიკა ლგბტი ადამიანებისათვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა საქართველოში.¹⁶⁹ აღნიშულის მიზეზები საზოგადოების ცრუ წინარწმენებში უნდა ვეძებოთ, რაც განაპირობებს კიდევ ჯგუფის წევრების მიერ სამუშაო ადგილის შენარჩუნებისთვის საკუთარი სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის და გამონატვის მალვას.

შრომით ურთიერთობებში განსაკუთრებული მოწყვლადობით კი ტრანს ადამიანები გამოირჩევიან, თავისმხრივ საზოგადოებისგან გარიყვასა და ძალადობას დაქვემდებარებულნი, რასაც მათ შორის დაურეგულირებელი გენდერის სამართლებრივი აღიარების მექანიზმი განაპირობებდა, რამდენადაც შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისას ტრანს ადამიანები ვალდებულნი არიან დამსაქმებელს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა წარუდგინონ, რაც მათი ე. წ. „იძულებითი ქამინგაუთის“ საფრთხეს ქმნის. განსაკუთრებით კი ისეთ შემთხვევებში, როდესაც ტრანს ადამიანს შეცვლილი აქვს სახელი და ფოტოსურათი, ხოლო სქესის შესახებ ჩანაწერი – არა. აღნიშულის გამოისობით, ძალიან მცირეა მანი ტრანს ადამიანებისთვის ჩაებან ფორმალურ დასაქმებაში და ძირითადად არაოფიციალურ და ცუდ სამუშაო პირობებსა და ანაზღაურებას თანხმებიან. ტრანს ქალების ნაწილი ებმევა სექს სამუშაოში, რაც მათ კიდევ უფრო მოწყვლადს და დაუცველს ხდის ძალადობის მიმართ. 2020 წლის კვლევის მიხედვით, ტრანს სექს მუშაკთა 61.4% სექს სამუშაოში ჩართულობის მთავარ მიზეზად მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას ასახელებდა. სექს სამუშაოში ჩართულობასთან დაკავშირებული სირთულეების შეფასებისას, რესპონდენტები ფინანსურ არასტაბილურობასთან დაკავშირებულ სტრესსა (79.5%) და სიცოცხლის ანდა ჯანმრთელობისათვის არსებულ საფრთხეს უთითებდა (77.3%).¹⁷⁰

მათ შორის ამ მიზეზების გამო მიუწოდებდა გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტი, მინისტრთა კომიტეტი თუ ადამიანის უფლებების კომისარი საქართველოს ხელისუფლებას ხელმისაწვდომი გაეხადა გენდერის სამართლებრივი აღიარების მეზანიზმები და მეორეს მხრივ, აღმოეფხვრა დისკრიმინაციული პრაქტიკები დასაქმების სფეროში. საქართველოსო ხელისუფლების პასუხი კი აქაც ანტი-ლგბტი საკანონმდებლო ცვლილებების ზედაპირზე დევს, რამაც მათ შორის დასაქმების სფეროც მოიცვა.

მისი აკრძალვის გზით გენდერის სამართლებრივი აღიარების „დარეგულირებაზე“ ზედა თავში უკვე ვისაუბრეთ, თუმცა აქაც განვმეოდებით, რომ მიღებული ანტი-ლგბტი კანონის მიხედვით, შრომით ურთიერთობებში ბათილი იქნება ვალდებულება,

¹⁶⁹ ხელმისაწვდომია: <https://documents.un.org/doc/undoc/gen/g19/139/35/pdf/g1913935.pdf>, §72.

¹⁷⁰ ლგბტქ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2020, ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/ლგბტქ_ჯგუფის_სოციალური_ექსკლუზიის_კვლევა_1612128809.pdf, გვ. 151.

მითითება ან/და შეთანხმება, რომელიც მიმართული იქნება ბიოლოგიური სქესის უგულვებელყოფისკენ ან მისი უგულვებელყოფის წახალისებისკენ.¹⁷¹

¹⁷¹ საქართველოს შრომის კოდექსი, ხელმისაწვდომია:
<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1155567?publication=27>, მუხლი 14¹.

VI. განათლება

31. ბავშვის უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა სახის ზომები, მიმართული საგანმანათლებლო პერსონალისა და მოსწავლეებისადმი, რათა უზრუნველყონ განათლების უფლების ეფექტიანი გამოყენება სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე; ეს, კონკრეტულად, მოიცავს ბავშვებისა და ახალგაზრდების უფლების დაცვას, მიიღონ განათლება გარემოში, რომელიც იქნება უსაფრთხო და თავისუფალი ძალადობის, ყოჩობის, სოციალური გარიყულობისა ან სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის გამო დისკრიმინაციისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმებისაგან.
32. ბავშვის უპირატესი ინტერესების გათვალისწინებით, ყველა დონეზე მისაღებია სათანადო ზომები ამ მიმართულებით, რათა ხელი შეუწყონ ორმხრივ შემწყნარებლობასა და პატივისცემას სკოლებში, მიუხედავად სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობისა. ეს უნდა მოიცავდეს ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებით, მაგალითად, სკოლის კურიკულუმსა და საგანმანათლებლო მასალებში; მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის საჭირო ინფორმაციის, დაცვისა და მხარდაჭერის მიწოდებას, რაც მისცემს მათ შესაძლებლობას, იცნოვრონ მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესაბამისად. გარდა ამისა, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეიმუშავონ და განახორციელონ სკოლის თანასწორობისა და უსაფრთხოების პოლიტიკა და სამოქმედო გეგმები, ასევე უზრუნველყონ შესაბამისი ანტიდისკრიმინაციული ტრენინგების ან დამხმარე და სასწავლო საშუალებების ხელმისაწვდომობა. ამგვარი ზომები უნდა ითვალისწინებდეს მშობლების უფლებებსაც მათი შვილების განათლებაზე.

დანართის მეექვსე ნაწილი მოითხოვს საქართველოსგან, რომ განათლების უფლება ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტოფის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე. მათ შორის უნდა იქნეს მიღებული ზომები ჩაგვრისაგან და სოციალური გარიყვისაგან დასაცავად; ეს მოიცავს თანასწორობისა და უსაფრთხოების პოლიტიკას, ქცევის კოდექსებსა და თანამშრომელთა ტრენინგების პროგრამებს, ისევე, როგორც სკოლებში ურთიერთმეწყენარებლობისა და პატივისცემის დამკვიდრებისათვის ზომების მიღებას, სასკოლო პროგრამებში და საგანმანათლებლო მასალებში ობიექტური ინფორმაციის შეტანას, ლგბტი მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის სპეციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ზომების მიღებას.

2019 წელს გაეროს დამოუკიდებელმა ექპერტმა მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას მიეღო სპეც-პოლიტიკები, პროგრამები და დოკუმენტები სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხების საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრაციისთვის და ამ ნიშნით ბულინგის საწინააღმდეგო მექანიზმები.¹⁷²

2022 წელს კი ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისარმა შეახსენა საქართველოს ხელისუფლებას, რომ სკოლებში ყოვლისმომცველი, ასაკის შესაბამისი სქესობრივი განათლება ხელს უწყობს ძალადობისა და დისკრიმინაციისგან თავისუფალი უსაფრთხო და ინკლუზიური საზოგადოების მშენებლობას, რაც გამოსადეგია ყველა, მათ შორის ლგბტი ბავშვისთვის. ამიტომ, კომისარმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს ხელისუფლებას ყოვლისმომცველი სქესობრივი განათლება, ობიექტური ინფორმაციით სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის შესახებ საკითხების ჩათვლით, გაეხადათ სასაწავლო კურიკულუმის ნაწილი.¹⁷³

საერთაშორისო და რეგიონალური ადამიანის უფლებების დაცვის აღნიშული მექანიზმების რეკომენდაციები რეზონირებს იმ საჭიროებებთან, რომელზეც სათემო ორგანიზაციები წლებია ვსაუბრობთ, რომ ქართული საგანმანათლებლო სისტემა სოციალური უთანასწორობის რეპროდუქციას ახდენს, რომ ლგბტი მოზარდების ბულინგი სკოლებში პრობლემად რჩება, რომ არ განხორციელებულა სასკოლო სახელმძღვანელოების დეტალური ანალიზი, იმის დასადგენად თუ რამდენად ამყარებენ ისინი სტერეოტიპებს, რომ ქვეყანაში არ არსებობს ცნობიერების ამაღლების პროგრამები თუ ფსიქოლოგიურ მხარდაჭერის სერვისები ლგბტი მოსწავლეებისთვის.

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილის¹⁷⁴ მიხედვით მოსწავლეები თანასწორობის საკითხებს ეცნობიან საგნის „მე და საზოგადოება“ და

¹⁷² ხელმისაწვდომია: <https://documents.un.org/doc/undoc/gen/g19/139/35/pdf/g1913935.pdf>, §120-121.

¹⁷³ ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/report-of-the-council-of-europe-commissioner-for-human-rights-dunia-mi/1680a740bf>, §40.

¹⁷⁴ განათლების მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წერილი, [12.09.2024].

შემდგომში „მოქალაქეობის“ ფარგლებში. სამინისტროს პასუხის მიხედვით, ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი თანასწორობაა, რომელიც გულისხმობს, რომ „ყველა მოქალაქე თანაბრად ღირებულია, ყველას უნდა ჰქონდეს თანასწორი შესაძლებლობები და უფლებები, გამოირიცხოს მათი დისკრიმინაცია.“ სამინისტროს ცნობით, სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასკოლო კლიმატის გაუმჯობესების, ტოლერანტული, ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შექმნის მიზნით საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საჯარო სკოლების მოსწავლეებთან ატარებს შეხვედრებს შემდეგ თემებზე: ანტიდისკრიმინაციული მიდგომები, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა, კიბერბულინგი, ბულინგი, განსხვავება ბულინგსა და უწყინარ ხუმრობას შორის, აღრუელ ასაკში ქორწინება, ბავშვის უფლებები და ბავშვის უფლებათა კონვენცია, გენდერული თანასწორობა, უსაფრთხო სკოლა, თანასწორობა, ტოლერანტობა და ადამიანის უფლებები. თუმცა, სამინისტროს წერილი არ პასუხობს ჩვენს კითხვას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხების გათვალისწინებასთან დაკავშირებით.

სახალხო დამცველის კვლევამ აჩვენა, რომ სკოლის სისტემა სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის საკითხების მიმართ არატოლერანტულია. სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ 2020 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად ღებტი რესპონდენტების (N=292) 32.2%-თვის, ზოგადი განათლების მიღების ბარიერია ჰომოფობიური დისკრიმინაცია პედაგოგების ან/და სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან, ხოლო 41.9%-თვის კლასელების/სკოლელების მხრიდან მომდინარე ჰომოფობიური ბულინგი.¹⁷⁵ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტრანს მოსწავლეების მიმართ კიდევ უფრო დაუნდობელია გარემო, თითქმის ყველა ტრანს რესპონდენტი მიუთითებს განცდილ დისკრიმინაციაზე, რამაც მათ გადააწყვეტინა სკოლების დატოვება.¹⁷⁶

შესაბამისად, არსებული განათლების სისტემა, ერთის მხრივ ვერ უზრუნველყოფს სტეროტიპებისგან თავისუფალ ინფორმაციის გავრცელებას სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხებზე, მეორეს მხრივ კი არაფერს აკეთებს ღებტი ადამიანების მიმართ ტოლერანტობისა და ინკლუზიის წასახალისებლად. პრობლემის პასუხად საქართველოს ხელისუფლებამ არათუ გაითვალისწინა საერთაშორისო სტანდარტები და უშუალოდ მიღებული რეკომენდაციები, არამედ დისკრიმინაციული, ანტი-ღებტი და ცენზურის დამწესებელი კანონმდებლობა განათლების სფეროსაც მოახვია, შედეგად, ამ მიმართულებითაც, რეკომენდაციის 31-32 ნაწილების საწინააღმდეგო დააკანონა:

¹⁷⁵ ღებტი ქვეყნის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2020, ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/ღებტი_ქვეყნის_სოციალური_ექსკლუზიის_კვლევა_1612128809.pdf, გვ. 95-100.

¹⁷⁶ იხ.: <https://wisg.org/Data/docs/publications/report/WISG-UPDATED-CEDAW-SHADOW-REPORT-January-2023.pdf>

„ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონის ძალით აიკრძალა ადამიანის სექსუალობის შესახებ კომპლექსური განათლება, რომელიც თავისმხრივ, მიუხედავად მრავალგზის რეკომენდაციებისა, სათანადოდ არასდროს ყოფილა სასწავლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილი. ახლა კი, ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულებებიდან უმაღლეს სასწავლებლებამდე, კანონი დაუშვებლად აცხადებს საგანმანათლებლო პროგრამაში გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის საკითხებს.

აღნიშნული კანონის ენით, დაუშვებელია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების საადმინისტრაციო ან/და საგანმანათლებლო პროგრამაში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების საადმინისტრაციო ან/და საგანმანათლებლო პროგრამაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სკოლის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაში ისეთი ინფორმაციის შეტანა ან/და აღნიშნული დაწესებულების თანამშრომლის მიერ ამ დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში ან/და იმავე დაწესებულების ტერიტორიაზე ისეთი ინფორმაციის გავრცელება ან გავრცელების ხელშეწყობა, რომელიც მიმართულია ადამიანის თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამონატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ.¹⁷⁷ თანმდევი დათქმები შევიდა „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“, „ზოგადი განათლების შესახებ“, „პროფესიული განათლების შესახებ და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონებში.

საგანგაშოა, რომ ზემოაღნიშნული ჩანაწერი პასუხისმგებლობის ადმინისტრაციულ და განმეორების შემთხვევაში სისხლისამართლებრივ ზომას ითვალისწინებს: ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს ემატება, 172-¹⁰ მუხლი რომლის მე-3 ნაწილის მიხედვითაც: „ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების საადმინისტრაციო ან/და საგანმანათლებლო პროგრამაში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების საადმინისტრაციო ან/და საგანმანათლებლო პროგრამაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების/სკოლის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამაში ისეთი ინფორმაციის შეტანა ან/და აღნიშნული დაწესებულების თანამშრომლის მიერ ამ დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში ან/და იმავე დაწესებულების ტერიტორიაზე ისეთი ინფორმაციის გავრცელება ან გავრცელების ხელშეწყობა, რომელიც მიმართულია ადამიანის თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამონატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ, – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის

¹⁷⁷ საქართველოს კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6283110?publication=0>, მუხლი 8.

კონფისკაციით, ხოლო იურიდიული პირისა – 4 000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.¹⁷⁸ იმავე ქმედების განმეორებით ჩადენისათვის, პირს, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებაში განსხვავებული სქესისთვის თავის მიკუთვნების, ერთი და იმავე სქესის მქონე პირთა შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამონატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ მიმართულ ინფორმაციას გაავრცელებს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება და დაქვემდებარება ჯარიმას, თანამდებობის დაკავებას ან საქმიანობის უფლების სამი წლით ჩამორთმევას, ან ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას.¹⁷⁹

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კანონის მიერ დამკვიდრებული ერთ-ერთი მთავარი ტერმინი - “პოპულარიზება” - რომელსაც ის გენდერის და სექსუალობის კონტექსტში იყენებს და განზრახ არ განირჩევა და ფაქტობრივად სინონიმად უტოლდება ცოდნის გადაცემას, ინფორმაციის გავრცელებას თუ სამეცნიერო კვლევასა და ნამუშევრების შექმნას. კანონი შესაძლებელს ხდის გენდერისა და სექსუალობის შესახებ ნებისმიერი ცოდნის, ინფორმაციის, ნამუშევრის გავრცელების, თუ ქმედების გამონატვის “პოპულარიზებად” მონათვლას და ამის საფუძველზე მის აკრძალვას.

აქაც განვმეორდებით გამონატვის თავისუფლების თავში ხსენებულ ცვლილებაზე, რომლის მიხედვითაც დაუშვებელია არასრულწლოვანისთვის მასთან პირდაპირი კომუნიკაციის განხორციელების გზით ისეთი ინფორმაციის (მათ შორის, ისეთი შემოქმედებითი ნაწარმოების) მიწოდება (გაზიარება) ან/და ისეთი ინფორმაციის (მათ შორის, ისეთი შემოქმედებითი ნაწარმოების) ხელმისაწვდომობის შესაძლებლობის შექმნა, რომელიც მიმართულია ადამიანის თავისი ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე ბიოლოგიური სქესის წარმომადგენლებს შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით გამონატული ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ.¹⁸⁰

ეს ნიშნავს, რომ თუკი მშობელი გადაწყვეტს შვილს გაუზიაროს ცოდნა ჰომოფობიის, მისი ისტორიის, სხვადასხვა ინსტიტუციების მიერ ლგბტი ადამიანების დისკრიმინაციისა და ჩაგვრის შესახებ, ეს თავის მხრივ შეიძლება გახდეს დაჯარიმებადი აქტი. ისევე როგორც პოლიტიკური ნების და ბუნდოვანი ჩანაწერების შუქზე, კანონის ამოქმედებისას შესაძლოა აღნიშული ინტერპრეტირდეს სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციის საწინააღმდეგოდ, მათ შორის შესაძლოა ეს

¹⁷⁸ საქართველოს კანონის პროექტი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, ხელმისაწვდომია:

<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/363943?>, მუხლი 2, ნაწილი 3.

¹⁷⁹ საქართველოს კანონის პროექტი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/363941?>, მუხლი 176(1), 1-ელი ნაწილი.

¹⁸⁰ საქართველოს კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6283110?publication=0>, მუხლი 9, მე-2 ნაწილი.

ანგარიში, სოც-ქსელში გამოქვეყნებისას ჩავარდეს ამ პორბლემური ჩანაწერის რეგულირების სფეროში.

მეტიც, როგორც ვნახეთ აქძალვა არ შემოიფარგლება არასრულწლოვნებით და იმავე შინაარსის ცენზს ავრცელებს უმაღეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე. პარადოქსული, მეტად საშიში და წარმოუდგენელია უნივერსიტეტებში სამართლის მიმართულების, საკონსტიტუციო სამართლის, ადამიანის უფლებების, გენდერის სწავლების პროგრამა, სადაც ლექტორი სტუდენტს ვერ აწვდის ინფორმაციას ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტზე, ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე, მათ შორის საქართველოს წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაზე, ანტიდისკრიმინაციული კანონისა და სისხლის სამართლის კოდექსის გარემოებებზე, რამეთუ შესაძლოა დაექმევდებაროს ადმინისტრაციულ და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასაც, რამდენადაც პოპულარიზაციის ცნება მეტად ამორფულია და განუჭვრეტელია რა შეიძლება მოიცვას.

საკითხი ეხება მომიჯნავე პროფესიებსაც, თუნდაც ფილოლოგებს, სოციოლოგებს, სოციალურ მუშაკებს, ფსიქოლოგებს, სამედიცინო სწავლების ფარგლებში აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს, მათთვის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ცოდნის მიღებისა და კვლევის შესაძლებლობას. პრობლემა ააქტიურებს საბჭოთა წარსულგამოვლილი საქართველოსთვის მეტად სენსიტიურ და ტრავმულ ლექტორთა დასმენის რისკებს.

ანტი-ლგბტი კანონის შინაარსი ვენეციის კომისიამ განათლების ნაწილშიც გააანალიზა - კონსტიტუციური კანონპროექტის ტექსტზე მსჯელობისას ვენეციის კომისიამ ევროპული სასამართლოს განმარტებაზე მიუთითა, რომ სახელმწიფო განათლების სისტემის ერთ-ერთი მიზანი ბავშვების მომზადებაა არსებული სოციალური რეალობისათვის, რაც მოიცავს ახალგაზრდების წვდომას ასაკის შესაფერის სქესობრივ განათლებაზე.¹⁸¹ კომისიამ ასევე მისი წინა მოსაზრება გაიმეორა და განმარტა, რომ „სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაცია შეიძლება გაძლიერდეს სექსუალური ორიენტაციის სხვადასხვა ფორმების, გენდერული იდენტობის, გენდერული გამოხატვისა და სქესის მახასიათებლების შესახებ ობიექტური ინფორმაციის ამორიცხვით სქესობრივი განათლების სასწავლო პროგრამიდან, რაც ქმნის სახიფათო გარემოს, სადაც ლგბტი ბავშვები შეიძლება დაექვემდებარონ ბულინგის, შევიწროებას და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ რისკებსაც კი.“¹⁸² ვენეციის კომისია მიუთითებს ხელისუფალს რომ საკანონმდებლო ჩანაწერის შინაარსი წინააღმდეგობრივია საერთაშორისო სტანდარტებთან, რამდენადაც გულისხმობს სქესობრივი განათლებს აბსოლუტურ აკრძალვას და რომ თუ

¹⁸¹ ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2024\)021-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2024)021-e), §93.

¹⁸² იქვე, §94.

ასეთი განათლება გათვალისწინებულია, ის უნდა იყოს არადისკრიმინაციული, ასაკის და განვითარების შესაბამისი.¹⁸³

ჩვენი შეფასებითაც, საერთაშორისო სტანდარტებთან ერთად, ჩანაწერები არსებითად წინააღმდეგობრივია ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებულ ძირეულ სტანდარტებთანაც, რამდენდაც წარმოადგენს უხეშ და არალეგიტიმურ ჩარევას აკადემიურ თავისუფლებაში. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის მხარდამხარ, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის ძალით სახელმწიფო ცნობს და იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ფასეულობებს. ადამიანის უფლებების ევრპული სასამართლოს განმარტებით კი გამოხატვის თავისუფლების ფარგლები აკადემიურ თავისუფლებასაც ფარავს.¹⁸⁴ ამ მიზმებისთვის მნიშვნელოვანია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მასწავლებლების გამოხატვის უფლებრივი გარანტიები, რომ მასწავლებელს უფლება აქვს, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე მოიძიოს, მიიღოს, შექმნას, შეინახოს, დაამუშაოს ან გაავრცელოს, ნებისმიერი ინფორმაცია და იდეა.¹⁸⁵ იქვეა ჩანაწერი, რომ მასწავლებლებს აქვთ სწავლის, სწავლებისა და კვლევის აკადემიური თავისუფლება, იმ ფარგლებში, რომელიც არ ეწინააღმდეგება ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნების მიღწევას.¹⁸⁶

შესაბამისად დაკანონებული ცენზურა მასწავლებლებისა და ლექტორების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას წარმოადგენს, ეწინააღმდეგება შიდა კანონდებლობას, ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, ვენეციის კომისიას დასკვნას, და მინისტრთა კომიტეტის არა მხოლოდ წინამდებარე რეკომენდაციას, ასევე რეკომენდაციას აკადემიურ თავისუფლებაზე, რომლის მიხედვითაც აუცილებელია, რომ საგანმანათლებლო სექტორს, პოლიტიკური და რელიგიური უმრავლესობისაგან, სრული ინსტიტუციური და ინტელექტუალური ავტონომია გააჩნდეს.¹⁸⁷

¹⁸³ იქვე, §98.

¹⁸⁴ ხელმისაწვდომია: <https://hudoc.echr.coe.int/eng#%7B%22itemid%22:%5B%22001-184289%22%5D%7D>, §38.

¹⁸⁵ საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, ხელმისაწვდომია <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29248>, მუხლი 14 მუხლის 1-ელი ნაწილი.

¹⁸⁶ იქვე, მუხლი 14, მე-5 ნაწილი.

¹⁸⁷ იხ.: <https://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=17469&lang=en>

VII. ჯანმრთელობა

33. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო საკანონმდებლო და სხვა სახის ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ჯანმრთელობის რაც შეიძლება მაღალი სტანდარტი ეფექტიანად გამოიყენებოდეს სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე; კერძოდ, ჯანდაცვის ეროვნულ გეგმებში უნდა გაითვალისწინონ ლესბოსელთა, გეების, ბისექსუალებისა და ტრანსგენდერების განსაკუთრებული საჭიროებები, მათ შორის, ზომები სუიციდის თავიდან ასაცილებლად, ჯანდაცვის კვლევა, სამედიცინო კურიკულუმი, ტრენინგების კურსები და მასალები, და მონიტორინგისა და შეფასებისას – ჯანდაცვის მომსახურების ხარისხი.
34. სათანადო ზომებია მისაღები იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული ჰომოსექსუალობის, როგორც დაავადების კლასიფიკაცია, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის სტანდარტების შესაბამისად.
35. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა სახის ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ტრანსგენდერებს ჰქონდეთ ეფექტიანი ხელმისაწვდომობა სქესის შეცვლის მომსახურებაზე, ტრანსგენდერების ჯანდაცვის სფეროში ფსიქოლოგიური, ენდოკრინოლოგიური და ქირურგიული ექსპერტიზის ჩათვლით, არაგონივრული მოთხოვნების წამოყენების გარეშე; სქესის შეცვლის პროცედურებს არ უნდა დაექვემდებაროს არც ერთი ადამიანი მისი სურვილის საწინააღმდეგოდ.
36. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ სათანადო საკანონმდებლო და სხვა სახის ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ზღუდავს ჯანმრთელობის დაზღვევის მხრიდან სქესის შეცვლის პროცედურების ხარჯთა ანაზღაურებას, იყოს კანონიერი, ობიექტური და პროპორციული.

ანტი-ლგბტი პროპაგანდისტული კანონმდებლობის მიღებამდე და ახლაც, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის მე-6 მუხლი კრძალავს დისკრიმინაციას მათ შორის სექსუალური ორიენტაციის ნიშნით. დისკრიმინაციის ამკრძალავ ნორმას შეიცავს პაციენტთა უფლებების შესახებ კანონიც და უზრუნველყოფს მოქალაქის უფლებების დაცვას ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, აგრეთვე მისი პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა აქამდე უზრუნველყოფდა დისკრიმინაციისგან დაცვას ლგბტი ჯგუფისათვის, უთანასწორო მოპყრობის პრაქტიკა მუდამ გავრცელებული იყო სამედიცინო სფეროში.

ჯერ კიდევ 2019 წელს გაეროს დამოუკიდებელმა ექსპერტმა მისი ვიზიტისას შემფოთება გამოხატა სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის შესახებ დაბალი ცნობიერების და სტიგმის გამო რაც ჯანდაცვის პროფესიონალებში დაუხვდა. მისივე შეფასებით, ბისექსუალი და ლესბოსელი ქალების ხელმისაწვდომობაზე ჯანდაცვის სერვისებზე და მათთვის სპეციფიფიკური საჭიროებების იდენტიფიცირების მიმართულებით სრული ინფორმაციული ვაკუუმი იყო.¹⁸⁸

ამას მოწმობს უფრო გვიანდელი დაკვირვებაც, სოციალური სამათლიანობის ცენტრის მიერ 2020 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, რესპონდენტების 14.4%-მა (N=46) აღნიშნა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში ჯანდაცვის სერვისის მიღებისას გამხდარან დისკრიმინაციის მსხვერპლები, თუმცა დისკრიმინაციული ფაქტის შესატყობინებლად, რესპონდენტთა 78.3%-ს არავისთვის მიუმართავს. ამის მთავარ მიზეზად დასახელდა ქმედების არასაკმარისად სერიოზულ ფაქტად აღქმა (25.0%) და კონფიდენციალობის დარღვევის რისკები (19.4%).¹⁸⁹ სამწუხაროდ, სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს სამედიცინო დახმარების გაწევის დროს დისკრიმინაციული მოპყრობის თაობაზე ინფორმაცია არ მოუწოდებია. თუმცა, გარდა დისკრიმინაციული პრაქტიკისა, ლგბტი თემის წევრებისათვის არსებით პრობლემას წარმოადგენს ჯანდაცვის სერვისებზე ფინანსური ხელმიუწვდომლობაც. ამავე კვლევის მიხედვით, რესპონდენტთა 22.5%-ს ხელი არ მიუწვდებოდა სამედიცინო სერვისებზე.¹⁹⁰

სამედიცინო სერვისების ხელმიუწვდენელობის საკითხი განსაკუთრებით თვალსაჩინო ტრანს ადამიანებთან მიმართებით იყო. ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის მიერ შემუშავებულ პოლიტიკის დოკუმენტში, რამდენიმე წლის წინ იმაზე ვწუხდით, რომ საქართველოში არ არსებობს ტრანსსპეციფიკური სამედიცინო სერვისების ეროვნული სტანდარტი – ტრანსსპეციფიკური სამედიცინო მომსახურების კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია (გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობის

¹⁸⁸ ხელმისაწვდომია: <https://documents.un.org/doc/undoc/gen/g19/139/35/pdf/g1913935.pdf>, §76-77.

¹⁸⁹ ლგბტქ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2020, ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/ლგბტქ_ჯგუფის_სოციალური_ექსკლუზიის_კვლევა_1612128809.pdf, გვ. 155.

¹⁹⁰ იქვე.

მართვის სახელმწიფო სტანდარტები (პროტოკოლი).¹⁹¹ მაშინდელი კვლევით გამოვავლინეთ, რომ ცალკეული ექიმები ამერიკის შეერთებული შტატების ან ევროკავშირის ქვეყნების სტანდარტებით ხელმძღვანელობენ. მაგალითად, ერთ-ერთმა ენდოკრინოლოგმა თქვა, რომ ევროპის ენდოკრინოლოგთა ასოციაციის მიერ შემუშავებულ გაიდლაინს იყენებს. თუმცა, თითქმის ყველა მათგანი მიუთითებდა ეროვნული გაიდლაინის ან პროტოკოლის საჭიროებაზე.¹⁹² რეკომენდაციის 36-ე ნაწილთან მიმართებით, პოლიტიკის დოკუმენტში ასევე მივუთითებდით ფინანსურ ბარიერებზე, რომ არ ფინანსდებოდა არცერთი სახის ტრანსსპეციფიკური სამედიცინო სერვისი, მათ შორის არც დიაგნოსტიკური პროცედურები. ტრანსსპეციფიკური ჯანმრთელობის დაცვის პროცედურები არც კერძო კომპანიების მიერ შემუშავებულ ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტებში ყოფილა გათვალისწინებული.

ტრანსსპეციფიკურ სამედიცინო პროცედურებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების საკითხი საქართველოს მთავრობის ადამიანის უფლებების სამოქმედო გეგმით ბოლოს 2018-2020 წელს იყო ფრაგმენტულად გათვალისწინებული, თუმცა ცხადია ამ მიმართულებით საჭირო ნაბიჯები არ გადადგმულა. მომდევნო წლებში ლგბტი საკითხები თანდათან გაქრა სამოქმედო გეგმიდან.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო პროცედურების კლინიკური გაიდლაინები შემუშავების რეკომენდაცია საქართველოს გაეროს დამოუკიდებელმა ექსპერტმა მისცა.¹⁹³ ასევე მოგვიანებით, - ადამიანის უფლებების კომისარმა.¹⁹⁴

ეროვნული სტანდარტის არარსებობა პრობლემურად შეაფასა საქართველოს სახალხო დამცველმა, რომელმაც 2020 წელს ზოგადი წინადადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, რომ ხელი შეუწყოს გაიდლაინის და პროტოკოლის შექმნას, „რომელშიც გაწერილი იქნება ტრანსსპეციფიკური სამედიცინო მომსახურების როგორც სამედიცინო და ეთიკური საკითხები, ასევე, პროცედურების წინმსწრები და შემდგომი პერიოდებისთვის პირის მხარდამჭერი ფსიქოლოგიური/სოციალური ასპექტები.“¹⁹⁵ წინადადებაში აღნიშნულია, რომ შესაბამისი, ეროვნულ დონეზე ადაპტირებული კლინიკური პროტოკოლებისა და გაიდლაინების არარსებობის პირობებში, ჯანდაცვის სერვისის გამცემი ის პირები, ვინც ტრანს ადამიანებს ტრანსსპეციფიკურ სერვისებს სთავაზობენ, იძულებულნი არიან, დაეყრდნონ იმ სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც სხვა ქვეყნების სამედიცინო, სოციალური თუ სხვა შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინებითაა შექმნილი და შესაბამისად, მასში არ არის გათვალისწინებული ის სპეციფიკური საჭიროებები, რაც, შესაძლოა, კონკრეტულად საქართველოს კონტექსტისთვის იყოს დამახასიათებელი.

¹⁹¹ იხ.: <https://wisg.org/Data/docs/publications/policy-paper/WISG-LGR-in-Georgia-2022-GEO.pdf>

¹⁹² იქვე.

¹⁹³ ხელმისაწვდომია: <https://documents.un.org/doc/undoc/gen/g19/139/35/pdf/g1913935.pdf>, §119.

¹⁹⁴ ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/report-of-the-council-of-europe-commissioner-for-human-rights-dunia-mi/1680a740bf>, §28.

¹⁹⁵ საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის 13 მაისის ზოგადი წინადადება N08/4904.

მნიშვნელოვანია, რომ გაიდლაინების და პროტოკოლების არარსებობა სახალხო დამცველმა გენდერის სამართლებრივი აღიარების მექანიზმის არარსებობის შუქზე განიხილა.

მაშინ ზოგადი წინადადება გაიზიარა სამინისტრომ და დაიწყო მულტიდისციპლინური სამუშაო ჯგუფის ფორმირება, რომლის შექმნაც წლების მანძილზე ვერ დასრულდა, ახლანდელი ანტი-ლგბტი პოლიტიკის და კანონების მოქმედების პირობებში კი მისი მუშაობა პარადოქსული და კანონგარეშეა.

ანტი-ლგბტი საკანონმდებლო პაკეტის ძალით დაუშვებელი გახდა ნებისმიერი სამედიცინო მანიპულაცია, რომელსაც ტრანს ადამიანების ნაწილი მიმართავს ტრანზიციის პროცესში და რომელსაც კრიტიკული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მათი ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობისთვის.

კანონის არაპუმანურ და მადისკრიმინირებელ ხასიათზე გენდერის სამართლებრივი აღიარების აკრძალვის დეტალური განხილვისას უკვე ვისაუბრეთ. თუმცა, რადგან ტრანსპეციფიკურ ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის აკრძალვა პირადი ცხოვრების უფლების განხორციელებასთან ერთად პირდაპირ მიემართება ჯანმრთელობის უფლებასაც, რიგ საკითხებს აქაც მივუბრუნდებით.

განსახილველი რეკომენდაციის 35-ე ნაწილის პასუხად, „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“ კანონით აიკრძალა ბიოლოგიურის სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების მიზნით ქირურგიული ოპერაციის სხვისთვის ჩატარება და სხვა სახის სამედიცინო მანიპულაციის სხვის მიმართ გამოყენებაც.¹⁹⁶ განსაკუთრებით საგანგაშოა ტრანსსპეციფიკური სამედიცინო პროცედურების კრიმინალიზაცია, რაც გულისხმობს როგორც ექიმის მიმართ, ისე სამედიცინო დაწესებულებისთვის, ტრანს ადამიანისთვის ტრანზიციის პროცესში ნებისმიერი სამედიცინო ინტერვენციის, მათ შორის გენდერის დადასტურების ქირურგიული ოპერაციის ჩატარების შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას.¹⁹⁷ ცვლილებას დაექვემდებარა „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონიც, რომელსაც, ახალი, 14¹ მუხლი დაემატა და ადამიანის თავისი ბიოლოგიურის სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების მიზნით ქირურგიული ოპერაციის სხვისთვის ჩატარება ან სხვა სახის სამედიცინო მანიპულაციის სხვის მიმართ გამოყენება დაუშვებლად იქნა ცნობილი.¹⁹⁸

ამგვარი მოწესრიგება ცხადია წინააღმდეგობრივია საქართველოს კონსტიტუციასთან, ანტი-დისკრიმინაციულ კანონთან, უფლებადაცვის ევროპულ სტანდართან, მინისტრთა

¹⁹⁶ საქართველოს კანონი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის დაცვის შესახებ“, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6283110?publication=0>, მუხლი 6.

¹⁹⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=264>, მუხლი 176¹.

¹⁹⁸ საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29980?publication=55>, მუხლი 14¹.

კომიტეტის რეკომენდაციებთან და ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან, რომელიც, ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით დაცული სფეროს ფარგლებში, პოზიტიურ ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოებს, სამართლებრივად აღიარონ ინდივიდების მიერ განვლილი გენდერული ტრანზიცია, მათთვის, ვინც სქესის შეცვლის ქირურგიული ოპერაცია ჩაიტარა და მათ შორის, მათთვისაც, ვინც გენდერული ტრანზიციის პერიოდი სამედიცინო ჩარევის გარეშე განვლო.¹⁹⁹

¹⁹⁹ ხელმისაწვდომია: [https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD\(2024\)021-e](https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2024)021-e), §50.

VIII. საცხოვრებელი

37. მისაღებია ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ ადეკვატურ საცხოვრებელზე ხელმისაწვდომობა ეფექტიანად და თანასწორად გამოიყენებოდეს ყველა პირის მიერ, სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე; ამგვარი ზომები, კერძოდ, უნდა ემსახურებოდეს დაცვას დისკრიმინაციული გამოსახლებისაგან და თანასწორი უფლებების გარანტირებას მიწისა და სხვა ქონების საკუთრების შექენისა და ქირაობისას.
38. სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს უსახლკაროდ დარჩენის რისკს, რომლის წინაშეც დგანან ლესბოლელები, გეები, ბისექსუალები და ტრანსგენდერები, ახალგაზრდა ადამიანებისა და ბავშვების ჩათვლით, რომლებიც, შესაძლოა, მეტად მოწყვლადები იყვნენ სოციალური გარიყულობის, მათ შორის, მათივე ოჯახებიდან გარიყულობის მიმართ; ამ თვალსაზრისით, აუცილებელია შესაბამისი სოციალური მომსახურების შეთავაზება თითოეული ინდივიდის საჭიროებების ობიექტური შეფასების საფუძველზე, დისკრიმინაციის გარეშე.

საცხოვრისის საკითხი საანგარიშო პერიოდში განსაკუთრებით მძაფრად კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდში დადგა, მაშინ როდესაც ოჯახებიდან გარიყულმა და ანაზღაურების გარეშე დარჩენილმა ჯგუფმა ვერც სახლში დაბრუნება შეძლო და ვერც ბინის ქირის გადახდა. კვლევის თანახმად, პანდემიის დროს, 211 რესპონდენტიდან ყოველ მათგანს შეუქმნა საცხოვრისის პრობლემა (12,8%), ყოველ მესამე რესპონდენტს კი (34,6%) ბინის ქირის გადახდა გაუჭირდა.²⁰⁰ ქვიარ ადამიანების საჭიროებები, მათ შორის ქირის სუბსიდირება და ალტერნატიული საცხოვრისით ან თავშესაფრით უზრუნველყოფა, სახელმწიფო ანტიკრიზისული დახმარების პროგრამის მიღმა დარჩა. კრიზისის დაძლევის პროცესში, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს რეაგირება სათემო ორგანიზაციების მოთხოვნებზე პროაქტიულად არ პასუხობდა დღის წესრიგში მდგარ კომპლექსურ გამოწვევებს.²⁰¹

ჩვენ მრავალი წელია მივუთითებთ, რომ სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკა ჰომოფობიას და ტრანსფობიას არ იაზრებდა სისტემურ და სტრუქტურულ პრობლემად, რის გამოც ჰომოფობიის წარმოჩენა ხდებოდა მხოლოდ ინდივიდუალურ საკითხად, და შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ ჰომოფობიასთან ბრძოლის წინააღმდეგ დასახულ მთავარ სტრატეგიად მის ინდივიდუალურ გამოვლინებებზე შერჩევითი სადამსჯელო პასუხი იყო, ხოლო გენდერული თანასწორობის, ჰომოფობიისა და ტრანსფობიის შემცირებაზე მიმართული პროაქტიული ინიციატივები, ფართო საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, მუდამ რჩებოდა სამთავრობო სამოქმედო გეგმებს მიღმა. დღეს კი სახელმწიფო ცხადად ანტი-ლგბტი პოლიტიკით პასუხობს მითითებულ წუხილებს.

ჰომოფობია და ჰომოფობიური ძალადობა, მათ შორის ოჯახში ძალადობა, სოციალურ მოწყვლადობასა და უსახლკარობასთან რომ პირდაპირ კორელაციაშია, ეს ყველაზე ცხადად ლგბტი ადამიანების მაგალითზე ჩანს. რამდენადაც, ქამინგ აუთის შემდგომ ბევრ ლგბტი ახალგაზრდას უწევს სახლის დატოვება, ისინი საჯარო სივრცეებში ექვემდებარებიან უსახლკარობას, სიღარიბეს, ძალადობას და წინასწარგანწყობებს.

კვლევამ აჩვენა, რომ უსახლკარობის გამოცდილების მქონე რესპონდენტთა 44.8% - სთვის უსახლკარობის გამოცდილება დაკავშირებული იყო მათ იდენტობასთან. ამასთანავე, მის გამომწვევ მიზეზებს შორის, რესპონდენტთა ნაწილმა გარდა ფინანსური შემოსავლების არქონისა (58.1%), ასევე მიუთითა ოჯახის წევრების მხრიდან მათი იდენტობის გამო ძალადობაზე (41.9%).²⁰²

²⁰⁰ ე. ადდგომელაშვილი და სხვები, COVID-19-ის გავლენა ლგბტ(ქ) თემზე, ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფი (WISG), 2022, ხელმისაწვდომია: https://wisg.org/Data/docs/publications/research-study/WISG_Covid-impact-on-LGBTQI-community-GE.pdf, გვ.13.

²⁰¹ იხ.: <http://www.equalitycoalition.ge/article/50>

²⁰² ლგბტქ ჯგუფის სოციალური ექსკლუზიის კვლევა საქართველოში, სოციალური სამართლიანობის ცენტრი, 2020, ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf/ლგბტქ_ჯგუფის_სოციალური_ექსკლუზიის_კვლევა_1612128809.pdf, გვ. 176.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოქმედებს დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონი და არსებობს უსახლკაროთა თავშესაფრები, ლგბტი ადამიანებისთვის იქ უსაფრთხო გარემო არ არის უზრუნველყოფილი. ლგბტი ადამიანების სპეციალურ საჭიროებებზე მორგებული პროგრამების და თავშესაფრის არსებობის რეკომენდაცია ჯერ კიდევ 2019 წელს გასცა გაეროს დამოუკიდებელმა ექსპერტმა.²⁰³

შედარებით აღრინდელი კვლევა ცხადყოფს, რომ ოჯახში ძალადობის ლგბტი მსხვერპლთაგან, რომლებიც დამდგარან თავშესაფრის საჭიროების წინაშე, ძალიან დაბალ პროცენტს მიუმართავს ამ სერვისისთვის. აღნიშულზე გავლენას ისიც ახდენდა, რომ ძალადობისგან დაცვის მექანიზმები მეტად ჰეტერონორმატიულ ბაზისებზეა დაშენებული, და მიუხედავად ქალაქ თბილისის მერიის წერილში მითითებულისა, რომ ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის დახმარების გაწევის შემთხვევაში, მერიის მიერ არ მახვილდება ყურადღება პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში მოქალაქის სქესის შესახებ ჩანაწერზე,²⁰⁴ ტრანს ქალებს აქამდეც აფერხებდა გენდერის საართლებრივი აღიარების გარეშე მიეღოთ შესაბამისი სერვისი, ახლა კი სრულად უგულებელყოფს მათ საჭიროებებს.

ლგბტი სათემო ორგანიზაციებთან ჩატარებული ფოკუს ჯგუფებით ისიც გაირკვა, რომ თემის წევრებისთვის თავშესაფრით უზრუნველყოფის მთელი ტვირთი ამ ორგანიზაციებზე გადადის, რაც გულისხმობს დონორ ორგანიზაციათა მხარდაჭერით თემის წევრებისთვის ბინის ქირით ღროებით უზრუნველყოფას. სათემო ორგანიზაციების წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ უსახლკარობის პირას მყოფი თემის წევრი საგანგებო და იმწუთიერი რისკის დასაზღვევად, ოფისში ან თუნდაც საკუთარ სახლებში არაერთხელ შეუფარებიათ.²⁰⁵ დღეს ამ პრაქტიკასაც აღკვეთს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის ძალით სამოქალაქო და დონორი ორგანიზაციების დევნა და სტიგმატიზება.

IX. სპორტი

39. ჰომოფობია, ტრანსფობია და დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის საფუძველზე სპორტში, რასიზმისა და დისკრიმინაციის სხვა ფორმათა მსგავსად, არის მიუღებელი და უნდა აღიკვეთოს.
40. სპორტული საქმიანობები და საშუალებები ღია უნდა იყოს ყველასათვის, სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე; კერძოდ, გადასადგმელია ეფექტიანი ნაბიჯები, რათა

²⁰³ ხელმისაწვდომია: <https://documents.un.org/doc/undoc/gen/g19/139/35/pdf/g1913935.pdf>, §74.

²⁰⁴ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის წერილი, [10.09.2024].

²⁰⁵ საქართველოს სახალხო დამცველი, ლგბტ+ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში, 2021, ხელმისაწვდომია:

https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/undp_ge_lgbtqi_pdo_02_geo.pdf, გვ. 52.

განერიდონ, დაუპირისპირდნენ და დასაჯონ დისკრიმინაციული ხასიათის შეურაცხყოფა სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის მიზეზით სპორტული ღონისძიებების დროს ან მათთან კავშირში.

41. წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ დიალოგს სპორტულ გაერთიანებებსა და ფან კლუბებთან და მხარი დაუჭირონ მათ ცნობიერების ასამაღლებელ საქმიანობაში, რომელიც უკავშირდება ლესბოსელთა, გეების, ბისექსუალთა და ტრანსგენდერების მიმართ დისკრიმინაციას სპორტში და დაგმონ შეუწყნარებლობა მათ მიმართ.

სახელმწიფოს მხრიდან სპორტში დისკრიმინაციის აღმოფხვრის ხელშეწყობასთან დაკავშირებით, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არასრულწლოვნების ნაწილში ამ მიმართულებით იმოქმედებს „ოჯახური ღირებულებების და არასრულწლოვანთა დაცვის“ სახელით მიღებული ანტი-ლგბტი კანონი და შესაბამისად, ცნობიერების ამაღლებსი კამპანიებთან ან რამე პროაქტიულ ქმედებებთან დაკავშირებული მოლოდინები ფუჭია.

დანარჩენ ნაწილში, საანაგარიშო პერიოდში კონკრეტული მაგალითები ან მიმართულებები არ გამოკვეთილა.

X. თავშესაფრის ძიების უფლება

42. იმ შემთხვევებში, როცა წევრ სახელმწიფოებს აქვთ საერთაშორისო ვალდებულება ამ თვალსაზრისით, მათ უნდა აღიარონ, რომ საფუძვლიანი შიში, გახდნენ დევნილები სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის გამო, შეიძლება იყოს საკმარისი საფუძველი ლტოლვილის სტატუსისა და თავშესაფრის მისანიჭებლად, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად.
43. განსაკუთრებით, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ თავშესაფრის მაძიებლები არ გააგზავნონ ქვეყანაში, სადაც მათ სიცოცხლეს ან თავისუფლებას საფრთხე ემუქრება ან სადაც ისინი არიან წამების, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის საფრთხის წინაშე, სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის საფუძველზე.
44. თავშესაფრის მაძიებლები დაცულები უნდა იყვნენ სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის საფუძველზე ნებისმიერი დისკრიმინაციული პოლიტიკისა ან პრაქტიკისაგან; კერძოდ, უნდა მიიღონ სათანადო ზომები ფიზიკური ძალადობის რისკის თავიდან ასაცილებლად, სექსუალური ძალადობის, სიტყვიერი აგრესიის ან დაშინების სხვა ფორმების ჩათვლით თავშესაფრის მაძიებელთა მიმართ, რომლებიც არიან თავისუფლებაადკვეთილები და უზრუნველყონ მათი კონკრეტული ვითარებისათვის რელევანტური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

საერთაშორისო ვალდებულების თვალსაზრისით, საქართველო ლტოლვილთა სტატუსის შესახებ გაეროს 1951 წლის კონვენციის ხელმომწერი მხარეა. შესაბამისად, მასზე ვრცელდება კონვენციის ანტი-დისკრიმინაციული ჩანაწერი, რომელმაც საერთაშორისო სამართლის პრატიკის განვითარებასთან ერთად, დისკრიმინაციის

დაუშვებლობის საფუძვლებიც გააფართოვა და მოიცვა სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა.²⁰⁶

ამასთან, „საერთაშორისო დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, „ლტოლვილის სტატუსი ენიჭება უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც იმყოფება წარმოშობის ქვეყნის გარეთ, აქვს საფუძვლიანი შიში, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური შეხედულების გამო, და არ შეუძლია ან არ სურს, შიშიდან გამომდინარე, დაბრუნდეს თავის წარმოშობის ქვეყანაში ან ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით.“²⁰⁷ მართალია ნიშანი პირდაპირ არ არის მითითებული, თუმცა შესაბამის სიტუაციებში ლგბტი ადამიანებზე გავრცელებოდა გარკვეული ჯგუფისადმი კუთვნილების საფუძველი. ასევე, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალით სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციისგან თავშესაფრის მაძიებლებიც არიან დაცულნი.

თუმცა, ანტი-ლგბტ კანონის და საკონსტიტუციო ინიციატივის პირობებში, მაშინ როდესაც გენდერული იდენტობის აღიარება პრაქტიკულად კანონგარეშედ გაცხადდა, დაცვის გარანტიების თავშესაფრის მაძიებლთათვისაც სუსტდება. უფრო ზუსტად, აკრძალვა შევიდა „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის მიხედვითაც, ამ კანონით გათვალისწინებულ რომელიმე დოკუმენტში, მათ შორის პასპორტსა და პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებში, ადამიანის ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებული სქესის მითითებას კრძალავს.²⁰⁸ შესაბამისად, ტრანს ადამიანებთან მიმართებით, მათი დაცული ნიშნის აღიარება საერთოდ ვერ მოხდება, შესაბამისად მათი ქვეყანაში მიღება თუ უსაფრთხოება საკმაოდ ბუნდოანი ჩანს.

რაც შეეხება ქვეყანაში არსულ გარემოს, სისტემური ჰომო/ბი/ტრანსფობია ხელისუფლების უკვე გაცხადებული პოლიტიკაა, რომელიც აქეზებს სტიგმას, წინასწარგანწყობებსა და ძალადობას ლგბტი ადამიანების მიმართ, რაც მათ აიძულებს ქვეყნიდან წასვლას, - რეალურად, თავშესაფრის ძიება სხვა ქვეყანაში, სადაც ჰომოფობიური ძალადობის საფრთხე ნაკლებია, ლგბტი ადამიანებისთვის გადარჩენის სტრატეგიათაგანია.

ბოლო პერიოდში, ჩვენს მიერ დოკუმენტირებული მონაცემებით, თემის არაერთმა წევრმა დატოვა ქვეყანა, რადგან გადაეწურა სრულუფლებიან მოქალაქედ აღიარების და

²⁰⁶ იხ.: <https://www.unhcr.org/media/unhcr-guidelines-international-protection-no-9-claims-refugee-status-based-sexual-orientation>

²⁰⁷ საქართველოს კანონი საერთაშორისო დაცვის შესახებ, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3452780?publication=8>, მუხლი 15.

²⁰⁸ ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/31504?publication=56>, მუხლი 1².

ქვეყანაში ღირსეულად ცხოვრების უკანასკნელი იმედიც.²⁰⁹ იმავეს მოწმობს რუსეთის მაგალითიც, სადაც მსგავსმა ანტი-ჰომოფობიური კანონმა მკვეთრად გაზარდა ქვიარების ემიგრაცია ქვეყნიდან.²¹⁰

უფლებების შეზღუდვის რისკისგან ცხადია დაცულნი არც თავშესაფრის მაძიებლები იქნებიან. საგულისხმოა, რომ ლგბტი საკითხებზე მომუშავე ბრიტანულმა ორგანიზაციამ მიმართა ადგილობრივ ხელისუფლებას ამოშალოს საქართველო უსაფრთხო სიიდან, სადაც თავშესაფრის მაძიებელთა მიბრუნება შეიძლება.²¹¹

²⁰⁹ იხ.: <https://wisg.org/ka/news/detail/445/კიდევ-ერთხელ-ფაშისტური--ანტი-ლგბტ-კანონის-რეალური-მიზნების-შესახებ>

²¹⁰ იხ.: <https://www.hrw.org/news/2023/05/17/russia-homophobia-and-battle-traditional-values>

²¹¹ იხ.: <https://www.rainbowmigration.org.uk/news/in-depth-analysis-raises-concern-that-georgia-is-not-safe-for-lgbtqi-people/>

XI. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრუქტურები

45. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრუქტურებს ჰქონდეთ მანდატი, უპასუხონ დისკრიმინაციას სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის საფუძველზე; კერძოდ, მათ უნდა შეეძლოთ, მისცენ რეკომენდაციები კანონმდებლობასა და პოლიტიკაზე, აამაღლონ ცნობიერება ზოგადად საზოგადოებაში, ასევე – რამდენადაც ამას ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობა – განიხილონ ინდივიდუალური საჩივრები, დაკავშირებული როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორთან და წამოიწყონ ან მონაწილეობა მიიღონ სასამართლო საქმისწარმოებაში.

როგორც მონიტორინგის წინა ციკლების ფარგლებში მივუთითეთ, საქართველომ 2014 წელს მიიღო „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი,²¹² რომელიც დაცულ საფუძვლებს შორის სექსუალურ ორიენტაციას, გენდერულ იდენტობასა და გამოხატვასაც მოიცავს.

დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის ხელშეწყობის მიზნით საანაგარიშო პერიოდში გაფართოვდა სახალხო დამცველის ანტი-დისკრიმინაციული მანდატი. 2019 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად სახალხო დამცველის მანდატი კერძო პირებზე საჯარო უწყებების მსგავსი სამართლებრივი რეგულირებით გავრცელდა და ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს სახალხო დამცველისთვის ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება დაეკისრათ.²¹³ ამასთანავე, სახალხო დამცველი უფლებამოსილი გახდა, „როგორც მოსარჩელემ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისად, სარჩელით მიმართოს სასამართლოს, თუ იურიდიულმა პირმა, სხვა ორგანიზაციულმა წარმონაქმნმა, პირთა გაერთიანებამ იურიდიული პირის შეუქმნელად ან მეწარმე სუბიექტმა მის რეკომენდაციას არ უპასუხა ან ეს რეკომენდაცია არ გაიზიარა და არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციას ადასტურებს.“²¹⁴

სახალხო დამცველის ოფისის ფუნქციები, რეკომენდაციის 45-ე ნაწილით გათვალისწინებულს ფარავს, - თანასწორობის დეპარტამენტი სახალხო დამცველის აპარატში შესულ თანასწორობის დარღვევასთან დაკავშირებულ განცხადება/საჩივრებს შეისწავლის და შესაბამისი დასკვნებს/რეკომენდაციების/წინადადებების ამზადებს. ასევე გააჩნია მანდატი, ადამიანის თანასწორობის დაცვის სფეროში საგანმანათლებლო საქმიანობის კუთხით ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების.

მანდატის ფორმალურ მხარესთან ერთად, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საკითხები შინაარსობრივადაც იფარება. აღსანიშნია, რომ სახალხო დამცველი წლებია უთითებს ლგბტი თემის მოწყვლადობაზე, დისკრიმინაციაზე, რომელსაც ყველა სფეროში აწყდებიან, მათ შორის საზოგადოებაში არსებული ჰომოფობიური დამოკიდებულების გამოისობით,²¹⁵ პოლიტიკოსთან მხრიდან ჰომო/ტრანსფობიური რიტორიკის წახალისებაზე,²¹⁶ საზოგადოებაში არსებულ სტიგმაზე, რაც ასაზრდოვებს თემის წევრების მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას.²¹⁷

²¹² დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=3>

²¹³ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“, მუხლი 23.

²¹⁴ იქვე, მუხლი 14¹, ნაწილი თ¹.

²¹⁵ იხ.: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2024052311354297279.pdf>, გვ. 184.

²¹⁶ იხ.: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2023033120380187763.pdf>, გვ. 191.

²¹⁷ იხ.: <https://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf>, გვ. 177.

თუმცა, სათემო ორგანიზაციების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მიუხედავად ჯგუფის მიმართ არსებული დისკრიმინაციული პრაქტიკის ფართო მასშტაბისა, მიმართვიანობა სახალხო დამცველისადმი, მაინც დაბალია.²¹⁸

მაგალითისთვის, სახალხო დამცველის ოფისის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2019-2023 წლებში სახალხო დამცველის თანასწორობის დეპარტამენტმა, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის ნიშნით ჩადენილი სავარაუდო შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების შესახებ, ჯამში 29 საქმე შეისწავლა. როგორც წესი, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის ნიშნით ჩადენილი სავარაუდო შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულები შეეხებოდა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის, ცემის, თავდასხმისა და სიცოცხლის მოსპობის მუქარის ფაქტებს, გათვალისწინებულს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე, 151-ე და 156-ე მუხლებით. ამასთან, 2019 წელს სახალხო დამცველისადმი დისკრიმინაციის ფაქტზე მიმართვის სულ 155 შემთხვევიდან, მხოლოდ 21 შეეხებოდა სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციას. 2020 წელს კი, სახალხო დამცველის აპარატში შესული 113 განცხადებიდან - სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით დისკრიმინაციის შესაძლო ფაქტზე მხოლოდ 7-მა მიმართა; 2021წ. – 13-მა; 2022წ. – 17-მა; 2023წ. კი – 5-მა.²¹⁹

აქვე უნდა ვახსენოთ, სახალხო დამცველის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი,²²⁰ შექმნილი რათა გააკონტროლოს გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებები და თავისუფლება, ხელი შეუწყოს გენდერული თანასწორობის საკითხებს სახალხო დამცველის საქმიანობაში და ქვეყანაში გაზარდოს ცნობიერება გენდერული თანასწორობის გაძლიერებასთან დაკავშირებით. სხვა მიზნებთან ერთად, ამ დეპარტამენტის ამოცანა მოიცავს გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე უფლებების დარღვევის შესწავლასა და მათზე რეაგირებას.

და ასევე, საანგარიშო პერიოდში ჩამოყალიბებული ადამიანის უფლებათა სწავლების დეპარტამენტი,²²¹ რომელიც ხელს უწყობს ფორმალური და არაფორმალური განათლების სფეროში ადამიანის უფლებათა ინტეგრირებასა და სწავლებას; დეპარტამენტი წარმოადგენს სახალხო დამცველის საგანმანათლებლო მანდატის განხორციელების საშუალებას, რომლის ფარგლებშიც აპარატი ატარებს არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებს, რომელთა მიზანია უფლებათა უნივერსალური პრინციპების შესახებ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის ცოდნის გადაცემა, იმგვარი დამოკიდებულებებისა და ქცევის წესის ფორმირება, რომელიც

²¹⁸ საქართველოს სახალხო დამცველი, ლგბტ+ ჯგუფის უფლებრივი მდგომარეობის შეფასება საქართველოში, 2021, ხელმისაწვდომია: https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/undp_ge_lgbtqi_pdo_02_geo.pdf, გვ. 16.

²¹⁹ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის წერილი, [30.08.2024].

²²⁰ იხ.: <https://ombudsman.ge/geo/departamentis-shesakheb>

²²¹ იხ.: <https://ombudsman.ge/geo/akademiis-shesakheb>

საშუალებას მისცემს მათ საკუთარი წვლილი შეიტანონ საზოგადოებაში ადამიანის უფლებათა დანერგვისა და დაცვის საქმეში.

ბუნებრივია, ამ სივრცეშიც იჭრება ანტი-ლგბტი, ცენზურის დამდგენი კანონმდებლობა, რომელიც სახალხო დამცველის ოფისს სრულად, განსაკუთრებით კი ზემოაღნიშნულ სამ დეპარტამენტს უზღუდავს მანდატს. კანონის ამოქმედების შემდეგ სახალხო დამცველს აღარ შეეძლება სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიებით დაფაროს განათლების დაწესებულებები, ვეღარ ისაუბრებს არასრულწლოვნებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჰომოფობიაზე, მისი დაძლევის გზებზე, ლგბტი ადამიანების დისკრიმინაციასა და ჩაგვრაზე, რამდენადაც ამასთვის შესაძლოა დაექვემდებაროს ანტი-ლგბტი საკანონმდებლო პაკეტთ გათვალისწინებულ სანქციებს.

XII. დისკრიმინაცია განსხვავებულ საფუძვლებზე

46. წვერი სახელმწიფოები მომართულნი არიან იმის უზრუნველსაყოფად, რომ სამართლებრივი დებულებები ეროვნულ კანონმდებლობაში, რომლებიც კრძალავს და წინ აღუდგება დისკრიმინაციას, ასევე იცავდეს დისკრიმინაციისაგან განსხვავებულ საფუძვლებზე, მათ შორის, სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის საფუძველზე; ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრუქტურებს უნდა ჰქონდეთ ფართო მანდატი, რაც საშუალებას მისცემს მათ, რომ შეეჭიდონ ამგვარ საკითხებს.

საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კრძალავს დისკრიმინაციას მრავალჯერადი ნიშნით, რაც გულისხმობს ორი ან მეტი ნიშნის საფუძველზე დისკრიმინაციას. კანონით დაცული საფუძვლები ფართოდ ინტერპრეტირებულია და მოიცავს, მათ შორის სექსუალურ ორიენტაციას, გინდერულ იდენტობასა და გამოხატვას.²²² შესაბამისად, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრუქტურების მანდატს შეუძლია გაუმკლავდეს მრავალჯერადი დისკრიმინაციის საქმეებს. სახალხო დამცველს აქამდეც განუხილავს ამგვარი საქმეები და დაუდგენია დისკრიმინაცია რამდენიმე ნიშნით.

ჩვენც, ანგარიშებში ქალთა მიმართ ძალადობის მექანიზმებისთვის, ხშირად მივუთითებთ, რომ ლბტ ქალები ორმაგი დისკრიმინაციის მსხვერპლი ხდებიან - სქესისა და სექსუალური ორიენტაციის/გინდერული იდენტობის საფუძველზე, რამდენადაც ქალთა მიმართ დისკრიმინაცია და ძალადობა ფესვგადგმულია გინდერულ სტერეოტიპებში და აისახება საზოგადოების კონსერვატიულ დამოკიდებულებაში, კანონმდებლობის ხარვეზებსა და უკმარისობასა და ზოგადად, ქალთა და კონკრეტულად ლბტ ქალთა მიმართ არსებული სახელმწიფო პოლიტიკის ინდიფერენტულობაში.

ბოლოს, აქვე უნდა ვახსენოთ ორმაგი შევიწროვება და წნეხი, რაც სათემო არასამთავრობო ორგანიზაციებს ექმურება „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ და ანტი-ლგბტი კანონის მოქმედების პერობებში. ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ქვეყანაში არსებული რამდენიმე სათემო ორგანიზაციისთვის, მათ შორის ჩვენთვის, შეუძლებელი გახდება ლგბტი ადამიანებისთვის იმ სასიცოცხლოდ საჭირო სერვისების მიწოდება, რომლისთვისაც სახელმწიფოს არც აქამდე ჰქონია არც ბიუჯეტი და არც ინიციატივა და რომელთაც ისედაც, ძირითადად, მხოლოდ სათემო ორგანიზაციების საქმიანობა ფარავდა. არათუ სერვისების მიწოდება ვეღარ მოხერხება, არამედ ზოგადად, ორგანიზაციების ფუნქციონირების გაგრძელება ორმაგი საკანონმდებლო დევნის რისკების გათვალისწინებით მეტად სარისკო და სათუო ჩანს.

²²² დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონი, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=3>, მუხლი 2, ნაწილი 4.